ილია აბულაძე

ძველქართული-ძველსომხური
დოკუმენტირებული
ლექსიკონი

თბილისი

იბეჭდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს თანადგომით
IS PUBLISHED WITH THE SUPPORT OF MINISTRY OF EDUCATION
AND SCIENCE OF GEORGIA

რედაქტორები

მაია რაფავა
ციალა ქურციკიძე
ელენე ცაგარეიშვილი

სარედაქციო ჯგუფი

ხათუნა გაფრინდაშვილი
ქეთევან ოთარაშვილი
ირმა ხოსიტაშვილი

ISBN 978-9941-9356-7-1

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2014
© National Centre of Manuscripts, 2014

წინასიტყვა

> **„ჩუენთა მომავალთა ნათესავთათჳს,**
> **რაჲთა არა დავიწყებულ იქმნას“**
>
> *გიორგი მთაწმიდელი, იოანე და*
> *ეფთვიმე მთაწმიდელების ცხოვრება*

ჩვენი დიდი წინაპრების მიერ ნაანდერძევი ეს სიტყვები მათი ნაღვაწის შთამომავლობისთვის დატოვების შესახებ ზედმიწევნით ესადაგება ილია აბულაძის მეცნიერულ მემკვიდრეობას. თანამედროვე მკითხველი კარგად იცნობს მის ქართველოლოგიურსა თუ არმენოლოგიურ სამეცნიერო შრომებს, მაგრამ პირველად ექნება საშუალება გაეცნოს მის ფუნდამენტურ ნაშრომს „ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი“.

ამ ლექსიკონის შედგენას ილია აბულაძემ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მოახმარა, წლების მანძილზე იგი ახდენდა მის შევსებასა და დახვეწას. სამწუხაროდ, ილია აბულაძემ თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო ამ ლექსიკონისთვის საბოლოო სახე მიეცა, ისე დაესრულებინა, როგორადაც ჰქონდა წარმოდგენილი.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე (1967 წ.) ილია აბულაძე თავის ანდერძში წერს: „დაუბეჭდავი არაფერი მრჩება. ლექსიკონი მრჩება მხოლოდ, ისიც დაუმთავრებელი, „ძველ ქართულ – ახალ ქართული ლექსიკონი“ დავთრებში გადამქონდა სასტამბოდ, ბარათებზე კი „ძველ ქართულ-ძველი სომხურის“ მასალები მაქვს თავმოყრილი (აქედან ვკრებდი „ძველ ქართულ-ახალ ქართულს“). ამას ვერავინ დაამთავრებს, ჩემს გარდა... იქნებ მომავალში ჩემიანებიდან ვინმემ ისწავლოს ძველ ქართულ – ძველი სომხური და მათ გამოიყენონ ისინი“ (ილია აბულაძის არქივი, №42).

მეცნიერის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ (1973 წ.) ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს მისი „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“. ავტორის მიერ დაუმთავრებლად მიჩნევის გამო ლექსიკონს „მასალები“ ეწოდა, მაგრამ იგი დღემდე სამაგიდო წიგნია ძველი ქართული ენისა და მწერლობის შესწავლით დაინტერესებული ყველა მკვლევარისათვის.

„ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონიც“ წარმოდგენილია როგორც „მასალები“, რადგან, როგორც ილია აბულაძის ანდერძიდან ჩანს, თვითონ ავტორი უწოდებდა მას „მასალებს“.

არ შეიძლება, პირველ რიგში არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ლექსიკონი გადაწერილია 12 ფურცლიანი რვეულის ფურცლის სიდიდის 12 000 ბარათზე ილია აბულაძის ყველასთვის ცნობილი ლამაზი კალიგრაფიული ხელით.

რას წარმოადგენს „ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი“?

„ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი (მასალები)“ ზედმიწევნითი დადასტურებაა იმ შეფასებისა, რომელიც ილია აბულაძის მოღვაწეობას მისცა აკად. არნოლდ ჩიქობავამ: „სომხურ-ქართული ფილოლოგიის დონე ნიკო მარის შესანიშნავი გამოცემების შემდეგ ისე მაღლა არ მდგარა, როგორც მან მიაღწია ილია აბულაძის შრომებში“. ეს ლექსიკონი თავისი სპეციფიკის გამო, რაც გამოიხატება განსამარტი სიტყვებისა და დოკუმენტაციის ორენოვნებაში, იშვიათი მოვლენაა ქრისტიანული აღმოსავლური მწერლობისა და კულტურის სფეროში.

„ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი (მასალები)“ თავისი ფუნქციით, შედგენილობითა და მოცულობით საეტაპო მნიშვნელობის შრომაა ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის ურთიერთშემხვედრი პრობლემებისა და ამოცანების კვლევა-ძიების საქმეში.

ლექსიკონში შესულია მასალა ძველი ქართული და ძველი სომხური მწერლობის ძეგლებიდან. მაქსიმალურად სრულადაა წარმოდგენილი მასალა ბიბლიიდან, ნაკლები სისრულით – ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ძეგლებიდან. მასალა ამოღებულია როგორც ნაბეჭდი წიგნებიდან, ასევე, და უმეტესწილად, ხელნაწერებიდან, რადგან იმ დროისთვის, როდესაც ეს ლექსიკონი დგებოდა, ბევრი აქ გამოყენებული ტექსტი (მათ შორის ქართული ბიბლიისა) გამოუცემელი იყო. აღნიშნული ლექსიკონი, როგორც ნიმუში ორენოვანი დოკუმენტირებული ლექსიკონისა, ზოგადად უდიდესი მნიშვნელობის ნაშრომია ლექსიკოგრაფიაში. იგი შეიძლება გვერდით დავუყენოთ საყოველთაოდ ცნობილ ასეთსავე ლექსიკონებს სხვა ენებზე. ლექსიკონში გამოყენებული წყაროები – ბიბლიის ტექსტი და ჰომილეტიკურ-ჰაგიოგრაფიული თხზულებები – ძირითადად ადრებიზანტიური ხანის თარგმანებია, როგორც ქართულ, ისე სომხურ ენებზე. ამდენად, ეს ლექსიკონი ბიზანტიური კულტურის კვლევის კონტექსტში თავსდება და მნიშვნელოვნად ამდიდრებს როგორც ბიზანტიური, ისე ქართულ-სომხური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების კვლევის ისტორიას.

ლექსიკონი ტექნიკურად შემდეგნაირად არის აგებული: ა) წყაროდან ამოღებულ განსამარტ ქართულ სიტყვას მოსდევს სომხური შესატყვისი (ან შესატყვისები) შესაბამისი სომხური წყაროდან (ან წყაროებიდან); ბ) სალექსიკონო ერთეულის გვერდით ფრჩხილებში ჩასმულია ამ სიტყვის განმარტება (ან განმარტებები). აქვე ბრჭყალებშია ჩასმული განსამარტი სიტყვის სინონიმები ქართული ტექსტის პარალელური რედაქციებიდან (რა თქმა უნდა, თუ არსებობს ასეთი რედაქციები); გ) შემდეგ მოდის დოკუმენტაცია, ჯერ ქართული, შემდეგ სომხური, სათანადო წყაროების მითითებით; დ) ომონიმები ცალ-ცალკეა გატანილი: „აღმზადება“ – պատրաստել (მომზადება), „აღმზადება“ – խախտել (აღშფოთება); „აღწევა“ – յարուցանել (წამოყენება), „აღწევა“ – հասանել (მიწევნა); „აღმოსავალი“ – ծագումն (ამოსვლა), „აღმოსავალი“ – արեւելք (აღმოსავლეთი) და სხვ; ე) როცა ქართული და სომხური სიტყვების მნიშვნელობები ერთმანეთს არ ფარავს, ქართული სიტყვა სომხური შესატყვისის მიხედვით არის განმარტებული: „გამოერთება“ – ձեռն տալ (ხელის მიცემა); „განსაჭრელად“ – ի շաղղակեր (ცოცხლად საჭმელად).

განუზომელია ლექსიკონის წმინდა ლექსიკოლოგიურ-ენათმეცნიერული მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ ამ ლექსიკონში გვაქვს ქართულ-სომხური მდიდარი ლექსიკა, მთავარი შედეგი, რასაც ის ამ ორი ენის შესწავლისათვის იძლევა, ის არის, რომ ბევრი ქართული სიტყვისა და ტერმინის მნიშვნელობის დადგენა, რომლებიც სხვა ქართული ლექსიკონებით არ არის ცნობილი, მოხერხდა სომხური შესატყვისების მეშვეობით, და, პირიქით, ბევრი სომხური სიტყვის მნიშვნელობა ქართული შესატყვისის მიხედვით ირკვევა. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს:

„ადრე“ სიტყვას, როგორც სომხური ტექსტი გვიჩვენებს, „მესუკაეთა წამებაში“ „ხვალის“ მნიშვნელობაც აქვს: „რომელი დღეს არს და ადრე წარწყმდების“ (შდრ. որ այսաւր է եւ վաղիւ կորնչի).

„აერი“ // „ჰაერი“ ლექსიკონში „ქარის“ მნიშვნელობითაც არის ნახმარი. ამასაც სომხური შესაბამისი ტექსტები გვიჩვენებენ, სადაც შესატყვისად օդ და հողմ დასტურდება.

„აეროვანი“ რომ „უსართულოს“ ნიშნავს და ეს უკანასკნელი რომ „უსახურავოს“, ირკვევა სომხური შესატყვისით – միջոց-ით.

„ანგროვანის“ მნიშვნელობაც სომხური შესატყვისის, խաշն-ის მიხედვით დგინდება: იგი ცხვრის ფარის, შინაური პირუტყვის აღმნიშვნელია.

ანძრული – სახვეველი საგრაგნელი (խանձարուր).

არიელი – ძირი, საფუძველი (բուն).

აპარანი – სასახლე (ապարան).

ასლი – ჭვავი (հաճար).

ახლონდელი – გუშინდელი (երիկեան) და სხვ.

არც ერთი მათგანი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არ დასტურდება. ეს იმას ნიშნავს, რომ არა სომხური შესატყვისები, მათი დიდი ნაწილი შეიძლება განუმარტავი დარჩენილიყო.

ლექსიკონში არის ისეთი მაგალითებიც, როდესაც ცნობილი სიტყვა სრულიად უცნობი ახალი მნიშვნელობით არის გამოვლენილი. **ა**ნი-ს მასალაში ასეთი სიტყვებია: ადრე, აერი//ჰაერი, ამბარი, ამბოხი, ასლი, ასპიდი, ახალი. მთელ ლექსიკონში მათი რიცხვი არც თუ მცირეა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ლექსიკონში დასტურდება ქართულ-სომხური საერთო ხმარების ბევრი სიტყვა. მათ სიმრავლეს დიდწილად განაპირობებდა ქართველ-სომეხთა მეზობლური მოსახლეობა. ამ სიტყვათა დიდი რაოდენობა როგორც ქართველთა, ისე სომეხთა მეტყველებაში, როგორც ჩანს, დამკვიდრებულია ერთმანეთთან კონტაქტით, სესხების გზით, ერთი ნაწილი კი, ალბათ, ლიტერატურული ურთიერთობის შედეგად შევიდა ორივე ენაში.

მხოლოდ **ბ**ანი-ს მასალაში, რომელიც ლექსიკონში 200-ზე ცოტა მეტ ერთეულს ითვლის, 40-მდე საერთო ხმარების სიტყვა იძებნება. ასეთებია: ბაგინი, ბადენი, ბავრუკი, ბაზმაკი, ბაკი, ბალარჯი, ბალარჯობა, ბალღინჯი, ბანაკი, ბანდაკი, ბანერეგეს, ბაკი, ბარბაროსი, ბატრუჭაკი, ბაწარი, ბეგარი, ბედი, ბედეკი, ბევრი, ბევრეული, ბელეკონი, ბელზებული, ბემონი, ბივრიტი, ბილწი/პილწი, ბიწი, ბომონი, ბისონი, ბორვალი, ბრინჯი, ბრჭალი, ბრჭალამდისი, ბტული, ბუდე, ბუვი, ბუნი, ბუნება, ბჲრილიონი, ბჭეთმწიგნობარი.

ლექსიკონის მთლიან მოცულობას თუ გავითვალისწინებთ, იგი საერთო ხმარების სიტყვების დიდ რაოდენობას უნდა შეიცავდეს. ასე რომ, ამ ლექსიკონიდან შეიძლება ამოიზარდოს ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვების არცთუ პატარა ლექსიკონიც.

არის შემთხვევები, როდესაც ქართულ განსამარტ სიტყვას სომხურში შეესაბამება ამავე მნიშვნელობის მქონე ქართულ-სომხური საერთო ხმარების სხვა სიტყვა. აქ ჩამოთვლილთაგან ასეთებია: ბაზმაკი – ճրագ (ჭრაქი), ბაწარი լար (ლარი), ბეგარი – հարկ (ხარკი), ბომონი – բագին (ბაგინი), ბრჭალი – թաթ (თათი), ბჭეთმწიგნობარი – դիւանադպիր (მდივანმწიგნობარი). ძეგლების ქართული და სომხური თარგმანების მიხედვით ურთიერთშესატყვისი ერთეულების ჩვენება ლექსიკონში არცთუ იშვიათად წარმოდგენილია მეტყველების თითქმის ყველა ნაწილით: ბრუნვის ნიშნები: **-ად** (ի. ըստ); ნაწილაკები: **-ვე** (իսկ. ինչ. –ին. տակաւին. միւսանգամ); **ლა** (եւս. դեռ եւս. այլեւս. պակաւին. աղէ); ზმნიზედები: **ან** (արդ. այժմ. այժմիկ) და მისი ვარიანტები: **ან ესერა** (արդ); **ან სამე** (արդեօք); **ან უკუე** (այսուհետեւ. ապա ուրեմն. աստանօր); **ან უკუე სამე** (արդեօք); თანდებულები: **-გან** (վասն. ի ձեռն. առ); **გამო** (վասն. յաղագս, ի ձեռն. =աւ/իւ/ով), **გამო-ვე** (աւ\ իւ/ով) და სხვ.

„ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონის (მასალების)“ მნიშვნელობა სცილდება ლექსიკოლოგიურ-ენათმეცნიერულ ღირებულებას და, ამა თუ იმ ტექსტის განმარტებითი თუ ეტიმოლოგიური ლექსიკონებისგან განსხვავებით, ლექსიკური ერთეულების და სხვა ენობრივი მონაცემების საფუძველზე წარმოაჩენს ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ხასიათს. ასეთი ამომწურავი და თანმიმდევრული ფიქსაცია ცნება-ტერმინების თუ ყოფითი სიტყვებისა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ და შევისწავლოთ ქართული და სომხური ლიტერატურის ადგილი და სპეციფიკა ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტუროლოგიურ კონტექსტში. ეს ლექსიკონი საშუალებას მისცემს ქართული და სომხური ლიტერატურის ურთიერთმიმართების საკითხებით დაინტერესებულ პირებს მთელი რიგი ძეგლების ჩაკითხვის გარეშე მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია ყველანაირი შინაარსის ლექსიკური ერთეულების შესახებ, მათი ქართულ და სომხურ ენებზე არსებული მნიშვნელობების ცვლისა და მოდიფიკაციის მიხედვით მოახერხონ როგორც ქართულ, ისე სომხურ სააზროვნო ლიტერატურულ პროცესებში მიმდინარე ცვლილებების ურთიერთშედარება, საერთო თუ განსხვავებული ტენდენციების დაფიქსირება. ეს ლექსიკონი შეასრულებს მასში ასახულ წყაროებში (ბიბლია და ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური ძეგლები) ორიენტირის ფუნქციას.

ილია აბულაძის „ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონის (მასალების)“ გამოცემის განხორციელებისთვის საჭირო იყო მთელი რიგი ისეთი სამუშაოს ჩატარება, რაც თვითონ ავტორს ჰქონდა განზრახული და არ დასცალდა. ლექსიკონის გამოსაცემად მომზადებას შეუდგნენ ილია აბულაძის მოწაფეები: ციალა ქურციკიძე, ელენე ცაგარეიშვილი და მაია რაფავა. უპირველესად, საჭირო იყო ილია აბულაძის ხელით ბარათებზე გადაწერილი მასალის ერთიან სისტემაში მოყვანა: დოკუმენტაციისათვის მოტანილი მასალის შედარება როგორც ქართულ, ისე სომხურ წყაროებთან (ნაბეჭდ გამოცემებთან თუ ხელნაწერებთან). აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი წყაროს (განსაკუთრებით, მატენადარანში დაცული ხელნაწერის) შემოწმება ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. ასევე საჭირო იყო ბარათებზე გაპარული

ზოგიერთი უზუსტობის გასწორება, ნაკლული ადგილების შევსება, ერთი და იმავე ძირიდან წარმოებული ჯერ სახელების, შემდეგ ზმნების დალაგება და სხვ.

ლექსიკონში გამოყენებული წყაროების მრავალრიცხოვნების გამო დოკუმენტაციისას ისინი მითითებულია შემოკლებით. აუცილებელი გახდა წყაროების შემოკლებათა განმარტება. წყაროთა სიაში ქართული წყაროები განმარტებულია ციალა ქურციკიძის, სომხურ წყაროებში კი – ელენე ცაგარეიშვილის მიერ. წყაროთა სია ლექსიკონს თავში აქვს წამძღვარებული.

„ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონის (მასალების)“ გამოსაცემად მომზადებისას გაჩნდა აზრი, ლექსიკონს თან დართვოდა ინვერსიული საძიებელი. ინვერსიული საძიებელი (შეადგინა ელენე ცაგარეიშვილმა) სომხური ლექსიკური ერთეულების ანბანზეა გაწყობილი. თითოეულ სომხურ სიტყვასთან მითითებულია ქართული შესატყვისი ან შესატყვისები. ინვერსიული საძიებელი ფართო ინფორმაციულობის შემცველია ქართული და სომხური ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობების თვალსაზრისით და საკმაოდ სანდო საფუძველია ამ ურთიერთობათა სხვადასხვა მიმართულებით კვლევისათვის.

ილია აბულაძის „ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონის (მასალების)“ გამოცემით ყველამ, ვინც ინიციატივა გამოიჩინა, რომ ეს წიგნი გამოსულიყო – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. თამაზ გამყრელიძემ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზუბა კუდავამ, გამომცემლებმა: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა – ციალა ქურციკიძემ, ელენე ცაგარეიშვილმა, მაია რაფავამ, კომპიუტერული უზრუნველყოფის შემსრულებლებმა – ხათუნა გაფრინდაშვილმა, ირმა ხოსიტაშვილმა, ქეთევან ოთარაშვილმა – კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი დიდი მეცნიერის ხსოვნას და განაქარვეს ის წუხილი, რაც იმქვეყნად წასულ მეცნიერს ლექსიკონთან დაკავშირებით დარჩა: „ამას ვერავინ დაამთავრებს ჩემს გარდაო“. შეიძლება, ლექსიკონს ის სახე არა აქვს, როგორსაც ამას თავად ბატონი ილია ისურვებდა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ლექსიკონი ისეთივე სამაგიდო წიგნი გახდება ქართული და სომხური ენისა და მწერლობის ისტორიით დაინტერესებული ყველა პირისათვის, როგორიც სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ და თვითონ ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონია“.

მაია რაფავა
ციალა ქურციკიძე
ელენე ცაგარეიშვილი

PREFACE

"For successor generations not to consign
our works to oblivion"

The Life of Giorgi Mtatsmindeli,
Ioane and Eqvtime Mtatsmindeli

These words bequeathed to us by our great ancestors concerning their works to be left to the descendants are truly fitting of Ilia Abuladze's legacy. Modern reader is thoroughly familiar with his scholarly works in Georgian Studies and Armenian Studies but for the first time it becomes possible to get acquainted with his fundamental work "Documentary Lexicon of Old Georgian – Old Armenian".

Most of his life Ilia Abuladze devoted to the compilation of this Lexicon, over the years he supplemented and improved it. Regrettably, in his lifetime the scholar failed to give final form to this Lexicon and finish it as he intended.

A year before his death (1967) Ilia Abuladze wrote in his will: 'Nothing remains unprinted. Just a Lexicon and it is in preparation. I have transferred the "Lexicon of the Old Georgian – Modern Georgian Language" for printing into the book (davtari) and gathered the materials of "Old Georgian-Old Armenian Language" (from here I collected "old Georgian-Modern Georgian") on the cards. No one else but me can finish it... Maybe in the future someone will want to learn Old Georgian – Old Armenian language and make use of it" (Ilia Abuladze's Archive, N42).

Five years after the death of the scholar (1973) the research workers of the Institute of Manuscripts published his "Lexicon of the Old Georgian Language". Due to the fact that the author considered this work unfinished the Lexicon was entitled "Materials" but still it remains a handbook for all researchers interested in studying of the old Georgian language and writing.

The "Documentary Lexicon of Old Georgian-Old Armenian" is also presented as "Materials" because as follows from Ilia Abuladze's will the author himself named it "Materials".

First of all, it should be noted that the Lexicon is rewritten on 12 000 cards with the size of a sheet of 12-page notebook with Ilia Abuladze's beautiful calligraphy well known to everybody.

What does "Documentary Lexicon of Old Georgian-Old Armenian" represent?

The "Documentary Lexicon (Materials) of Old Georgian-Old Armenian" is an exact confirmation of the evaluation given to Ilia Abuladze's work by academician Arnold Chikobava: "After Niko Marr's remarkable publications Georgian-Armenian philology never had reached such a high level as it was achieved in Ilia Abuladze's works". Due to its specific character expressed in bilinguism of the interpreted words and documentary this Lexicon is a rare event in the field of writing and culture of Christian East.

According to its function, composition and volume the "Documentary Lexicon (Materials) of Old Georgian-Old Armenian" is a work of epochal importance in search and research of oncoming issues and tasks related to Georgian Studies and Armenian Studies.

The Lexicon contains materials from the monuments of the old Georgian and old Armenian writing. The material from the Bible is presented as fully as possible, and that of hagiographic and homiletic monuments with less fullness. The material is taken both from printed books and a large part from manuscripts because by the time of compilation of this Lexicon many texts used here (including Georgian Bible) had not yet been published. The mentioned Lexicon as a sample of bilingual documentary Lexicon, is a work of paramount importance in lexicography. It can be put on a par with the same kind of the world-known lexicons in different languages. The sources used in the Lexicon – biblical text and homiletic-hagiographic compositions – are the translations of the Early Byzantine time, both in Georgian and Armenian languages. Thus, this Lexicon is placed in the context of the study of Byzantine culture and considerably enriches the research history of both Byzantine and Georgian-Armenian literary and cultural relations.

Technically, the Lexicon is constructed in the following way: a) the interpreted Georgian word taken from the source is followed by Armenian equivalent (or equivalents) from the corresponding Armenian source (or sources); b) definition (or definitions) of this word are inserted in brackets on the side of the dictionary unit. The synonyms of the interpreted word from the parallel redactions of Georgian text (of course, if such redactions exist) are placed in brackets; c) after this follows the documentary, first Georgian, then Armenian with indication of appropriate sources; d) the homonyms are placed separately: „აღმზადება" – պատրաստել (preparation), „აღმზადება" – խախտել (indignation); „აღწევა" – յարուցանել (uplift), „აღწევა" – հասանել (move aside); „აღმოსავალი" – ծագումն (rising), „აღმოსავალი" – արեւելք (the east), etc.; when the meanings of Georgian and Armenian words do not coincide with each other, Georgian word is interpreted according to Armenian equivalent: „გამოერთება" – ձեռն տալ (to give one's arm); „განსაჭრელად" – ի շաղղակեր (to eat alive).

Pure lexicological and linguistic importance of the Lexicon is invaluable. Besides the fact that this Lexicon contains rich Georgian-Armenian vocabulary, the main outcome it gives for the study of these two languages consists in the fact that determination of the meaning of many Georgian words and terms which are not known from other Georgian dictionaries, becomes possible by means of Armenian equivalents and, on the contrary, the meaning of many Armenian words is found according to Georgian equivalents. Here are given several examples:

The word "earlier" as is shown in an Armenian text "Martyrdom of Mesuks" also has a meaning of "yesterday": „რომელი დღეს არს და ადრე წარწყმდების" (შდრ. որ այսաւր է եւ վաղիւ կորնչի) [which is today and earlier too].

The word "aeri' // "the air" is used in the Lexicon in the meaning of "wind" too. This is also shown in relevant Armenian texts where [օդ and հողմ] is attested as an equivalent.

The fact that "aerovani" means "usartulo" and the latter means "usaxuravo" (roofless) becomes known from the Armenian equivalent միջոց.

The meaning of "angrovani" is also established according to Armenian equivalent խաշն: it denotes a flock of sheep, domestic animals.

The word "anzruli" – rolled scroll (խանձարուր).

Arieli – the base, foundation (բուն).

Aparani – the castle (ապարան).

Asli – rye (հաճար).

Axlondeli – yesterday's (երիկեան), etc.

None of these words is attested in Sulkhan-Saba Orbeliani's Dictionary. This means that non Armenian equivalents, their large part might have left uninterpreted.

There are also such examples in the Lexicon when the known word is revealed in completely unknown new meaning. In A ა-ს material such words are: ადრე, აერი//ჰაერი, ამბარი, ამბოხი, ასლი, ასპიდი, ახალი (earlier, aeri//air, barn, uprising, copy, slate, new. Their number throughout the Lexicon is not small.

It is also interesting to note the fact that lots of words of Georgian-Armenian common usage are attested in the Lexicon. Their great number is much due to the Georgian-Armenian neighborhood. A large number of these words both in Georgian and Armenian language seem to have been established through intercourse with each other, borrowing, and one part probably as a result of literary relations entered both languages.

Only in B material which counts a little more than 200 units in the lexicon, around 40 words of common use are found. They are: ბაგინი, ბადენი, ბავრუკი, ბაზმაკი, ბაკი, ბალარჯი, ბალარჯობა, ბალღინჯი, ბანაკი, ბანდაკი, ბანერეგეს, ბაკი, ბარბაროსი, ბატრუჭაკი, ბაწარი, ბეგარი, ბედი, ბედეკი, ბევრი, ბევრეული, ბელეკონი, ბელზებული, ბემონი, ბივრიტი. ბილწი/პილწი, ბინი, ბომონი, ბისონი, ბორვალი, ბრინჯი, ბრჭალი, ბრჭალამდისი, ბტული, ბუდე, ბუვი, ბუნი, ბუნება, ბჳრილიონი, ბჭეთმწიგნობარი.

If we take into consideration the total volume of the Lexicon, it must contain a great number of words of common usage. So this lexicon can give rise to rather voluminous Lexicon of Georgian-Armenian language.

There are cases when Georgian interpreted word in Armenian corresponds with other word taken from Georgian-Armenian common use which has the same meaning. Of the above listed words are: ბაზმაკი – ճրագ (lampion), ბანარი – լար (lari), ბეგარი – հարկ (tribute), ბომონი – բագին (sanctuary), ბრჭალი - բաք (paw), ბჭეთმნიგნობარი – դիւանադպիր (secretary scribe). The display of corresponding units according to the translations of Georgian and Armenian monuments in the Lexicon is not so rarely presented by almost all parts of speech: case forms -ად (ի, ըստ); particles: -ვე (իսկ, ինչ, -ին, տակաւին, միւսանգամ); და (եւ, դեռ եւ, այլեւ, պակաւին, աղէ); adverbs: აწ (արդ, այժմ, այժմիկ) and their variants: აწ ესერა (արդ); აწ სამე (արդեօք); აწ უკუე (այսուհետեւ, ապա ուրեմն, աստանօր); აწ უკუე სამე (արդեօք); prepositions: -გან (վասն, ի ձեռն, առ); გამო (վասն, յաղագս, ի ձեռն, =աւ/իւ/ով), გამო-ვე (աւ/իւ/ով), etc.

The importance of the "Documentary Lexicon (Materials) of Old Georgian-Old Armenian" goes beyond lexicological and linguistic value and unlike glossary or etymological dictionaries of this or that text, on the basis of lexical units and other linguistic data displays the character of Georgian and Armenian literary relations. Such an exhaustive and consecutive fixation of notions-terms and old words makes it possible to trace and study the place and specifics of Georgian and Armenian literature in culturological context of the Eastern Christianity. The Lexicon gives an opportunity for all persons interested in the issues of the relationship of Georgian and Armenian literature to get the right information without reading a number of monuments on lexical units of any content, manage collation of changes taking place in literary processes of both Georgian and Armenian according to the change and modification of their meanings existing in Georgian and Armenian languages, fixation of common and different trends. This Lexicon will fulfill the function of reference point of the sources reflected in it (Bible and hagiographic-homiletic monuments).

For publication of Ilia Abuladze's "Documentary Lexicon (Materials) of Old Georgian-Old Armenian" it was necessary to perform quite a number of works that the author himself intended but failed to realize. The Lexicon was prepared for publication by Ilia Abuladze's disciples: Tsiala Kurtsikidze, Elene Tsagareishvili and Maia Raphava. First of all, it was neccesary to bring the material rewritten on the cards by Ilia Abuladze's hand in a single system: collation of the material brought to documentation both with Georgian and Armenian sources (with printed editions and manuscripts). It should be mentioned that the examination of some sources (especially the manuscript kept in the Matenadaran) was not possible because of objective reasons. In addition to this, it was necessary to correct some inaccuracies occured on the cards, fill in the blank spots and arrange first the nouns and then verbs derived from one and the same root, etc.

Due to a great number of sources used in the Lexicon, they are indicated in abbreviation. It became necessary the explanation of the abbriviations of the sources. In the list of sources Georgian sources are interpreted by Tsiala Kurtsikidze and in Armenian sources by Elene Tsagareishvili. The list of sources is placed in the head of the Lexicon.

While preparing the "Documentary Lexicon (Materials) of Old Georgian-Old Armenian" the idea to provide the Lexicon with inverted index came to us. The inverted index (compiled by Elene Tsagareishvili) is arranged on the alphabet of the Armenian lexical units. With each Armenian word Georgian equivalent or equivalents are indicated. From the viewpoint of Georgian and Armenian linguistic-literary relationship the inverted index is widely informative and rather reliable in research of different directions of these relations.

By publication of I.Abuladze's "Documentary Lexicon (Materials) of Old Georgian-Old Armenian" everyone who took initiative to issue this book –Academician of the Georgian National Academy of Sciences Tamaz Gamkrelidze, director of the National Centre of Manuscripts Buba Kudava, publishers: research workers of the National Centre of Manuscripts – Tsiala Kurtsikidze, Elene Tsagareishvili, Maia Raphava, performers in software support – Khatuna Gaprindashvili, Irma Khositashvili, Ketevan Otarashvili – once again paid tribute to the memory of a great scholar and dispelled the concern that the scholar who went to the next world had had relating the Lexicon: "No one else but me can finish it". Probably the Lexicon is not quite the same as I.Abuladze would wish but we believe that this Lexicon will become the same table book for all those who are interested in the history of Georgian and Armenian language and writing as Sulkhan-Saba Orbeliani's "Georgian Dictionary" and Ilia Abuladze's "Lexicon of Old Georgian Language".

Maia Raphava
Tsiala Kurtsikidze
Elene Tsagareishvili

ლექსიკონის წყაროების შემოკლებათა სია

აბდ. – აბდია. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა. Մարգարէութիւն Աբդիու.

ადამ. – საკითხავი ადამ და ევაჲსი სამოთხით გამოსვლისაჲ, ციალა ქურციკიძე, ადამის აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია; ფილოლოგიური ძიებანი, I თბ., 1964. გვ. 97-136. Թանգարան հին եւ նոր նախնեաց. Ա. Անկանոն գիրք հին կտակարանաց. Վենետիկ Ս. Ղազար. 1896. გვ. 1-23. Գիրք Ադամայ.

ათ. ალექს. – ანტ.დ; *ანტ.დ.* – ათანასე ალექსანდრიელი, თ˜ა იანვარსა იხ. ჴსენებაჲ წმიდისა ანტონისი. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1109. გვ. 19r-36r.

ამბ. იხ. ბიბლია, ძვ. აღთქმა. Մարգարէութիւն Ամբակումայ.

ამოს. იხ. ბიბლია, ძვ. აღთქმა. Մարգարէութիւն Ամովսայ.

ანან. ებრ. – დიდსა პარასკევსა საკითხავი ვნებისათჳს და სიკუდილისა, მოსაჴსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქუმული ანანია ებრაელისაჲ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-70 ხელნაწერი, 304v-314v. Յիշատակարանք որ եղեն վասն Քրիստոսի առաջի Պոնտացւոյ Պիղատոսի իշխանի Հրէաստանի իხ. Թանգարան Հայկական հին եւ նոր դպրութեանց, Բ. Անկանոն գիրք նոր կտակարանաց. Վենետիկ 1898. გვ. 313-378.

ანან; **ანან. ებრ.** – დიდსა პარასკევსა საკითხავი ვნებისათჳს და სიკუდილისა, მოსაჴსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქუმული ანანია ებრაელისაჲ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-71 ხელნაწერი, 21r-45v. Յիշատակարանք Պիղատոսի. Յիշատակարանք որ եղեն վասն Քրիստոսի առաջի Պոնտացւոյ Պիղատոսի իշխանի Հրէաստանի. იხ. Թանգարան հայկական հին եւ նոր դպրութեանց. Բ. Անկանոն գիրք նոր կտակարանաց. Վենետիկ. 1898. გვ. 313-378.

ანან. ებრ.: **ანან.** – საკითხავი ვნებისათჳს და სიკუდილისა, მოსაჴსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქმული ანანია ებრაელისაჲ, დასისაგან შჯულის მეცნიერისა: ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახ. კაბინეტმა. თბ.1947. გვ. 193-199. Յիշատակարանք Պիղատոսի. Յիշատակարանք որ եղեն վասն Քրիստոսի առաջի Պոնտացւոյ Պիղատոսի իշխանի Հրէաստանի. იხ. Թանգարան հայկական հին կտակարանաց. Վենետիկ. 1898. გვ. 313-378.

ანგ. იხ. ბიბლია, ძვ. აღთქმა. Մարգարէութիւն Անգեայ.

ანდ. ანატ. – წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ ანდრიანჵსი და ცოლისა მისისა ანატოლჵსი და მათ თანა მოწამეთაჲ, რომელნი ნიკომიდია ქალაქში ინამნეს; ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო VI. მარტჳლობაჲ ანდრიანჵსი და ანატოლჵსი, ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი. „მეცნიერება“, თბ., 1965. გვ. 171-236. იქვე, Վկայաբանութիւն Սրբոյն Ադրիանոսի եւ կնոջ նորա Անատոլեայ եւ որք ընդ նոսա սուրբք են.

ატმ. – წამებაჲ წმიდისა ატომისი და ძისა მისისაჲ და მოყუასთა მისთაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში. თბ., 1944. გვ. 95-113. იქვე, Վկայաբանութիւն սրբոյն Ատոմայ եւ որդւոյ նորա վարոսայ եւ ներսեհի եւ նոցին ընկերացն որ ի Քրիստոս նահատակեցան, զոր ասացեալ է հայր տաճատայ վարագեցւոյ.

ანტ. დ. ***იხ. ათ. ალექს.***

არსტ. – წამებაჲ წმიდათა მღვდელთმოძღუართაჲ სომხითისათა არისტაკჵსი, ორთანჵსი, ოსიკისი, გრიგორისი, დანიელისი: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში. თბ., 1944. გვ. 62-68. იქვე, Վկայութիւն սուրբ հայրապետացն հայոց Արիստակիսի. Վրթանիսի. Յուսկան. Գրիգորիսի. Դանիէլիսի.

ბაბ. – თ̃სა იანვარსა ივ. წამებაჲ წმიდისა ბაბილაჲსი და სამთა ყრმათა მოწაფეთა მისთაჲ: კიმენი, ტ. I, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ. 1918. გვ. 44-47. Վկայաբանութիւն սրբոյն Մեծին Բաբելայ եւ ութսուն եւ չորից աշակերտացն. იხ. Վարք եւ վկայաբանութիւնք սրբոց... հատոր Ա. Վենետիկ. 1874. გვ. 158-166.

ბარ. ბარუქ. იხ ბიბლია, ძვ. აღთქმა. Թուղթ Բարուքայ.

ბას. კეს. – ექუს. დღ. ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთაჲ: უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“ X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. თბ., 1964. გვ. 29-136. Սրբոյ Բասիլի Եպիսկոպոսի Կեսարու Կապադովկացւոյ ճառք վասն վեցօրեայ արարչութեանն. Վենետիկ, 1830.

ბიბლია

ძველი აღთქმა

G – გელათის ბიბლია, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ. A-1108 და Q-1152 ხელნაწერები.

J – იერუსალიმის ბიბლია, იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 7/11 ხელნაწერი.

M – მცხეთის ბიბლია, ხელნაწ. ინსტ. №51 ხელნაწერი.

O – ოშკის ბიბლია, ათონის ივერიის მონასტრის ქართული კოლექციის №1 ხელნაწერი.

p.b. – ბაქარის ბიბლია, ქართული ბიბლიის 1743 წლის მოსკოვის გამოცემა.

Աստուածաշունչ մատեան հին եւ նոր կտակարան ըստ ճշգրիտ թարգմանութեան նախնեաց մերոց ի հելլենականն հաւատարմագոյն բնագրէ ի հայկական բարբառ:

Նորոգապէս ի լոյս ընծայեալ յընտրելագոյն գրչագիր գաղափարէ. համեմատութեամբ այլ եւ այլ օրինակաց. հանդերձ կարեւոր ծանօթութեամբք բնաբանին:

Յաշխատասիրութեան Տ՟ն Յովհաննու Զօհրապեան վարդապետի ի միաբանութեան մեծին Մխիթարայ Րաբունապետի եւ առաջին Աբբայի:

Բաժանեալ ի չորս հատորս 1805. ի Վենետիկ:

დაბ. – წიგნი დაბადებისაჲ Ծնունդք

გამოსლ. – წიგნი გამოსლვათაჲ Ելք

ლევიტ. – წიგნი ლევიტელთაჲ Ղեւտական

რიცხვ. – წიგნი რიცხუთაჲ Թիւք

II შჯ. – წიგნი მეორე სჯულისა Երկրորդումն օրինաց

ისუ ნ. – წიგნი ისუ ნავესი Գիրք Յեսուայ որդւոյ Նաւեայ

მსჯ. – წიგნი მსაჯულთა Դատաւորք

რუთი – წიგნი რუთისი Հռութ

I მფ. – წიგნი პირველი მეფეთაჲ Թագաւորութեանց առաջին

II მფ. – წიგნი მეორე მეფეთაჲ Թագաւորութեանց երկրորդ

III მფ. – წიგნი მესამე მეფეთაჲ Թագաւորութեանց երրորդ

IV მფ. – წიგნი მეოთხე მეფეთაჲ Թագաւորութեանց չորրորդ

I ნშტ. – წიგნი პირველი ნეშტთაჲ Մնացորդաց առաջին

II ნშტ. – წიგნი მეორე ნეშტთაჲ Մնացորդաց երկրորդ

I ეზრა – წიგნი პირველი ეზრასი (წიგნი ეზრა ზორა ბაბელისი, არაკანონიკური) Գիրք Եզրի առաջին

II ეზრა – წიგნი მეორე ეზრასი (კანონიკური ეზრა) Եզրայ Երկրորդ

ნეემია – წიგნი ნეემიაჲსი Բանք Նեեմայ որդւոյ Աքաղիա

III ეზრა – წიგნი მესამე ეზრასი (ეზრა სუთიელი) Եզր երրորդ

ივდ. – წიგნი ივდითისი Յուդիթ է գիրքս

ესთ. – წიგნი ესთერისი Եսթեր

იობ. – წიგნი იობისი Գիրք Յոբայ

ფს. – ფსალმუნნი: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზექალა შანიძემ, თბ., 1960. Գիրք Սաղմոսաց Դաւթի

იგ: იგ.სოლ. – იგავნი სოლომონისნი Առակք Սողոմոնի

ეკლ·ეკლეს. – ეკლესიასტე Բանք Ժողովողին

სიბრძ. სოლ. – სიბრძნჱ სოლომონისი Իմաստութիւն Սողոմոնի

ქებ. ქება – ქებაჲ ქებათაჲ Երգ-երգոց

ზირ. —სიბრძნე ისუ ზირაქისი Գիրք Սիրաքայ

ეს. – წინაწარმეტყუელებაჲ ესაჲაჲსი Մարգարէութ̃ի Եսայայ

იერემ. – წინაწარმეტყუელებაჲ იერემიაჲსი Գիրք Երեմիայ մարգարէի

გოდ. იერემ. – გოდებაჲ იერემიაჲსი Ողբք սրբոյն Երեմիայ մարգարէի

დან. – წინაწარმეტყუელებაჲ დანიელისი Մարգարէութիւն Դանիելի

ეზეკ. – წინაწარმეტყუელებაჲ ეზეკიელისი Մարգարէութիւն Եզեկիելի

მალ. – წინაწარმეტყუელებაჲ მალაქიაჲსი Մարգարէութիյն Մաղաքիայ

ზაქ. – წინაწარმეტყუელებაჲ ზაქარიაჲსი Մարգարէութիւն Զաքարիայ

სოფონ. – წინაწარმეტყუელებაჲ სოფონიაჲსი Մարգարէութիւն Սոփոնիայ

ნაუმ. – წინაწარმეტყუელებაჲ ნაუმისი Մարգարէութիւն Նաւումայ

მიქ. – წინაწარმეტყუელებაჲ მიქიაჲსი Մարգարէութիւն Միքիայ

იონა – წინაწარმეტყულებაჲ იონაჲსი Մարգարէութիւն Յովնանու

ოვსე, ოსე – წინაწარმეტყულებაჲ ოსესი Մարգարէութիւն Ովսեայ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲦᲗᲥᲛᲐ

ოთხთავი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.
Աստուածաշունչ մատեան հին եւ նոր կտակարանաց ըստ ճշգրիտ թարգմանութեան նախնեաց մերոց ի Հելլէնական հաւատարմագոյն բնագրէ ի հայկական բարբառ:
Նորոգապէս ի լոյս ընծայեալ յընտրելագոյն գրչագիր գաղափարէ, համեմատութեամբ այլ եւ այլ օրինակաց, հանդերձ կարեւոր ծանօթութեամբք բնաբանին:
Յաշխատասիրութեան Տ՟ն Հ. Յովհաննու Զօհրապեան վարդապետի ի միաբանութեան մեծին Մխիթարայ Րաբունապետի եւ առաջին Աբբայի: Բաժանեալ ի չորս հատորս. Հատոր չորրորդ. 1805 Ի Վենետիկ:

მთ. – სახარებაჲ მათჱსი გვ. 1-109 Աւետարան ըստ Մատթէոսի

მრ. – სახარებაჲ მარკოზისი გვ. 110-178 Աւետարան ըստ Մարկոսի

ლ. – სახარებაჲ ლუკასი გვ. 179-293 Աւետարան ըստ Ղուկասու

ი. – სახარებაჲ იოვანჱსი გვ. 294-380 Աւետարան ըստ Յովհաննու

საქმე მოციქულთა: საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით. თბ., 1950. Գործք Առաքելոց იხ. Աստուածաշունչ մատեան հին եւ նոր կտակարանաց... հատոր չորրորդ. 1805, ի Վենետիկ:

კათოლიკე ეპისტოლენი: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1956.

იაკ. – იაკობისი კათოლიკჱ გვ. 011-016 Թուղթ սրբոյ առաքելոյն Յակոբայ կաթողիկէ

II პეტრე – პეტრესი სამოციქულოჲ გვ. 024-027 Թուղթ Պետրոսի երկրորդ

I ი. I იოვ. – იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე (პირველი) 028-033 Թուղթ Յովհաննու առաջին

იუდა – იუდაჲსი წიგნი 036-037 Թուղթ Յուդայի առաքելոյ կաթողիկէ

თავნი იაკ. ეპ.: იაკობ. ეპ. – თავნი იაკობ მოციქულისა კათოლიკისანი. გვ. 37-39 Գլուխք թղթոյն Յակոբայ

I პეტრე თავნი – პეტრე მოციქულისა პირველი წიგნი კათოლიკე გვ. 54-66. Գլուխք ա՟ թղթոյն Պետրոսի Առաքելոյ

უწყ. II ეპ. პეტრ: II პეტრე (უწყ.) – უწყებაჲ მიზეზსა პეტრეს მეორისა კათოლიკისასა, გვ. 66-67. Նախադրութիւն երկրորդ թղթոյն Պետրոսի

უწყ. ებ. ი.: უწყ. ი.ეპ. – უწყებაჲ მიზეზსა იოვანეს პირველისა კათოლიკისასა, გვ. 76-78. Նախադրութիւն առաջին թղթոյն Յովհաննու

I ეპ.ი. – იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე გვ. 80-91. Թուղթ Հովհաննու առաջին

III ი. (უწყ.) – უწყებაჲ მიზეზსა იოვანეს მესამისა კათოლიკისასა გვ. 95 Նախադրութիւն երրորդ թղթոյն Յովհաննու

III ი. თავნი – თავნი იოვანეს მესამისა კათოლიკისანი გვ. 95 Գլուխք երրորդ թղթոյն Յովհաննու

III იოვ. – იოვანე მოციქულისა მესამე კათოლიკე, გვ. 96-97. Թուղթ Յովհաննու երրորդ

იუდა (უწყ.) – უწყებაჲ მიზეზსა იუდა მოციქულისა კათოლიკისასა. გვ. 98 Նախադրութիւն թղթոյն Յուդայի Առաքելոյ

ეპ. იუდ. თავნი: იუდ. (თავნი) – თავნი იუდაჲს კათოლიკისანი. გვ. 99 Գլուխք թղթոյն Յուդայի Առաքելոյ

ეპისტოლენი პავლესნი: ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, თბ. 1963, გვ. 369-537.

ჰრომ. – რომაელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი. გვ. 371-400 Պաւղոսի Առաքելոյ առ Հռովմայեցիս թուղթ

I კორ. – კორინთელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი, გვ. 401-429 Առ Կորնթացիս առաջին թուղթ

II კორ. – კორინთელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი. გვ. 430-449 Առ Կորնթացիս երկրորդ թուղթ

გალ.: გალატ: გალტ. – გალატელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი, გვ. 450-459 Առ Գաղատացիս թուղթ

ეფეს. – ეფესელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი, გვ. 460-470 Առ Եփեսացիս թուղթ

ფლპ. – ფილიპელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი. გვ. 471-477 Առ Փիլիպեցիս թուղթ

კოლ. – კოლასელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი. გვ. 478-484 Առ կողոսացիս թուղթ

I თეს. – თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი პირველი, გვ. 485-491. Առ Թեսաղոնիկեցիս առաջին թուղթ

II თეს. – თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი მეორე. გვ. 492-495 Առ Թեսաղոնիկեցիս երկրորդ թուղթ

I ტიმ. – ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე... პავლესი პირველი. გვ. 496-503 Առ Տիմոթէոս առաջին թուղթ

II ტიმ. – ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე... პავლესი მეორე. გვ. 504-509. Առ Տիմոթէոս երկրորդ թուղթ

II ტიტ. – ტიტეს მიმართ ეპისტოლე... პავლესი. გვ. 510-513 Առ Տիտոս թուղթ

ჰებრ. – ებრაელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი. გვ. 516-537 Առ Եբրայեցիս թուղթ

ბ. კეს. – მარხ.: ბას. კეს. – მარხ. – საკითხავნი წმიდათა მარხვათანი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა ბასილი მთავარეპისკოპოსისაჲ კაბადოკიელისაჲ, მარხვისათჳს დღესა აღებასა. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1109 ხელნაწერი, გვ. 51v-64r Պատմութիւն եւ խօսք Եղաղիոսի. յաղագս վարուց եւ սքանչելագործութեանց սուրբ եւ փառաւորեալ հայրապետին Բարսղի. արքեպիսկոպոսին Կեսարու–Կապադովկացւոց ის. Վարք եւ վկայաբանութիւնք սրբոց. Հատոր Ա, Վենետիկ, 1874, გვ. 220-245.

ბ. კეს. – სზსტ.; ბ. კეს. – 40სზსტ: ბ. კეს. – 40-თჳს; ბას. კეს. – ორმეოც.: ბას. კეს. – 40 სზსტ. – თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია კაპადუკიელისაჲ ჴსენებასა წმიდათა ორმეოცთა მოწამეთსა: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 115-123.
Վկայաբանութիւն սրբոց քառասուն վկայիցն. ის. Վարք եւ վկայաբանութիւնք սրբոց, Հատոր Բ, Վենետիկ, 1874, გვ. 506-514.

გამოჩ. ჯუართ, ჯუარ; ჯუართა გამოჩ; ჯუარ. გამოჩ; გამოცხ. ჯუართა; ჯუარ. გამოც- გამოჩინებაჲ ჯუარისაჲ რომელი გამოუჩნდა კონსტანტინე მეფესა მდინარესა ზედა დანუბსა, რომლისა მიერცა მოიძია პატიოსანი ძელი ჯუარისაჲ წმიდასა ქალაქსა იერუსალემს: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 237-243.

განს. ი; განს. იოან. – თ̃სა აპრილსა კთ̃: განსუენებაჲ იოვანჱსი, მოციქულისაჲ და მახარებელისაჲ; კიმენი, ტ. I, პროფ. კ.კეკელიძის რედაქტორობით, ტფ. 1918, გვ. 198-201. Վարք լուսաւորութեան. ის. թանգարան հայկական հին եւ նոր դպրութեանց գ. Անկանոն գիրք առաքելականք. Վենետիկ, 1904, გვ. 190-299.

გი̃ – თა̃ აპრილსა, წამებაჲ წმიდისა გიორგისი, რომელი აღწერა და თანა-დახუდა ყოველსა სიმჴნესა მისსა მოწაფჱ წმიდისა გიორგისი ბარიქარტას. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H-1708 ხელნაწერი, გვ. 75r-77v.
Վկայաբանութիւն սրբոյն Գեորգայ զօրավարին ის. Վարք եւ վկայաբանութիւնք սրբոց. հատոր Ա, Վենետիկ, 1874, გვ. 252-272.

გოდ. იერემ. ის. ბიბლია, ძვ. აღთქმა.
Ողբք սրբոյն Երեմիայ մարգարէի.

გრ. ანძ – შობ. გრ. ნაზ. – თ̃ საკითხავი, თქუმული წმიდისა გრიგოლ ანძიანძორეველისა ეპისკოპოსისაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა; ილია აბულაძე, „მრავალთავი“. ენიმკის მოამბე, ტ. XIV, გვ. 293-301.
Գիրք եւ ճառ հօգեշահ, ԿՊ, 1722.

გრ. ნაზ – ნათლღ. – თქუმული წმიდისა გრიგოლი ანძიანძორეველ ეპისკოპოსისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-19 ხელნაწერი, გვ. 360-369.

დავ.: – დ.დ. – წამებაჲ წმიდისა დავითისი, რომელი აღესრულა დვინს ჭეშმარიტითა სარწმუნოებითა ქრისტჱ მიერ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 124-132. იქვე: Վկայաբանութիւն սրբոյն Դաւթի որ ի Դուին կատարեցաւ ճշմարիտ խոստովանութեամբ.

დან. ის. ბიბლია, ძვ. აღთქმა.
Մարգարէութիւն Դանիելի.

დიონ. – ცხორებაჲ დიონისიოსისი ეპისკოპოსისაჲ, რომელი იყო ძჱ სოკრატისი და მთავარი ათენელთაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სიმხური ლიტერტაურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 133-147. იქვე: Կեանք Դիոնեսիոսի որդւոյ Սոկրատայ եւ գլխաւորդի Աթենացւոց որ կոչի քաղաք իմաստասիրաց.

ეზეკ. ის. ბიბლია, ძვ. აღთქმა.
Մարգարէութիւն Եզեկիելի.

I ეზრა. ის. ბიბლია, ძვ. აღთქმა.
Գիրք Եզրի առաջին.

II ეზრა. ის. ბიბლია, ძვ. აღთქმა.
Եզրայ երկրորդ.

III ეზრა. ის. ბიბლია, ძვ. აღთქმა.
Եզր երրորդ.

ე.კეს..საეკლ.უწყ.: საეკლ.უწყ.: საეკლ. უწყ. – საჴსენებელსა წმიდისა სერგისსა, თქუმული წმიდისა

ევსები ეპისკოპოსისაჲ ჟამთა-მწერლისაჲ საეკლესიოჲსაგან უწყებისა, ქებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ: კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-95 ხელნაწერი, გვ. 1217-1222.

იაკ.მოც. – იაკობ მოციქულის წამება, ქართ. აგიოგრაფ. ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტ. II. იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის №4 ხელნაწერი, გვ. 9-100.

ეპ. კვპრ. – ფსალ. თარგ. – ეპიფანე კვპრელ ეპისკოპოსი, თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 148-175. იქვე: Հերանելւոյն Եպիփանու Սաղմոսաց մեկնութիւն.

ვარ. – წამებაჲ წმიდისა ვაროზისი: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის №341 ხელნაწერი, გვ. 802-824.

Վկայաբանութիւն սրբոց Վարոսեանց. იხ. Վարք եւ վկայաբանութիւն սրբոց, հատոր Բ, Վենետիկ, 1874, გვ. 370-381.

თ̄ე – ცხორებაჲ წმიდისა თეოდორესი: კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის №341 ხელნაწერი, გვ. 551-554.

Վկայաբանութիւն սրբոյն Թեոդորոսի Վինոտրին Քրիստոսի. Վկայաբանութիւն սրբոյն Թեոդորոսի Կեսարացւոյ. Վկայաբանութիւն սրբոյն Թեոդորոսի Ստրատելատի. იხ. Վարք եւ վկայաբանուըիւն սրբոց, հատոր Ա, Վենետիկ, 1874, გვ. 545-581.

თეკ. თეკლა – წამებაჲ წმიდისა თეკლაჲსი: ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები. „მრავალთავის" ზოგიერთი თავის წყარო, III მარტჳლობაჲ თეკლაჲსი, ენიმკის მოამბე, ტ. VIII, გვ. 91-124.

Պատմութիւն Վարուց Թեկղեայ. იხ. Վարք եւ վկայաբանութիւնք սրբոց. հատոր Ա. Վենետիկ, 1874, გვ. 513-531.

თევდ. თეოდ. – მარხვათა პირველსა კჳრიაკესა დღესა შაბათსა საჴსენებელი წმიდისა და ღუაწლით შემოსილისა თჳსი (თეოდორესი) ევქაიტელ ახლად სტრატიოტად მოყვანებულისა ცხოვრებაჲ და სიმჴნე მისი: Материалы по грузинской агиологии, по рукописям X века, с предисловием издал А. Хаханов, Москва, 1910, გვ. 1-9.

Վկայաբանութիւն սրբոյն Թեոդորոսի Ստրատելատի. იხ. Վարք եւ վկայաբանութիւնք սրբոց. հատոր Ա. Վենետիկ, 1874, გვ. 569-581.

თევდრ.: Q-240 – წამება წმიდისა გიორგისი (და თევდორესი): კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდის №240 ხელნაწერი.

Վարք եւ վկայաբանութիւնք սրբոց. հատոր Ա. Վենետիկ. 1874, გვ. 545-581.

თეოდრ. – წამებაჲ წმიდისა თეოდორესი ევქსაიტელისაჲ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის №341 ხელნაწერი, გვ. 554-559.

Վարք եւ վկայաբանութիւնք սրբոց. հատոր Ա. Վենետիկ. 1874, გვ. 545-581.

თომა; თომა მოც. – წამებაჲ წმიდისა თომა მოციქულისაჲ ჰინდოეთს: ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX-XI ს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959, გვ. 14-20.

Վկայաբանութիւն Թովմայի առաքելոյ որ կատարեցաւ ի Հնդիկս. იხ. Թանգարան Հայկական Հին եւ Նոր դպրութեանց. Գ. Անկանոն գիրք առաքելականք. Վենետիկ. 1904, გვ. 388-436.

ი. – ე. – ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი... გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946.

იზბ. იზტ. – წამებაჲ წმიდისა იზიდბოზიდისი, ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 114-123. იქვე, Վկայաբանութիւն սրբոյն Յիզտիբուզտեայ.

ი.მოც. – საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისანი და პროხორე მოწაფისა მისისანი; ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX-XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც.ქურციკიძემ, თბ., 1959, გვ. 55-91. Վարք Լուսատրութեան. იხ. Թանգարան հայկական հին եւ նոր դպրութեան, Գ. Անկանոն գիրք առաքելականք. Վենետիկ. 1904, გვ. 190-292.

ი.ოქრ. – სასუმლ-საკითხავი თქმული წმიდისა ბასილი მთავარეპისკოპოსისაჲ კესარია კაპადუკიელისაჲ ამისთჳს მამაო, უკუეთუ ჯერ-არს თანა-წარმჴედინ სასუმელი: კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-144 ხელნაწერი, გვ. 40-49.

ი.ოქრ. – პეტრე და ელია; ოქრ. – პეტრე და ელია; პეტრე და ელია – თთუესა ივნისსა კდ. პეტრე მოციქულისაჲ და თთუესა ივნისსა ელია და ელისესი წინასწარმეტყუელთაჲ... საკითხავი თქმული იოვანე ოქროპირისაჲ; კ. კეკელიძის სახ.

ხელნაწერთა ინსტიტუტის A-144 ხელნაწერი, გვ. 311-328.

იპ.რომ.კურთხ.ისააკ და იაკობ. იპოლიტე რომაელი – კურთხ.ისაკ და იაკ. კურთხ.ის.–იაკ–წმიდისა იპოლიტეს თქმული კურთხევათა მათთჳს იაკობისთა, ვითარ-იგი ათორმეტნი ნახპეტნი აკურთხნა. R.Graffin. Patrologia Orientalis, Vol. XXVII. Fasc. 1 et 2. Paris, გვ. 3-115.

იპ.რომ.კურთხ.მოს: იპ.რომ.მოს: კურთხ. მოს: კურთხ. მოსესი – იპოლიტეს განმარტებაჲ კურთხევათა მათთჳს მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა: R.Graffin. Patrologia Orientalis, Vol.XXVII. Fasc. 1 et 2. Paris, 1954, გვ. 116-190.

იპ.რომ. – ქრონ.: იპ.რომაელი: ქრონიკონი: ილია აბულაძე, იპოლიტე რომაელის ქრონიკონის ძველი ქართული ვერსია, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 223-243.

„Անանուն ժամանակագրութիւն. խմբագիր յօրինեալ յէ դարու ի հնագոյն ժամանակագրաց եւ հրատարակեալ ներածութեամբ եւ քաղդատութեամբ", Վենետիկ. 1904.

კ.იერ.აღდგომ.; კ.იერ.აღდგ. – თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კჳრილე მთავარეპისკოპოსისაჲ იერუსალიმელისაჲ აღდგომისათჳს მკუდრეთით უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 155-170.

Երանելիոյն Կիւրղի Երուսաղեմայ հայրապետի կոչումն ընծայութեան. Ի Վենա. 1832, გვ. 274-302.

კ.იერ.აღდგ.; კირ. იერ. – აღდგომ.: კ.იერ. აღდგომ. – ალვსებისა ორშაბათსა ზატიკსა საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კჳრილჱ იერუსალემელ მთავარეპისკოპოსისაჲ მკუდრეთით აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა და სულთათჳს; კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის №144 ხელნაწერი, გვ. 113-131.

Երանելւոյն Կիւրղի Երուսաղեմայ հայրապետի կոչումն ընծայութեան. Ի Վեննա, 1832, გვ. 398-427.

კ.იერ.–მარტ.კ.იერ. – მარტჳლ.-მეორჱ, თქუმული კჳრილე მთავარეპისკოპოსისა იერუსალემელისაჲ რაჟამს იგი მოვიდა წმიდათა მოციქულთა ზედა სული წმიდაჲ: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 185-190.

Երանելւոյն Կիւրղի Երուսաղեմայ հայրապետի կոչումն ընծայութեան. Ի Վեննա. 1832, გვ. 373-427.

კ.იერ. – ნათლღ.:კ.იერ. – ნათლისღ. – დ̃ თქუმული კჳრილესი ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 83-89.

Երանելւոյն Կիւրղի Երուսաղեմայ հայրապետի կոչումն ընծայութեան. Ի Վեննա. 1832, გვ. 29-43.

კ.იერ. – სული წმ. – საკითხავი სულისა წმიდისაჲ თქუმული კჳრილჱ მთავარეპისკოპოსისაჲ იერუსალემისაჲ: კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის №144 ხელნაწერი, გვ. 230-260.

Երանելւոյն Կիւրղի Երուսաղեմայ հայրապետի կոչումն ընծայութեան. Ի Վեննա. 1832, გვ. 365-396.

კ.იერ. – პოვნ.სამშ; პოვნ. – პოვნაჲ წმიდათა სამშჭუალთაჲ: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 243-244.

Գիւտ բեւերացն խաչին Քրիստոսի. ილია აბულაძის არქივი №314, რვეული №3, Ճառընտիր. ერევნის ხელნაწერი №3782, 80.

კ.იერ. – სინან; კირ.იერ. – სინან. – სწავლაჲ კჳრილჱსი იერუსალემელისაჲ სინანულისათჳს: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის №1109 ხელნაწერი, გვ. 64 r-69r.

Երանելւոյն Կիւրղի Երուսաղեմայ հայրապետի կոչումն ընծայութեան. Ի Վեննա. 1832, გვ. 9-27.

ლონგ. – თ̃ა აპრილსა კ̃დ, წამებაჲ წმიდისა ლონგინოზ ასისთავისაჲ; კიმენი, ტ. I, პროფ. კ.კეკელიძის რედაქტორობით, ტფ. 1918, გვ. 188-192.

Վկայաբանութիւն սրբոյն Ղինկինոսին հարիւրապետի. იხ. Վարք եւ վկայաբանութիւնք սրբոց. հատոր Ա. Վենետիկ. 1874, გვ. 714-721.

მიმოდასლ. მდასლ.მოც.: – მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ: ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX-XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959, გვ. 21-42.

„Յաղագս Անդրէի առաքելոյ եւ նորին սքանչելեացն զոր տէր արար ի ձեռն նորա եւ Մատթէի ի մարդակերաց աշխարհին" და „Պատմութիւն սուրբ առաքելոցն Անդրէի եւ Մաթէոսի թէ որպէս գնացին յաշխարհին մարդակերացն" იხ. Թանգարան հայկական հին եւ նոր դպրութանց. Գ. Անկանոն գիրք առաքելականք, Վենետիկ. 1904, გვ. 124-145 და 168-173.

მრთ. A-უდაბნოს მრავალთავი, კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1109 ხელნაწერი.

მრთ. B – სვანური მრავალთავი, კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-19 ხელნაწერი.

მრთ. C – პარხლის მრავალთავი, კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-95 ხელნაწერი.

მრთ. D – კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-144 ხელნაწერი.

მრთ. E – ათონური მრავალთავი, ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის №57 ხელნაწერი.

მრთ. S-სინური მრავალთავი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის №32/57 ხელნაწერი.

მსკ. – წამებაჲ წმიდათა მოწამეთა მესუკაველთაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 22-61. იქვე, Վկայաբանութիւն սրբոց քուրիցն որք վկայեցան ի Բագրեւանդ գաւառի ի Սուկաւէտ լեառն.

მ.ცხ. – მამათა ცხოვრება: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის №1105 ხელნაწერი. Վարք սրբոց հարանց եւ քաղաքավարութիւնք նոցին... հատոր I, II, Վենետիկ. 1855.

ნერს.: ნრს – წამებაჲ წმიდისა ნერსჱ მთავარეპისკოპოსისა სომხეთისაჲ და ხადისი ეპისკოპოსისაჲ მოწაფისა მისისაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 69-79. იქვე, Պատմութիւն սրբոյն Ներսիսի հայրապետին եւ Խադայ եպիսկոպոսին.

ორმეოც; სბსტ-წამებაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ, რომელნი იწამნეს სებასტია ქალაქსა; ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, IV. „მარტვლობაჲ ორმეოცთაჲ“, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ. 111-144. იქვე, Վկայաբանութիւն սրբոց քառասուն վկայիցն იხ. Վարք եւ վկայաբանուըիւն սրբոց. հատոր Բ. Վենետիկ. 1855, გვ. 506-514.

ოსკ. – სიტყუანი წამებისათჳს წმიდისა ოსკისი და მოყუასთა მისთაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 9-21. იქვე, Վկայաբանութիւն սրբոյն Ոսկեայ եւ ընկերաց նորա.

პავ. თებ; პავლე თებ. – ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამბა პავლე ბერისაჲ: კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-95 ხელნაწერი, გვ. 316v-323v.

რიფს. – წამებაჲ წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაჲ: ილ. აბულაძე, აგათანგელოსის „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ძველი ქართული თარგმანი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 145-180.

„Ագաթանգեղայ պատմութիւն Հայոց. աշխատութեամբ Գ.Տ.Մկրտչեան“ եւ Ստ.Կանայեանց. Տփղիս. 1909.

ს.გაბ. – [მოც.საკ] – საკითხავი მოციქულთაჲ თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სებერიანე გაბალოვნელ ეპისკოპოსისაჲ მოციქულთა საკითხავი: კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-144 ხელნაწერი, გვ. 316-320. Սեբերիանոսի եպ. Գաբաղացւոյ ԺԵ ճառք: Ճառք ընտիր Մատենագրաց նախնեաց ԺԴ, Վենետիկ. 1880.

საქ.წწ.ყ: სქ.წწყ: წწტყ: წწყლ – საქმენი წმიდათა წინაწარმეტყუელთანი, ვინაჲ იყვნეს, ანუ სადა მოსწყდეს, ანუ სადა დაეფლნეს. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-691 ხელნაწერი, გვ. 92-112.

სიდიდე մեծացար. մեծութիւն („სიმდიდრე", „სიმაღლე"): იქმენ დიდ სიდიდითა O, մեծացար մեծութեամբ *ეზეკ.31,10*; სიდიდისა მისისაჲ (უფლისაჲ) არა არს დასასრულ Ⴂ, სიმდიდრისა მისისაჲ არა არს დასასრულ C, մեծութեան նորա ոչ գոյ չափ *ფს.144,3;* სიდიდე შენი ემსგავსა ფინიკსა S, ემსგავსა სიმა[ღ]ლჱ შენი ფინიკსა O, նմանեցաւ մեծութիւն քո արմաւենւոյ *ქება 7,7.*

სიდონ-ი կտաւ (ტილო): სიდონითა ღმერთი დაფარეს, կտաւովք զքրիստոս պատեցէք *ეპ.კჳპრ.-დაფლ.16-423.*

სივება იხ. განსივება, დასივებული.

სივერაგე նենգութիւն. պատրանք. խաբէութիւն. խարբալումն. խարդախութիւն („ძმაცუღლება"): სივერაგე ჩუენებად ინება, յայտնեաց... զնենգութիւն իւր *მცხ.401r-455*; ცხადად ჩნდეს სივერაგენი, յայտնի երեւէին պատրանքն *მცხ.44r-37;* სივერაგენი მტრისანი, խարբաւմունս չարին *მცხ.68r-80;* სივერაგენი მტრისანი, խարէութիւն թշնամւոյն *მცხ.290r-313;* სივერაგე G, ძმაცულება, խարդախութիւն *როცხ.24,22.*

სივლტოლა փախչել. գաղթել. փախուստ. վանել (გაქცევა): სივლტოლად მიაქციეს პირისაგან მისისა O, փախեան յերեսաց նորա *Iმფ17,24;* სივლტოლითა ევლტოდე, փախչելով փախչիցիս *მცხ.218r-231*; იყო სივლტოლასა მას მისსა და სწრაფასა დაეცა იგი ფერჴთა ზედა მის ყრმისათა, եղեւ ընդ փութանալն իւրում ի գաղթել՝ անկաւ *IIმფ.4,4*; ეგულებოდა სივლტოლაჲ ნავისა მისგან, խնդրէին փախչել ի նաւէ անտի *საქ. მოც.27,30;* სივლტოლით ივლტოდიან წინაშე ჩუენსა S, վանելով վանին առաջի մեր... *მსჯ.20,39;* სივლტოლასა მას აღიარებს, զփախուստն խոստովանի *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იოვ.107,8-38,17*; მიიქცა სივლტოლად, դարձաւ ի փախուստ *იერ.49,24*; არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა, մի՛ լինիցի փախուստն ձեր ձմերանի *მთ.24,20*; სივლტოლით შევარდა აბანოსა მას B, փախստեայ անկաւ ի բաղանիսն *სბსტ.136,1-135,14.*

სივრცე լայնութիւն. ընդարձակութիւն: მისცა... სივრცე გულისაჲ ვითარცა ქვიშაჲ, ետ.. լայնութիւն սրտի իբրեւ զաւազ *IIIმფ.2,35*; რაჲთა აღავსოს სივრცე სოფლისა შენისაჲ, լնուլ զլայնութիւն երկրիդ քո *ეს.8,8;* განზომა წინაშე ზღუდისა მის სივრცჱ სწორად ლერწმისა მის O, չափեաց զլայնութիւն պարսպացն հաւասար ձողոյն *ეზეკ.40,5*; რავდენ არს სივრცჱ მისი? O, որչափ է լայնութիւն նորա *ზაქ.2,2;* დასხდეს მის თანა ყოველი იგი სიმრავლჱ სივრცესა ეზოჲსა მის სახლისა უფლისაჲსა, նստան ընդ նմա ամենայն բազմութիւն յընդարձակութեան սրահի տանն տեառն *Iეზრა9,6*; გამოიწერენ იგინი სივრცესა გულისა შენისასა O, գրեա յընդարձակութիւն սրտի քո *იგ.სოლ.7,3*; სივრცე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე, լայնութիւն եւ երկայնութիւն, եւ բարձրութիւն եւ խորութիւն *ეფეს.3,18*; სივრცჱ ქუეყანისაჲ... ვინ გამოიკულინეს? O զլայնութիւն երկրի... ո՞ քննեսցէ *ზირ.1,3.*

სიზმარი երազ: ვითარცა სიზმარი ძილსა შინა ღამე J, երազ ի տեսլեան գիշերոյ *ეს.29,7*; ნუ ისმენთ სიზმართა თქუენთა, რომელ თქუენ გეზმანებიან O, մի անսայք երազոց ձերոց զոր դուք տեսանէք *იერ.29,8*; იქმნეს იგინი, ვითარცა სიზმარნი განღვძებულთანი, եղեն որպես երազք զարթուցելոց *ფს.72,20.*

სიზმრის ზმანებულ-ი երազահան („ჩუენების მხილველი"): სიზმრის ზმანებული მოაკუდინეთ G, ჩუენების მხილველი იგი სიკუდილით მოკუედინ S, երազահանն երազոց մեռցի *II შჯ.13,5.*

სიზრქე թանձրութիւն („სისქე"): სიზრქჱ მისი ოთხ თით გარემოჲს, թանձրութիւն նորա չուրջ առ չորս մատունս *იერ.52,21*; ვითარცა სიზრქე (სისქე Ⴂ) მიწისაჲ განეფინა (განიპო Ⴂ) ქუეყანასა ზედა, որպէս թանձրութիւն հողոյ զի սփռեալ է ի վերայ երկրի *ფს.140,9*; უკუეთუ ცეცხლი იგი სიზრქესა მას რკინისასა შეჴდის შინაგან, եթէ հուրս այս ի թանձրութիւն մտեալ երկաթոյն ի ներքուստ *მრთ.A.კირ.იერ.-მარტჳლ.284,32-375,18.*

სიკარელ-ი սիկարեան (ავაზაკი, მკვლელი): განიყვანენ უდაბნოდ ოთხასნი იგი კაცნი სიკარელთანი, հաներ յանապատ չորս հազարս արս սիկարեան *საქ.მოც.21,38.*

სიკეთე գեղ. գեղ երեսաց. գեղեցկութիւն. վայելչութիւն („შუენიერება", სილამაზე): ნუ გერევინ სიკეთჱ გულისთქუმისაჲ O, մի՛ յաղթեսցէ քեզ ցանկութիւնս գեղոյ *იგ.სოლ.6,25*; სიკეთემან გაცთუნა შენ O, գեղ դորա պատրեաց զքեզ *დან.13,56*; შუენიერ არსა სიკეთითა? վայելուչ էր գեղով *ფლკტ.149,3-459,26*; სიკეთე, գեղ երեսաց *ეზეკ.16,25*; სიკეთე მცირითა სალმობითა დაჭნეს და განირყუნეს, գեղ ի դոյզն ինչ ախտէ թարշամեալ ապականի *ფლკტ.140,2-447,31*; შენ ხარ... გჳრგჳნ სიკეთის O, դու ես... պսակ գեղեցկութեան *ეზეკ.28,12*; იყო შენი გჳრგჳნი სიკეთის ჴელსა უფლისასა, եղիցես պսակ վայելչութեան ի ձեռին տեառն *ეს.62,3*; ნუ მიხედავ შუენიერებასა სიკეთისა შენისასა, մի՛ հայիր ի գեղեցկութիւն մարմնոյ քո *ანდ.-ანატ.317-32,19*; ნუ განიცდი სიკეთესა მას სხჳსასა, մի՛ զններ զգեղ օտար *ზირ.9,8*; სიკეთე C, შუენიერება Ⴂ, գեղեցկութիւն *ფს.67,13*; სიკეთესა დედათასა მრავალნი შესცთეს, ի գեղեցկութենէ կնոջ բազումք մոլորեցան *ზირ.9,9*; სიკეთემან სისპეტაკისა მისისამან მოაგრგინის თუალთა O, գեղեցկութիւն սպիտակութեան նորա խտղտէ զաչս *ზირ.42,20.*

სიკეთე: სიკეთესა ვესავ գեղապանծ լինել: ესევდი სიკეთესა შენსა, դու գեղապանծ եղեր ի գեղ քո *ეზეკ.16,15.*

სიკლა սիկղ (საწონი ოთხდრამიანი): სადა იყვნენ ათასნი ვენაჴნი ათასისა სიკლისაჲ O, ուր իցէ հազար որք հազար կշռոյ սկեղ *ეს.7,23*; სასწორით შჯამდე ოცი სიკლაჲ დღესა ერთსა, կերիցես կշռով քսան սիկղ յաւուր *ეზეკ.4,10*; ფიალი ერთი ვეცხლისაჲ სამოცდაათისა სიკლისაჲ, տաշտ մի արծաթի յեւթանասուն սկեղէ *რიცხ.7,13*; მისცა... ოქრო სიკლისა სასწორი ექუსასი S, ետ... վեց հարեւր սիկղ ոսկւոյ կշռով *I ნშტ.21,25.*

სიკუდიდშემოსილ-ი մահաբեր („მომაკუდინებელი“ B): მიღებად ცოდვისა სიკუდიდშემოსილისა G, მოღებად ცოდვასა მომაკუდინებელსა B, ընդունել զմեղս մահաբերս *რიცხ.18,22.*

სიკუდილ-ი մեռանել. վախճանել. ննջել („მოსიკუდილი“, „აღსრულება“): შემდგომად სიკუდილისა მამისა მისისა, յետ մեռանելոյ հօր նորա *საქ.მოც.7,4*; განაჩინეს იგი სიკუდიდ J, განაჩინეს იგი მოსიკუდიდ O, դատեցան զնա մեռանել *დან.13,41*; შემდგომად სიკუდილისა მის მამისა თჳსისა, յետ ննջելոյ արքայի ընդ հարս իւր *IVმფ.14,22*; შჯობს სიკუდილი ვიდრელა არა თხოვასა O, լաւ է մեռանել քան զմուրանալ *ზირ.40,29*; შემდგომად სიკუდილისა (აღსრულებისა G) ორთა ძეთა, յետ վախճանելոյ որդւոցն *ლევ.16,1.*

სიკუდილ-ი մահ. վախճան. կարիք. մահապարտք („აღსრულება“, სიკვდილი): დაჰჴსნნა სალმობანი სიკუდილისანი, լուծեալ զերկունս մահու *საქ.მოც.2,24;* სიკუდილსა არაჲ მიმცა მე, ի մահ ոչ մատնեաց *ფლკტ.156,18-469,28*; მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ, մատնեսցէ եղբայր զեղբայր ի մահ *მთ.10,21*; შედგომად სიკუდილისა (აღსრულებისა G) უსჯულოებით უსჯულოებდეთ S (იუშჯულოოთ G), յետ վախճանի իմոյ անօրինելով անօրինիցէք *IIშჯ.31,29*; რომელთაჲ არა ჯერ-იყო სიკუდილი, որ ոչ էին մահապարտք *ეზეკ.13,19*; მოიწინენ დღენი მამისა ჩემისა სიკუდილისანი, մերձեսցին աւուրք կարեաց հօր իմոյ *დაბ.27,41.*

სიკუდილისა თანამდებ-ი մահապարտ: სიკუდილისა თანამდებ ვარ მე და ქალაქი ესე, մահապարտք եմք ես եւ քաղաքս *ლონგ.191,32-720,15.*

სიკუდილისა მომცემელ-ი մահարեր: *მრთ.A.ი.ოქრ.-უძღ.შვილ.513-686,29.*

სიკუდილისა შემამთხუეველ-ი մահաբեր: სიკუდილისა შემამთხუეველ არიან, մահաբերք են *ფიზ.XVI 5.*

სილაღე ամբարտաւանութիւն. հպարտութիւն. ամբարհաւաճութիւն (სიამაყე, ამპარტავნობა): იქადით სილაღითა თქუენითა, պարծիք յամբարտաւանութեան ձերում *ეპ.იაკ.4,16*; რაჲთამცა სილაღჱ კაცთაჲ დაჴსნა, քակել զամբարտաւանութիւն խոնարհութեամբ *ს.გაბ.-დაჯდ.133,29-199,23;* დაცხრომილ არს სილაღე და სიმდიდრე უღმრთოთაჲ, լռեցին հպարտութիւնք եւ մեծութիւնք ամպարշտաց *ეს.24,8*; ძჳრთა შემთხუევაჲ სილაღისთჳს მოიწევის, ամենայն չարիք յամբարհաւաճութենէ գան *მ.ცხ.366r-419.*

სიმაგრე յոյժ. ամուրք (ძლიერება, ძალა; სიმტკიცე): რაჲ არს სიმეგრჱ მათი და სიმტკიცე? ի՞ւ է յոյժ նոցա եւ կամ զօրութիւն *ივდ.5,3*; განიბნინეს... სიმაგრეთა ჴევნებისათა, ցրուեալք լինէին... յամուրս ձորոցն *ვრდ.88,2.*

სიმალე արագութիւն (სიჩქარე): მალენი ფერჴითა მათითა, ვითარცა ქურციკნი სიმალითა S, թեթեւագոյնք ոտիւք իբրեւ զայծեմունս ի վերայ լերանց արագութեամբ *I ნშტ.12,8.*

სიმამრ-ი աներ: იგი იყო სიმამრი კაჲაფაჲსა, որ էր աներ կայիափայի *ი.18,13*; მოსე მწყსიდა ცხოვართა იოთორ სიმამრისა თჳსისათა O, Մովսէս արածէր զխաշինս Յոթորայ աներոյ իւրոյ *გამ.3,1.*

სიმართლე արդարութիւն. արդար. ուղղութիւն. ստուգութիւն. ճշմարիտ. իրաւունք („ჭეშმარიტება“): აღსრულებად ყოვლისა სიმართლისა, լնուլ զամենայն արդարութիւնս *მთ.3,15;* თავადმან განსაჯოს სოფელი სიმართლით და ერისი სწორფოებით, ինքն դատի զաշխարհս արդարութեամբ եւ զժողովուրդս իւր ուղղութեամբ *ფს.9,9*; საქმენი ჴელთა მისთანი სიმართლე და გაგნებულება არიან Ⴀ, საქმენი ჴელთა მისთანი ჭეშმარიტებაჲ და განკითხვაჲ Ⴂ, գործք ձեռաց նորա արդարութիւն եւ իրաւունք են *ფს.110,7*; შეიყუარეთ სიმართლჱ მსაჯულთა ქუეყანისათა, սիրեցէք զարդարութիւն որք դատիք զերկիր *სიბრძ.სოლ.1,1*; ღირს სიმართლისა თქუმად, պարտ է զարդարն ասել *ფლკტ.151,10-462,22*; ქმნა... სიმართლეჱ წინაშე უფლისა O, արար ուղղութիւն առաջի տեառն *IVმფ.14,3*; სიმართლე, ստուգութիւն *Iკორ.5,8;* სიმართლითა განიკითხე, ճշմարտիւ դատեցար *სიბრძ.სოლ.12,21*; იქმს სიმართლესა, իրաւունս առնէ *I ეზრა 4,39.*

სიმაღლე բարձրութիւն. բարձունք: სივრცე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე, լայնութիւն եւ երկայնութիւն եւ բարձրութիւն եւ խորութիւն *ეფეს.3,18*; დამდაბლდა ეზეკია სიმაღლისაგან გულისა მისისა, խոնարհեցաւ Եզեկիա ի բարձրութենէ սրտին իւրոյ *//*

ნშტ.32,26; აღვედ მე სიმაღლესა მთათასა, ելից ի բարձրութիւն լերանց *ეს.37,24*; რომლისაჲ იყო სიმაღლჱ ვითარცა ნაძვსაჲ, որոյ բարձրութիւն իւր բարձրութիւն մայրի *ამოს2,9*; სიმაღლე მათი იყო დიდ, բարձունք էին *ეზეკ.1,18*; აღჰჴედ სიმაღლესა, ելեր ի բարձունս *მრთ.S.კირ.იერ.-აღდგ.167,8-295,5*; აღფრინდე სიმაღლესა მზისთუალისასა, թռուցեալ ել ի բարձունս արեգականն *ფიზ.IX23.*

სიმაშურალე աշխատ լինել (გარჯა, შრომა): სიმაშურალისათვის მისის, յաղագս աշխատ լինելոյ *მცხ.427r-491.*

სიმაძღრე լիութիւն. յագուրդ. յագեցումն: რაითა აღივსო სიმაძღრითა იფქლისაჲთა O, զի լցցին շտեմարանք քո լիութեամբ ցորենոյ *იგ.სოლ.3,10*; სიმაძღრე გინებისა განდიდებისა ჰსუა შენდა O, զյագուրդ անարգանաց ի փառաց արբ եւ դու *ამბ.2,16*; სიმაძღრისა დამახრწეველო, յագեցման խափանիչ *მცხ.81r-92.*

სიმდაბლე խոնարհութիւն. փառապանք. հնազանդութիւն. վարան (მორჩილება, თავმდაბლობა): მოჰხედა სიმდაბლესა ზედა მჴევლისა თჳსისასა DE, հայեցաւ ի խոնարհութիւն աղախնոյ իւրոյ *ლ.1,48*; იხილე სიმდაბლე ჩემი მტერთა ჩემთაგან, տես զխոնարհութիւն իմ ի թշնամեաց իմոց *ფს.1,4*; შეისმინა უფალმან სიმდაბლისა შენისაჲ O, լուաւ տէր տառապանաց քոց *დაბ.16,11*; ნუ მიაქცევ კაცთა სიმდაბლედ, մի՛ դարձուցաներ զմարդ ի տարապանս *ფს.89,3*; განამრავლე ჩემ თანა სიმდაბლჱ O, հնազանդութիւն իմ յաճախեաց ինձ *IIმფ.22,36*; და იყვნეს სიმდაბლესა შინა დიდსა ქალაქსა შინა. էին ի վարանս եւ ի մեծ տարակուսանս *ივდ.7,25.*

სიმდიდრე զմեծութիւն. գանձ. ինչ-ք. ճոխութիւն. ստացուած. հարստութիւն. զօրութիւն. մեծարութիւն („სიდიდე“, სიდიადე, სიუხვე): საცთურმან სიმდიდრისამან შეაშდვის სიტყუაჲ იგი, պատրանք մեծութեան հեղձուցանեն զբանն *მთ.13,22;* რაჲთა აჩუენოს სიმდიდრე იგი დიდებისა თჳსისაჲ, զի յայտնի արասցէ զմեծութիւն փառաց իւրոց *ჰრომ.9,23;* ნუცა იქადინ მდიდარი სიმდიდრითა თჳსითა, մի՛ պարծեսցի մեծատունն ի մեծութիւն իւր *Iმფ.2,10*; არა ითხოვე სიმდიდრე საფასეთაჲ, ոչ խնդրեցեր մեծութիւն ընչից *II ნშტ.1,11*; რომელმან შეაძრწუნის სიმდიდრე ზღჳსაჲ, ո խռովեցուցանէ զմեծութիւն ծովու *ფს.64,8*; სიმდიდრისა (სიდიდისა Ⴂ) მისისაჲ (უფლისაჲ) არა არს დასასრულ, մեծութեան նորա ոչ գոյ չափ *ფს.144,3*; თუალნი მისნი ვერ განძღებიან სიმდიდრითა, ակն նորա ոչ յագի մեծութեամբ *ეკლ.4,8*; კაცსა, რომელსა მოჰსცეს მას ღმერთმან სიმდიდრჱ და ნაყოფი და დიდებაჲ O, այր մի. որում տացէ Աստուած մեծութիւն եւ ինչ եւ փառս *ეკლ.6,2*; სიმდიდრისაგან მცონარნი ნაკლულევან იქმნიან, ի մեծութենէ վատք կարօք լինին *იგ.სოლ.11,16*; უმჯობეს არს სახელი კეთილი, ვიდრე სიმდიდრესა მრავალსა O, լաւ է անուն բարի քան զմեծութիւն բազում *იგ.სოლ.22,1*; სიმდიდრესა მეფეთასა შჭამდე შენ J, զմեծութիւն թագաւորաց կերիցես *ეს.60,16*; ნუცალა იქადის მდიდარი სიმდრიდრითა თჳსითა, մի՛ պարծեսցի մեծն ի մեծութիւն իւր *იერ.9,23*; სიმდიდრე დიდებათა მისთაჲ, ով մեծութիւն փառաց նորա *თომა მოც.17,19-394,20*; სიმდიდრე, գանձ *ეს.30,6*; წარვაგე ჩემი სიმდიდრჱ ბოროტად მეცნიერთა კაცთა თანა, ծախեցի զինչս իմ ի չարարուեստ մարդիկ *ი.მოც.84,5-271,15*; განდიდა მეფე სოლომონ... სიმდიდრითა და სიბრძნითა, մեծացաւ Սողոմոն քան զամենայն թագաւորս ընչիւք եւ իմաստութեամբ *II ნშტ.9,22*; სიმდიდრე, ճոխութիւն *გრ.ანძ.-შობ.299,7-184.* სიმდიდრე, ստացուած *თომა მოც.15,31-391,5*; სიმდიდრე სოფლისაჲ, հարստութիւն աշխարհիս *მცხ.42v-35;* მუნ სიმდიდრე, ხოლო აქა ნაკლულევანება, անդ մեծատուն եւ աստ աղքատ *მ.ცხ.329r-376*; მივსცე ყოველი სიმდიდრე ამის ქალაქისაჲ J, տաց զամենայն զօրութիւնս քաղաքիդ այդորիկ *იერ.20,5;* დიდებაჲ და სიმდიდრჱ... შთააცე მას, զփառս եւ զմեծարութիւն զգեցուցեր նմա *იპ.რომ.-კურთხ.მოს.194,8-195.*

სიმედგრე վատթարութիւն (უვარგისობა): *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ109,3-42,1.*

სიმეწამულე կարմրութիւն (სიწითლე): სიმეწამულე სამოსლისა მისისაჲ ბოსორით გამო J, կարմրութիւն ձորձոց իւրոց ի Բոսորայ *ეს.63,1.*

სიმთვრალე արբենալ, արբեցութիւն: რომელნი ჰსუამთ ღვნოსა სიმთვრალედ O, որ ըմպէք զինի ցարբենալ *იოვ.1,5;* სიმთრვალე, արբեցութիւն *გრ.ანძ.-შობ.294,39-178.*

სიმიაჲთმწერალ-ი նշանագիր (სიმიოგრაფი): იყვნეს იგინი სიმიაჲთმწერალნი, դիպեցան անդ նշանագիրք *რიფს.170,38-97,15.*

სიმკოდვე, სიმკოდოვნე աղկաղկութիւն, աղքատութիւն (სიღარიბე, სიღატაკე): ნუ ჴშირად იკითხავ სიმკოდვესა მისსა, մի՛ հարցաներ զաղկաղկութենէն

მრთ.D.ი.ოქრ.-პეტრე და ელია 372,2-265,12; სიმკოდოვნისაებრ ჩემისა, ըստ աղքատութիւն իմում *I ნშტ.22,14.*

სიმკუდრე մահ (სიკვდილი): სიმკუდრე ჴორცთაჲ, մահ մարմնոյ *მ.ცხ.83r-94.*

სიმპალე նեխումն (სიდამპლე): ნარნყმდებიან შორის სიმპალესა მას დაბუდებულნი მატლნი, սատակին որք ի նեխումսն են որդունքն *მცხ.78r-90.*

სიმრავლე բազմութիւն. բազմամբոխ. ժողովուրդ. յոլովութիւն. բազմակոյտ. ամբոխ. խուժան. մարդիկ. աղխ բազմութեան. յաճախութիւն (სიბევრე; ხალხი, მასა): ერისა სიმრავლჱ ფრიადი, բազմութիւն յոյժ ժողովրդեանն *ლ.6,17*; სიმრავლჱ იფქლისა და ღჳნისაჲ, բազմութիւն ցորենոյ եւ գինւոյ *იპ.რომ.-კურთხ.ისაკ და იაკ.24,10-25*; შეუდგა მას სიმრავლჱ იგი ხილვად, գնաց ընդ նոսա եւ բազմութիւնն տեսանել *ფლკტ.133,25-439,4*; აღდგა ყოველი იგი სიმრავლჱ მათი, յարուցեալ ամենայն բազմութիւնն նոցա *ლ.23,1*; სიმრავლითა ერისაჲთა, բազմամբոխ ժողովրդովք *შუშ.V.7*, დადუმნა ყოველი იგი სიმრავლჱ, լռեաց ամենայն ժողովուրդն *საქ.მოც.15,12*; დაშთა ესოდენი ესე სიმრავლე, մնաց եւս յոլովութիւնդ այդ *IIნშტ.31,10*; სიმრავლე ძუალთა მისთა დააშუშუვა O, զբազմակոյտ ոսկերաց նորա ընդարմացոյց *იობ.33,19*; დაინთქა ყოველი იგი სიმრავლე, ընկղմեցան... ամենայն ամբոխն *ფლპ.მოც.7,29-311,10*; სიმრავლე, խուժան *IVმფ.25,11*; სიმრავლე იგი მისდევდა თომას, մարդիկ ընթանային զկնի թովմայի *თომა მოც.17,15-394,15*; ბევრნი სიმრავლენი სალმობათანი, բիւր ինչ աղխս բազմութեան ախտից *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.109,15-42,13;* სიმრავლე, յաճախութիւն *I ნშტ.22,5.*

სიმრავლჱ აღმურვილი խառնիճաղանջ (შერეული, ნარევი ხალხი): დიდი იგი სიმრავლჱ აღმურვილი დიდისა მის საკჳრველისა ქალაქისა ნინეველთაჲსა, բազմալից եւ զխառնիճաղանջ զնինուէացւոց զզարմանալի եւ զմեծ քաղաքն *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.102,15-30,4.*

სიმრგულე շրջան. շրջանակ. ծիր (წრე, სფერო): სიმრგულესა თჳსსა მიიქცევის სული, ի շրջանս իւր դառնայ հողմ *ეკლ.1,6*; თავადმან სიმრგულე მისი გარე-მოაქციის O, ինքն դարձուցէ զշրջանակս *იობ.37,12;* რომელსა უპყრიეს სიმრგულე ქუეყანისაჲ J, որ ունի զծիր երկրի *ეს.40,22.*

სიმრთელე առողջութիւն (ჯანმრთელობა): *მრთ. S.ი.ოქრ.მარხ და იონ.109,18-42,15*; სიმრთელე ჴორცთა, առողջութիւն մարմնոց *მცხ.85r-96.*

სიმტიერე կնտութիւն (სიმელოტე): სამკაულისა წილ თავისა სიმტიერე მოგიჴდეს O, փոխանակ ոսկի զարդու գլխոյն կնտութիւն *ეს.3,24*; ყოველსა თავსა - სიმტიერჱ O, յամենայն գլուխս կնդութիւն *ეზეკ.7,18.*

სიმტკიცე ամուր. զաւրութիւն. կար. մոյթ. զօդ („ძლიერება“, სიმაგრე, სიძლიერე): დააქცინნა... სიმტკიცენი ასულისა იუდაჲსნი O, քակեաց... զամուրս դստերն Յուդայ *გოდ.იერ.2,2*; ჰყავ სიმტკიცე მისი შეძრწუნებულ, եդիր զամուրս նորա ի դողումն *ფს.88,41*; ყო სიმტკიცითა მკლავისა თჳსისაჲთა DE, ყო ძლიერებაჲ მკლავითა თჳსითა, արար զաւրութիւն բազկաւ իւրով *ლ.1,51*; სიმტკიცე ძალისა ჩემისაჲ, ვითარცა არარაჲ არს არს შენ წინაშე, կար զօրութեան իմոյ որպէս ոչ ինչ է առաջի իմ *ფს.38,6*; დაეცეს სიმტკიცე ეგჳპტისაჲ, կործանեսցին մոյթքն եգիպտացւոց *ეზეკ.30,6;* სიყუარული, რომელ-იგი არს სიმტკიცე სრულებისაჲ, զսէրն. որ է զօդ կատարմանն *კოლ.3,14.*

სიმღერა խաղալ (თამაში): აღდგეს სიმღერად, յարեան ի խաղալ Iკორ.10,7; იწყეს ცხენთა მათ სიმღერად, ვითარცა ჩუეულ იყვნეს ურთიერთას, սկսան ձիք ըստ սովորութիւնն խաղալ ընդ միմեանս *მრთ.A.ანტ.დ.97,6-75,18.*

სიმღერა անառակութիւն. խաղ (თამაში, ხუმრობა): შუენიერად ვიდოდით ნუ სიმღერითა და მთრვალობითა, զգաստացեալք շրջեսցուք մի՛ անառակութեամբք եւ արբեցութեամբք *ჰრომ.13,13*; საშჯელი სიმღერით მიუვლინე მათ O, դատաստան ընդ խաղ արձակեցեր *სიბრძ.სოლ.12,25;* სიმღერით ვქმენით ესე O, մեք ընդ խաղ արարաք *იგ.სოლ.26,19.*

სიმღიერე քոս. մուն (მუნი, ქეცი): სიმღიერე, քոս *ლევ.26,16*; გგუემოს შენ... სიმღიერითა უცხოჲთა და ფხანითა S, հարցէ զքեզ... զայրացեալ քոսով եւ մնով *II შჯ.28,27.*

სიმყრალე ժահահոտութիւն: ძენ სახლსა შინა და ყარნ, რომლისა სიმყრალისაგან ივლტიან, դնի ի տան իւրում եւ հոտեսցի յոյժ յոլոյ ժահահոտութենէն փախչիցէ *მცხ.78r-90.*

სიმშჳდე հեզութիւն („მშჳდობა“): გლოცავ თქუენ სიმშჳდითა მით და სახიერებითა ქრისტესითა, աղաչեմ զձեզ հեզութեամբն եւ հանդարտութեամբն Քրիստոսի *II კორ.10,1;* სუფევდი ჭეშმარიტებისათჳს და სიმშჳდისა და სიმართ-

ლისა Ղ, სუფევდი ჭეშმარიტებისათჳს და მშჳდობისა და სიმართლისა C, թագաւորեա վասն ճշմարտութեան հեզութեան եւ արդարութեան *ფს.44,5.*

სიმცირე նուազութիւն. խոնարհութիւն: სიმცირე დღეთა ჩემთაჲ მითხარ მე, զնուազութիւն աւուրց իմոց ասա ինձ *ფს.101,24*; შორის სიმდიდრესა და სიმცირესა, միջոց մեծութեան եւ խոնարհութեան *გრ.ანძ.-შობ.182-297,29.*

სიმძაფრე բռնութիւն. ծանրութիւն. սաստկութիւն. յորձան. սահանք. բազմութիւն (სიმძლავრე, სიმძიმე, სისასტიკე): ბოლოჲთ კერძოჲ იგი დაირღუეოდა სიმძაფრითა მით, յետին կողմն քակէր ի բռնութենէն *საქ.მოც.27,41*; აღგჳმცირე... სიმძაფრე ესე ჰაერისაჲ ამის მწარისაჲ, թեթեւացո... զծանրութիւն եւ զդառնութիւն օդոյս *სბსტ.137,16-8*; აღიღო იგი სიმძაფრემან ქარისამან O, առ զնոսա սաստկութիւն հողմոյ *დან.2,35*; აღქაფნებოდა წყალი იგი, ვითარცა სიმძაფრჱ ჴევისაჲ O, յորդեաց ջուրն իբրեւ զյորձանս հեղեղաց *ეზეკ.47,5;* ვითარცა სიმძაფრჱ წყლისაჲ O, որպէս սահանք ջրոց *იგ.სოლ.21,1*; გამოჰსცა სიმძაფრჱ მყურისაჲ მდინარემან მან O, բղխեաց գետն բազմութիւն գորտոց *სიბრძ. სოლ.19,10.*

სიმძაფრე სიცხისა տառապանք: რაჲთა აგრილობდეს... სიმძაფრისა მისგან სიცხისა, զովացուցանել զնա ի տառապանաց իւրոց *იონა 4,6.*

სიმძიმე ծանրութիւն. բեռն: სიმძიმჱ და განრყუნილებაჲ სტომაქისაჲ, զծանրութիւն ապականութեան ստամոքսաց *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ.* და *იონ.109,14-42,12*; ურთიერთას სიმძიმე იტჳრთე, զմիմեանց բեռն բարձէք *გალ.6,2*; სიმძიმე კანონთაჲ, ծանրութիւն կարգի *მცხ.103v-113.*

სიმწარე դառնութիւն: პირი... სიმწარითა სავსე არს, բերանք... դառնութեամբ լի են *ჰრომ.3,14;* მშჳდობასა მოიქცა სიმწარე ჩემი O, ի խաղաղութիւն դարձաւ դառնութիւն իմ *ეს.38,17.*

სიმწჳსე մեծութիւն (სიდიდე): ნუ ჰხედავ... ნუცა სიმწჳსესა ჰასაკისა მისისასა O, մի՛ հայիր... եւ մի ի մեծութիւն հասակի դորա *Iმფ.16,7*; სიმწჳსითა ჴორცთაჲთა, մեծութեամբ մարմնոյ *მრთ.S.ბას.კეს.40-თჳს 116,31.*

სიმჴნე քաջութիւն, առաքինութիւն. նահատակութիւն. արութիւն. արիութիւն. արգասաւորութիւն („სათნოება", „ღუაწლი", სიძლიერე, სიმამაცე): გამოიყვანნის კრულნი სიმჴნითა თჳსითა, հանէ զկապեալս քաջութեամբ իւրով *ფს.67,7;* არა მივსცე და არცა სიმჴნე ესე ჩემი გამოქანდაკებულთა O, არა მივსცე არცა სათნოებაჲ ჩემი გამოქანდაკებულთა J, ոչ տաց. եւ ոչ զքաջութիւնս իմ դրօշելոց *ეს.42,8*; ბრძანოს თუ შენმან სიმჴნემან, եթէ հրամայեսցէ ձեր քաջութիւնդ *ანდ.-ანატ.324-35,36*; ყოვლისა სიმჴნისა მჴდომ არიან კერპთა მათ მანქანებანი, ամենայն առաքինութեան ընդդէմ են կռոցն հնարք *ლონგ.189,28-717,13*; რაჲთა შეესუათ სასუმელი სიმჴნისაჲ, զի արբցուք զբաժակ նահատակութեան *რიფს.165,15*; ესრჱთ აღესრულნეს სიმჴნითა B, ესრეთ იღუაწეს ღუაწლი კეთილი და აღესრულნეს A, այսպէս կատարեալք ի նահատակութեան իւրեանց *სბსტ.143,18-7*; შრომაჲ მისი [არს] სიბრძნით და მეცნიერებით და სიმჴნით, վաստակ նորա իմաստութեամբ եւ գիտութեամբ եւ արութեամբ *ეკლ.2,21*; ბრძოლისა სიმჴნესა მას სიტყჳსა მწერალნი და კედელსა მხატვარნიცა აუწყებენ, պատերազմաց արութիւն բազում անգամ եւ նկարիչք. թէ պարտ է. նշանակեն *მრთ.S.ბას.კეს.40-თჳს 115,30*; მედგრისაგან ჴელთა სიმხნესა ითხოვთ, յաչարգասաւորէն ձեռօք զարգասաւորութիւն խնդրէ *სიბრძ.სოლ.13,19;* სიმჴნე და ახოვნება, արիութիւն եւ քաջութիւն *მცხ. 34r-29.*

სიმჴნე քաջալելել (სიძლიერე, სიმამაცე): ცოდვილთაცა სიმჴნჱ ასწავე, մեղաւորաց քաջալելել ուսուցեր *ფკლტ.157,14-470,36.*

სინათლე լուսաւորութիւն: დააბნელა სინათლჱ იგი გულისაჲ, շիջուցանեն զլուսաւորութիւնս մտաց *მრთ.A.კ.იერ.64-10,17.*

სინანული ապաշխարութիւն. զիղջ. շղջումն: ნაყოფი ღირსი სინანულისაჲ, պտուղ արժանի ապաշխարութեան *მთ.3,8*; რომელთა არა უჴმს სინანული, որոց չիցէ պիտոյ ապաշխարութիւն *ლ.15,7*; იყო სინანულ დიდ, եղեւ զիղջ մեծ *IV მფ.3,27*; სინანული, զղջումն *იგ.სოლ.14,15.*

სინანულ-ი զղջանալ. ապաշխարել: მითხრობად სინანულისა და მოქცევად ღმრთისა, պատմեցի զղջանալ եւ դառնալ յԱստուած *საქ.მოც.26,20*; სინანული გჳჴმს, ապաշխարել պարտ է *მცხ.55v-46.*

სინდის-ი յակինթ: რომელი-იგი იმკეებინ სინდისითა O, որ զգեցեալ է յակինթ *ზირ.40,3.*

სინდონ-ი պաստառակալ. սիդոն. խորգ („პალეკარტი", წმინდა ტილო): მიგცნე თქუენ ოცდაათნი სინდონნი და ოცდაათნი შესამოსელნი G, მოგცე

თქუენ ოცდაათი არდაგი და ოცდაათი კუართი S, տաց ծեզ երեսուն պաստառակալ եւ երեսուն պատմուճան հանդերձից *მსჯ.14,12*; მოიღეთ სინდონი და განჰფინეთ, բերէք... սիդոն եւ սփռեցէք *მცხ.53v-44*; სინდონი ერთი ემოსა, რომელ არს პალეკარტი, զգեցեալ էր խորգ ինչ *მცხ.91v-102.*

სინედლე գիջութիւն. խոնաւութիւն. օշարակ („კანახი“, ნოტიობა, სინესტე, სისველე): ყოველნი ბარკალნი შეიგინნენ სინედლითა O, ամենայն երանք ապականեսցին գիջութեամբ *ეზეკ.21,7*; ყოველნი ბარკალნი შეიგინნენ სინედლითა O, ყოველნი ბარკალსხკლნი შეიბილწნენ ნოტიობითა G, ամենայն երանք զարշասցին խոնաւութեամբ *ეზეკ.7,17*; გასუა... სინედლისაგან ბრონეულთა ჩემთასა S, გასუა... კანახი ბრონეულთა ჩემთაჲ O, արբուցից... յօշարակէ նռնենեաց *ქებ8,2.*

სინელე սեռնութիւն (სურნელება): იგივე გემოჲ და იგივე სინელე ჰგიენ [ღვნისაჲ], նոյն համ եւ նոյն սեռնութիւն *ს.გაბ.-მოც.საჴს.101,18.*

სინუქ-ი վերնադուռն (ზემო კარები, დარაბა): რაჲთა მისცნე იგინე საპყრობილესა სინუქისსა და მლკმესა, տացես զնոսա յարգելան ի վերնադռանն *იერ.29,26.*

სიორძილ-ი աճումն (აღორძინება): სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშჱნებელად თავისა თქუენისა სიყუარულით, զաճումն մարմնոյ գործէ ի շինած անձին իւրոյ սիրով *ეფეს.4,16.*

სიპოხე պարարտութիւն. պարարտ. բարութիւն (ნოყიერება, სიმსუქნე): თანაზიარ... სიპოხისა ზეთისხილისა იქმენ, բաժանորդ... պարարտութեան ձիթենայն *ჰრომ.11,18*; მოგეცინ შენ... სიპოხისაგან ქუეყანისა, տացէ քեզ... ի պարարտութենէ երկրի *დაბ.27,28*; წარვედით, ჭამეთ სიპოხჱ და სუთ სიტკბოებაჲ O, երթայք. կերայք զպարարտութիւն եւ արբէք զքաղցրութիւն *I ეზრა 9,52;* დაემჴუა ტაბლაჲ შენი სავსე სიპოხითა, էջ սեղան քո լի պարարտութեամբ *იობ.36,16*; ცმელითა სიპოხისაჲთა განძღეს სული ჩემი, ի ճարպոյ պարարտութենէ լցցի անձն իմ *ფს.62,6*; აჭამა მათ სიპოხისაგან იფქლისა, կերակրեաց զնոսա ի պարարտութենէ ցորենոյ *ფს.80,17*; ჭამეთ და სუთ სიპოხჱ თქუენი, სიტკბოჲ, կերայք եւ արբէք զպարարտս եւ զքաղցունս *ნეემ.8,10*; იყავ განძლიერებულ ჭამად სიპოხესა მისა ქუეყანისასა, եղիցիս դու զօրաւոր ուտել զբարութիւն երկրին // *ეზრა9,12.*

სირ-ი ճնճղուկ. զայլեամն. հաւ. թռչուն. ծագ. հաւորս (ფრინველი, ჩიტი, ბარტყი): ორი სირი ერთის დანგისაგან იყიდოს, երկու ճնճղուկք դանգի միոջ վաճառին *მთ.10,29*; სირმანცა პოვა სახლი, ճնճղուկ եգիտ իւր տուն *ფს.83,4;* მოყუას [ვიქმენ] სირთა, ընկէր [եղե] զայլեամց *იობ.30,29*; დასაბუდებელად სირთა, ի դադարս զայլամանց *იერ.10,22*; აღდგეს ჴმასა სირისასა O, յարիցեն ի ծայն հաւուն *ეკლ.12,4;* რაჲთა განერე... ვითარცა სირი ირეჭსა, զի ապրեսցիս... իբրեւ զհաւ ի ծուղակաց *მრთ.S.ი.ოქრ.-გურიტ.226,9-131,39*; ველისა სირთა დაისწავლნეს ჟამნი მოსლვისა მათისანი, թռչունք վայրի պահեցին զժամանակ մտից իւրեանց *იერ.8,7*; ანუ არა ხუთი სირი განიყიდების ორის დანგის, ոչ ապաքէն հինգ ծագ երկուց դանգաց վաճառի *ლ.12,6*; მომნადირეს მე ვითარცა სირი მტერთა ჩემთა... ცუდად, որսալով որսացան զիս իբրեւ հաւորս թշնամիք իմ... տարապարտուց *გოდ.იერ.3,52.*

სირა սիրա (ჭილობი): თხზავნ სირასა ფურცელთაგან ლერწმისათა, հիւսէր սիրա զտերեւ եղեգան *მცხ.271r-290.*

სირაქლემა զայլեամն. ասիդ: იყოს ეზოჲ იგი საყოფელ სირაქლემთა O, եղիցի հանգրուանն բնակութիւն զայլամանց եւ անապատ մինչեւ յաւիտեան *იერ.49,33*; უკუეთუ მიუდგეს სირაქლემი და იხჳ O, եթէ յղասցի՞ ասիդն եւ նեսայն *იობ.39,13.*

სირბილ-ი ընթացք (გაქცევა): არა დაეხრწევის სირბილსა, ոչ խափանի յընթացիցն *მცხ.201v-214.*

სირბილ-ი ընթանալ. փախչել (გაქცევა): გკლირს... სარბიელსა მას მოღუაწებისასა გამოწულილვით სირბილი, զընթացս ճգնութեանց իմաստութեամբ ընթանալ *მცხ.86v-97*; სირბილსა მას შინა მათსა დაჰვარდა მათგან ერთი ლეღჳ, ի փախչելն նոցա անկաւ ի նոցանէ թուզ մի *მცხ.88r-99.*

სირცხვლ-ი ամաչել: იცის სირცხვლი კერპთა შეურაცხისმყოფელთა მიმართ, գիտէ ամաչել յայնցանէ որ զկուռսն արհամարհէն *მრთ.S.ბას.კეს.-40-თვს 118,19*; უკუეთუ ნანდჳლვე კაცთაგან გურცხუენის, არა უფროჲს-ღა ჯერ-არსა სირცხვლი ღმრთისაგან? եթէ՞ ի մարդկանէ ամաչես ոչ եւս առաւել ամաչել եւ երկնչիլ ի յաստուծոյ պարտիցէ *მცხ.239r-261.*

სირცხვლ-ი ամօթ: იწყო სირცხვლით უკუანაჲსკნელსა ადგილსა დაპყრობად, սկսանիցիս ամօթով զյետին տեղին ունել *ლ.14,9*; სირცხვლმან პირისა ჩემისამან დამფარა მე,

ամօթ երեսաց իմոց ծածկեաց զիս *ფს.43,16*; სირცხვლ მამისა – შვილი უგუნური O, ամօթ հօր՝ որդի անմիտ *იგ.სოლ.19,13*; დაფაროს იგი სირცხვლმან, ծածկեսցէ զնա ամօթ *მიქ.7,10*; ან, არა-მე არსა შენდა სირცხვლ? արդ ո՞չ է քեզ ամօթ *ფლკტ.136,22-443,2.*

სირცხვლეულ-ი ամաչեցեալ. ամօթով. ամօթալից. ամօթալի (დარცხვენილი): ნუ მოიქცევინ მდაბალი სირცხვლეული, մի՛ դարձցի տնանկն ամաչեցեալ *ფს.73,21*; ვიდოდიან სირცხვლეულნი J, գնասցեն ամօթով *ეს.45,16*; წარვიდა სირცხვლეული, գնաց ամօթալից *მრთ.S.ბას.კეს.-40-თჳს123,3*; სირცხვლეული განმავალ ვარ, ամօթալի ելանելոց եմ *მცხ.52v-44.*

სირცხვლეულ ქმნა / ყოფა ամաչել. յամօթ առնել („შეურაცხ-ყოფა, შერცხვენა): მართლუკუნ იქცენ და სირცხვლეულ იქმნენ, դարձցին յետս եւ ամաչեսցեն *ფს.39,15;* მან სირცხვლეულ ყვნეს ყოველნი მტერნი ჩუენნი C, მან შეურაცხ-ყვნეს მტერნი ჩუენნი L, նա յամօթ արասցէ զթշնամիս մեր *ფს.107,14.*

სისადაგე ուղղութիւն („სიწრფოება“): ჰმსახურეთ მას სისადაგითა და სიმართლითა G, ჰმსახურებდით მას სიწრფოებით და სიმართლით M, պաշտեսցէք զնա ուղղութեամբ եւ արդարութեամբ *ისუ 6.24,14.*

სისრა ձգել (სროლა): სისრად ისრითა და ქვითა დიდ-დიდითა, ձգել նետս եւ քարինս մեծամեծս *// ნშტ.*26,15.

სისრის ყოფა ձգել (სროლა): სისრა-უყო მათ, ձգեսցեն ի նոսա *ფს.63,6.*

სისრულე կատարումն. տիք հասակի. կատարելութիւն: ლოცვაჲ სისრულისათჳს მორწმუნეთაჲსა, աղօթք վասն կատարման հաւատոց *თაენი I ეპ.პეტრ.(8)*; ესრეთ მოიწია სისრულესა სიჭაბუკისასა, այնպէս հասանէր ի տիս հասակի երիտասարդութեան *თ͞ე 55r-59,16;* რომლითა შეუძლონ აღსლვად ღმრთისამიერსა მას სისრულესა, որով կարօղ լինիցին ի վեր ելանել առ աստուածային կատարելութիւն *მცხ.24r-19.*

სისულელე յիմարութիւն: ჯერ-იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისაჲთა ცხოვრება, հաճեցաւ Աստուած յիմարութեամբ քարոզութեանն ապրեցուցանել *Iკორ.1,21.*

სისქე թանձրութիւն („სიზრქე“): ვითარცა სისქე (სიზრქე C) მიწისაჲ განიჰო ქუეყანასა ზედა L, որպէս թանձրութիւն հողոյ զի սփռեալ է ի վերայ երկրի *ფს.140,7.*

სისწრაფე փոյթ (სიჩქარე): სისწრაფითა სამჴრისა წილ თჳსისა შეისხა მოსასხმელი დედაკაცისაჲ მის, ի փութոյն եթող զսանդալ իւր եւ արկ յոտս զմուճակ կնոջն *მცხ.161v-177.*

სისხლ-ი արիւն; պարտք: რამეთუ ჴორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს შენ, զի մարմին եւ արիւն ոչ յայտնեաց քեզ *მთ.16,17*; განრცხას... სისხლითა ყურძნისაჲთა სამკაული თჳსი O, լուասցէ... արեամբ խաղողոյ զհանդերձս իւր *დაბ.49,11*; დასაბამი ცხორებისა კაცთაჲ... სისხლი ყურძნისაჲ, սկիզբն ամենայն պիտոյից ի կեանս մարդոյ...արիւն խաղողոյ *ზირ.39,31*; შური ვიძიო სისხლისა ებრაელისა O, խնդրեցից զարիւնն Յեզրայելի *ოსე1,4*; რაჲსა შეჰბღალეთ სისხლითა სამოსელი იგი ყუაოილოვანი? զ՞ի շաղախեցէք զհանդերձն ծաղկեայ արեամբ *იპ.რომ.-კურთხ.ისაკ. და იაკობ.2-3*; გარდაიჴადე სისხლი იგი შენი, հատուսցես զպարտս (ებრ.) քո *IV მფ.4,7.*

სისხლისა დინებასა ზედა տեռատես: რომელი იყო სისხლისა დინებასა ზედა ათორმეტ წელ, տեռատես երկոտասանամեաց *მთ.9,20.*

სიტკბო քաղցունք: *ნეემ.8,10.*

სიტკბოება, სიტკბოვება քաղցրութիւն. հեշտութիւն: (სიტკბო): იხილე სიტკბოებაჲ და სასტიკებაჲ ღმრთისაჲ, տես զքաղցրութիւն եւ զսաստկութիւն Աստուծոյ *ჰრომ.11,22*; მისწიფე იგი კურთხევასა სიტკბოებისა შენისასა C, ժաման արարեր զնա յօրհնութիւն քաղցրութեան քո *ფს.20,4*; გამოადინებდენ მთანი სიტკბოებასა O, բղխեսցեն լերինք զքաղցրութիւն *ამოს9,13*; სიტკბოება, քաղցրութիւն *მრთ.P.საეკლ.უწყ.1219-647*; სიტკბოვება, հեշտութիւն *მრთ.B.გრ. ანძ.-ნათლისღ.364-194.*

სიტფო ջերմութիւն (სითბო): იქედნჱ სიტფოჲსა მისგან გამოჴდა, իժ մի ի ջերմութենէ ելեալ *საქ.მოც.28,3.*

სიტყბო լայնութիւն (სივრცე): სიტყბოჲ მისი ოც წყრთა, զլայնութիւն ի քսան կանգնոյ *// ნშტ.3,8.*

სიტყუა խօսել. բարբառել. ասել. համարել. համարձակել. խորհել. դողանջել. պատմել. բալ. շշնջել. քրթմնջել („საუბნარება“, „თქუმა“): ეტყოდა მათ, խօսէր ընդ նոսա *მთ.9,18*; რომელი იტყჳს გმობასა, որ խօսի զհայհոյութիւնս *ლ.5,21*; მიეც მონათა შენთა ყოვლითა განცხადებულებითა სიტყუად სიტყჳსა შენისა, տուր ծառայից քոց ամենայն համարձակութեամբ խօսել զբանն քո *საქ.მოც.4,29*; რომელსა-ესე ვიტყჳ, არა უფლისა მიერ ვიტყჳ, զոր խորհիմս. ոչ եթէ ըստ տեառն խօսիմ *IIკორ.11,17*; ეტყოდეს მათ S, ისაუბნარეს მათდამი G, խօսեցան ընդ նոսա *ისუ 6.22,15*; მე არა მეცნიერ ვარ სიტყუად, რამეთუ ყრმა ვარი მე O, խօսել իսկ ոչ գիտեմ. զի մանուկ եմ ես *იერ.1,6*; იწყო სიტყუად ჴელოვანთა მეტყუელთა მათებრ თითითა, սկսաւ խօսել ճարտարապէս մատամբքն *ფლკტ.154,8-466,9*; არა თუ პირისაგან და ბაგეთა მამისა და ძისათა იტყუების, ոչ եթէ ի բերանոյ եւ ի շրթանց Հօր եւ Որդւոյ խօսեալ *მრთ.A.კირ.იერ.-მარტკლ.163-369,21*; ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად, Հոգին տայր բարբառել նոցա *საქ.მოც.2,4*; უფალი სიონით იტყოდა, տէր ի Սիօնէ բարբառեցաւ *ამოს 1,1*; იწყო სიტყუად მეფისა მიმართ, բարբառեցաւ առ թագաւորն *ფლკტ.138,14-438,22*; იწყო... სიტყუად სկսաւ... ասել *მთ.4,17*; რამეთუ იტყოდის, ვითარმედ განკრთომილ არს, զի համարէին թէ մոլեգնեալ իցէ *მრ.3,21*; იწყო სიტყუად წინაშე ყოველთა მათ მორწმუნეთა, համարձակեցաւ առաջի ամենայն հաւատացելոցն *ფლპ.მოც.3,7-300,9*; იტყოდა გულსა თჳსსა, խորհէր ի մտի *მრ.5,28*; იტყოდეს ურთიერთას, խորհեցան ընդ միմեանս *საქ.მოც.4,15*; იგინი (ძაღლნი) იტყოდიან პირითა მათითა, նոքա ղօղանջեսցեն բերանովք իւրեանց *ფს.58,8*; სიტყუად თქუენთა მიმართ სახარებასა მას ღმრთისასა, պատմել ձեզ զաւետարանն Աստուծոյ *თეს.2,2*; მივავლინებდ დაგეტყოდე, առաքեալ. բամ *იერ.35,15*; რომელი იტყოდის ცრუსა, որ շշնջեն զանիրաւս *სიბრძ.სოლ.1,8*; იტყჳან შენთჳს, քրթմնջեն զքեզ *იეზ.33,30*; იგი დავიმარხო სიტყუად B, იგი დავიცვა თქუმად G, զայն ըզուշացայց խօսել *რიცხ. 23,12.*

სიტყუა պատգամ. բան. խօսք. բարբառ. զրոյց. համար. ճառ. հաչիւ. առած. համբաւ. հրաման („რიცხჳ", თქმული, მცნება, საუბარი, ამბავი, ბრძანება): შეიწყნარნა სიტყუანი ცხორებისანი მოცემად ჩუენდა, ընկալաւ զպատգամս կենդանիս տալ մեզ *საქ.მოც.7,38*; დაწერნა მოსე ყოველნი ესე სიტყუანი უფლისანი, գրեաց Մովսէս զամենայն զպատգամս տեառն *გამ.24,4*; აღმოთქუნ გულმან ჩემმან სიტყუაჲ კეთილი, բղխեսցէ սիրտ իմ զպատգամս բարիս *ფს.44,2;* ყოვლითა სიტყჳთა, ամենայն բանիւ *მთ.4,4*; ბრძანებაჲ სიტყჳსა უფლისაჲ ისრაჱლისა მიმართ, առած բանի տեառն ի վերայ Իսրայէլի *მალ.1,1;* ჰე, უვის ძჱ-სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ, այո ունի զբանն ճշմարտութեան *თ̃ე551-65,3*; სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ, խօսք քո յայտ առնեն զքեզ *მთ.26,73*; არა არიან თქუმულ, არცა სიტყუა ყოველთა, ոչ են բանք եւ ոչ են խօսք *ფს.18,4*; მესმა სიტყუაჲ უფლისაჲ, լուայ զբարբառ տեառն *ეს.6,8*; განეფინა სიტყუაჲ ესე, եւ զրոյց այս *ლ.7,17*; მიუგეს მათ სიტყუაჲ, ետուն նոցա զրոյց *რიცხ.13,27*; მისცენ მისთჳს სიტყუაჲ დღესა მას სასჯელისასა, տացեն համար յաւուրն դատաստանի *მთ12,36*; მომეც მე სიტყუაჲ (რიცხჳ C) სამნოჲსა შენისაჲ, տուր զհամար տնտեսութիւն քո *ლ.16,2*; გუშინდელი იგი სიტყუაჲ თუალსაღა გუამისასა სანთლად იტყოდა, երեկի ճառն վասն ական մարմնոյ *ს.გაბ.-მოც.საჴს.89,5*; [ნუ გრცხუენის] სიტყჳსათჳს, შეყოფისათჳს და გზისა ზიარისა, յաղագս հաշուի. զուօղի եւ ճանապարհորդաց *ზირ.42,2;* სიტყუაჲ, რომელი იხილა ამბაკუმ წინაწარმეტყუელმან, առած զոր ետես Ամբակում մարգարէ *ამბ.1,1*; განითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის, եւ համբաւ այս ի հրէից *მთ.28,15*; არარაჲ მესმის მე წარსაწყმედელთა სიტყუათა შენთაგანი, չեմ լսելոց կորստական քում հրամանացդ *დდ.129,7*;

სიტყუაჲ ლალვისაჲ բանակռիւ (დავა, კამათი): *IIტიმ.2,14.*

სიტყუამეცნიერ-ი ճարտարաբան (მჭერმეტყველი): კაცი სიტყუამეცნიერი მოვიდა ეფესოდ, այր ճարտարաբան եկն եհաս յեփեսոս *საქ. მოც.18,24;*

სიტყუათმოყუარე բանասէր (ფილოლოგოსი): სიტყუათმოყუარენი ხართ, ვიცი, და ვითარმედ არა ჭეშმარიტებით ფილოსოფოსნი ხართ, դուք բանասէրք էք գիտեմ եւ ոչ ճշմարիտ իմաստասէրք էք *მ.ცხ.300v-323.*

სიტყუაჴელოვნება ճարտարաբան. ճարտարաբանութիւն (მჭერმეტყველება): სიტყუაჴელოვნება, ճարտարաբան *ზირ.37,23*; არაჲ თუ სიტყუაჴელოვნებითა რასმე გეტყჳ შენ, ոչ ճարտարաբանութեամբ ինչ ասեմ քեզ *ფლკტ.133,16-439,2.*

სიტყჳერ-ი տախտակ („საკითხავი"): დასდვა მას ზედა სიტყჳერი G, დასდვა სამჴართა მათ ზედა საკითხავი იგი O, եդ ի վերայ նորա զտախտակն *ლევ.8,8.*

სიტყჳთ ლალვა բանամարտիկ (დავა, კამათი): *მრთ.A. ანტ.დ.92,13-69,23.*

სიტყჳთ მეცნიერ-ი բանիբուն. ճարտարախօսս („ქადაგი", მჭერმეტყველი): აღადგინნა ღმერთმან ქადაგნი სიტყჳთმეცნიერნი, յարույց

Աստուած քայոզս բանիբունս, ճարտարախօսս *ს.გაბ.-მოც.საკ.93,10-11.*

სიტყვთჳელოვანი բանիբուն (მჭერმეტყველი): სიტყვთჳელოვანი და მეცნიერი წიგნთაჲ და განმმარტებელი (მოინია), բանիբուն եւ զօրաւոր գրովք եւ մտօք եւ բանիբուն մեկնութեամբ *ს.გაბ.მოც.საკ.93,14-15.*

სიტყვსა მიცემა համար տալ: თანამდებთა სიტყვსა მიცემად ცხოვრებისათვს, պարտապանք համար տալոյ ըստ կենացս *ფოკა 340r-493,13.*

სიტყვსგება պատասխանի տալ/առնել, աղերսել, հակառակել, հակառակաբանել, ընդդէմ դառնալ („ცილობა“, პასუხის მიცემა, შესიტყვება): რომელი სიტყუას-უგებ ღმერთსა, որ պատասխանի տաս Աստուծոյ *ჰრომ.9,20*; გგონიეს ვითარმედ თქუენ სიტყუას-გიგებთ, համարեցիք եթէ յողուք անկեալ ինչ ձեզ աղերսիցեմք *IIკორ.12,19*; ვითარ-იგი სიტყუას-მიგებდეს მე ჰურიანი, ի հակառակել Հրէիցն *საქ.მოც.28,19*; იწყო სიტყვს-გებად მისა თევდოსია, սկսաւ հակառակաբանել ընդ նմա Թէոդոսիա *ფლკტ.136,14-442,31*; სიტყუას-უგებდეს ძენი იოსებისნი ისოს S, ეცილნეს ძენი იოსებისნი იისუსა G, ընդդէմ դարձան որդիքն Յովսեփայ Յեսուայ *ისუ 6.17,14.*

სიტყვსგება պատասխանի, պատասխանատուութիւն, պատասխանատրութիւն, հակառակութիւն, աղերս, ատեան, հակառակաբանութիւն „სიტყვს მიგება", პასუხი, პასუხის გაცემა, ცილობა: დაუკვრდებოდა ყოველთა, რომელთა ესმოდა... სიტყვსგებაჲ მისი C, განუკკრდებოდა მათ ყოველთა, რომელთა ესმოდა... სიტყვისმიგებაჲ მისი, զարմանային ընդ պատասխանի նորա *ლ.2,46*; ჩემი სიტყვსგებაჲ... ესე არს, իմ պատասխանի... այս է *Iკორ.9,4*; ისმინეთ ჩემი თქუენდა მიმართ ჩემისა ამის სიტყვსგებისაჲ, լուարուք ինձ այժմ առ ձեզ պատասխանատուութեանս *საქ.მოც.22,1*; მან პოოს სიტყვსგებაჲ, գտցեն պատասխանատրութիւն *სიბრძ.სოლ.6,11*; სიტყვსგებაჲ აღადგინის ყოველმან უკეთურმან O, զհակառակութիւնս յարուցանէ ամենայն չարակամ *იგ.სოლ.17,11*; რაოდენი შექმნა თქუენ შორის სწრაფაჲ, რაოდენი სიტყვსგებაჲ, որչափ ինչ փոյթ գործեաց ի ձեզ, կամ աղերս *IIკორ.7,11*; პირველსა მას სიტყვსგებასა ჩემსა არავინ თანა დამიდგა მე, յառաջնում ատենին ոչ որ ի թիկուն եկաց *IIტიმ.4,16*; სიტყვსგებაჲ, հակառակաբանութիւն *მცხ.374r-430.*

სიტყვსმგებელ-ი հակառակող (მოცილე, მოპაექრე): ვითარცა სიტყვსმგებელი მღდელი O, իբրեւ զքահանայն հակառակօղ *ოვსე 4,4.*

სიტყვსმეცნიერ-ი հռետորական, ճարտարախօս (მჭერმეტყველი): უზეშთაეს არს ყოველთა სიტყვსმეცნიერთა სახელის დებისა, ի վեր են քան զամենայն հռետորական անունսն *ს.გაბ.-მოც.საკ.92,4-5*; შემძლებელ არს ღმერთი, ვითარმცა გამოაჩინნა სიტყვსმეცნიერნი ქადაგად, կարող էր Աստուած դրդել ջատագով քարոզութեանն զճարտարախօսս *ს.გაბ.-მოც.საკ.92,26-27.*

სიტყვსმიგება պատասխանի („სიტყვსგება): განუკკრდებოდა მათ ყოველთა, რომელთა ესმოდა... სიტყვსმიგებაჲ (სიტყვსგებაჲ C) მისი, զարմանային... ընդ պատասխանիս նորա *ლ.2,46.*

სიტყვსმიგება պատասխանի առնել, վիճել (პასუხის მიცემა, პაექრობა): უნდა სიტყვსმიგებად ერისა მის, պատասխանի առնել ամբոխին საქ.მოც.19,33; რაჲთა შეგიძლონ შენ სიტყვსამიგებად, զի կարասցեն վիճել ընդ քեզ *ფოკა340r-493,28.*

სიტყვსმიცემა համար տալ, դաշինս դնել, ուխտել (პასუხისგება, ანგარიშგება): რაჲ არს უქმისათვს სიტყვსა სიტყვსმიცემაჲ, զի՞նչ է բանն որ ասէ ամենայն դապարկ բանի համարս տալոց էք *მცხ.275v-295;* სიტყუაჲ მიმიცემიეს თავისა ჩემისადა, դաշինս եդի անձին *მცხ.279v-300;* სიტყუაჲ მიმიცემიეს ქრისტესდა, ուխտեցի քրիստոսի *მცხ.309v-336.*

სიტყვსმოგება պատասխանի տալ (პასუხის მიცემა): არაჲ მოუგეს მას სიტყუაჲ O, նմա պատասխանի ոչ ետուն. *IVმფ.18,36*; მომიგე მე სიტყუაჲ O, տուր ինձ պատասխանի *მიქ.6,3. +-*

სიტყვსმოგება պատասխանի (პასუხი): არა აქუს სიტყვსმოგებაჲ ღმერთსა ამას შენსა, ոչ ունի տալ պատասխանի աստուածդ քո *ფლკტ.134,19-446,12.*

სიტყვსმოქმედ-ი ճայտար (პოეტი): ვითარცა-იგი ვინმე თქუენგანნი სიტყვსმოქმედნი იტყვან, որպէս եւ ոմանք ի ձերոց ճարտարաց ասացին *საქ.მოც.17,28.*

სიტყვსყოფა հակառակել, հաշխ լինել (ცილობა, კამათი, ანგარიშგება): სიბრძნისმოყუარეთა სიტყუა-ყვეს, փիլիսոփայից հակառակէին ընդ նմա *საქ.მოც.17,18*;

მაშინღა სიტყუაჲ-იყოს, յայնժամ հաշիւք լինիցին *Iკორ.16,3.*

სიუან-ი սիւան (ებრაელთა მესამე თვე, ივნისი): მოქცევად მისა ქუეყანად იუდაჲსა მეათესა სიუანისასა J, դարձուցանել յերկիրն Յուդայ ի տասներորդում սիւան ամսոյ *ბარ.1,8.*

სიუდბე ծոյլ (სიზარმაცე): ოდეს მესმის სიუდბე ძმისაჲ, მძულს იგი, մինչ լսեմ ծոյլ գոլ զեղբայրն ատեմ զնա *მცხ.106v-116.*

სიფართოე, სიფართე լայնութիւն (სიგანე): სიფართოჱ იგი ბჭისაჲ, զլայնութիւն դրանն *ეზეკ.41,2*; სიფართოე, երկայնութիւն *ეზეკ.40,11.*

სიფიცხე, სიფიცხლე խստութիւն. անզգութիւն. խստաշունչ. խիստ. ցրտութիւն („გულფიცხელობა", სიმკაცრე, სისასტიკე): ნუ მოიხილავ სიფიცხესა ზედა ამის ერისასა G, ნუ მიხედავ სიფიცხლესა ამის ერისასა S, մի՛ հայիր ի խստութիւն ժողովրդեանդ այդորիկ *IIშჯ.9,27*; უჩუენე ერსა შენსა სიფიცხლე შენი, ցուցեր ժողովրդեան քում խստութիւն *ფს.59,5*; რომელი ესვიდეს სიფიცხლესა გულისა თჳსისასა O, որ յուսացեալ է ի յանզգութիւն սրտի *იგ.სოლ.28,26*; სიფიცხლისა მისგან ჰაერთა ზამთრისათა, ըստ խստաշունչ օդոյն ձմերայնոյն *ნრს.73,8*; ხედავა... სიფიცხლესა გულისა მისისასა? տեսանես՞... խիստ սրտի *იპ.რომ.კურთხ.ისაკ. და იაკ.32-33*; განყინებულნი ძრწოდეს სიფიცხისა მისგან ზამთრისაჲსა O, սարսռացեալք դողային վասն ցրտութեան ձմերանոյն *Iეზრა 9,6;* განიშორეთ სიფიცხლე ეგე გულითა თქუენთაჲ S, წინადაიცჳთეთ გულფიცხელობაჲ თქუენი G, թլփատեցէք զխստասիրտութիւն իւրեանց *ზირ.16,11.*

სიფრთხილე զգաստութիւն (სიფხიზლე): სთროდა მთრვალობითა მით სიფრთხილისაჲთა, արբեալ են սոքա զարբեցութիւն զգաստութեան *მრთ.S.კირ.იერ.-მარტჳლ.188,32-379,4.*

სიქადული պարծանք (სიამაყე, სიამპარტავნე): ყოველივე სიქადული ესევითარი ბოროტ არს, ամենայն ինչ այնպիսի պարծանք չարութիւն են *ეპ.იაკ.4,16*; ვფუცავ თქუენსა სიქადულსა, ի պարծանս ձեր երդնում *Iკორ.15,31*; სიქადული ძალისა მათისაჲ შენ ხარ, պարծանք զօրութեանց մերոյ դու ես *ფს.88,18*; გჳრგჳნ სიქადულის სიბრძნჱ, պսակ պարծանաց ծերութիւն *იგ.სოლ.16,31*; სიქადული შვილთა მამანი მათნი O, պարծանք որդւոց՝ հարք իւրեանց *იგ.სოლ.17,6*; გრცხუენოდენ სიქადულისაგან თქუენისა J, յամօթ լերուք ի պարծանաց ձերոց *იერ.12,13*; სიქადული ჩემი შენ ხარ, պարծանք իմ դու ես *იერ.17,14*; მცირედ ჟამ იყო სიქადული ესე ჩემი, առ սակաւ ժամս եղեն պարծանքս իմ *ანდ.-ამატ.319-33,31.*

სიქადულ-ი պարծել. պարծենալ (ამპარტავნება): ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, ինձ քաւ լիցի պարծել *გალ.6,14;* გამოვიდა მტარვალთ-მთავარი იგი სიქადულით, ելեալ դահճապետն պարծելով *რიფს.177,1-111,5*; რომელნი-იგი სიქადულით ჰგონებდეს წინადაცუეთილებითა განმართლებასა, որք պարծեցեալք կարծէին թլփատութեամբն արդարանալ *იპ.რომ.კურთხ.ისაკ. და იაკ.30-31.*

სიქალწულე, სიქალწულება կուսութիւն: სიქალწულითგან თჳსით, ի կուսութենէ իւրմէ ლ.2,36; ნუ მისცემ მარგალიტსა ამას სიქალწულისასა დატკეპნად ღორთა, մի [տար] զկուսութեան մարգարիտ հաւատոց մերոց *რიფს.164,40-82,20*; სიქალწულება O, կուսութիւն *იერ.3,4.*

სიღოდა անառակութիւն. պղծութիւն. շռայլութիւն. երաժիշտ. երգ („ლირწნება", უწესობა, სიბილწე): სიღოდა (ლირწნება Q), անառակութիւն *გალ.5,21*; სიღოდათა იქმოდეს, պղծութիւնս առնէին *მცხ.399v-454*; გამოუცხადა თავი თჳსი წმიდასა და მისთა მათ სიღოდათა და საცთურთა მრავალთხზულებაჲ, յայտնեաց զանձն իւր ծերոյն եւ զամենայն շռայլութիւն եւ զխարէութիւնս իւր *მცხ.401r-455*; ნუ ლაღობითა სიღოდისაჲთა, մի՝ խափաներ զերաժիշտս *ზირ.35,5*; მიართუმიდეს... ესაია სიღოდასა, Էսայի երգէ *მრთ.S.ი.ოქრ.-გურიტ.230,31-140,277.*

სიღრმე խորք. խորութիւն. խորի. խորինք. խոյխորատ. անդունդ. հիւթ („უყი"): გამოეძიებს და სიღრმესაცა ღმრთისასა, քննէ եւ զխորս Աստուծոյ *Iკორ.2,10*; დავინთქ მე სიღრმესა უფსკრულთასა C, დავინთქ მე უყსა უფსკრულისასა L, ընկլայ ես ի խորս անդնդոց *ფს.68,2*; დაგამკჳდრო შენ სიღრმესა ქუეყანისასა O, բնակեցուցից զքեզ ի խորս երկրի *ეზ.26,20;* უკუეთუ შთაჴდენ თუალთაგან ჩემთა სიღრმესა ზღჳსასა, եթէ ընկեցին յաչաց իմոց ի խորս ծովու *ამოს.9,3*; განჴმენ ყოველნი სიღრმენი მდინარეთანი O, ցամաքեսցին ամենայն խորք գետոց *ზაქ.10,11*; სივრცე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე, լայնութիւն եւ երկայնութիւն եւ բարձրութիւն եւ խորութիւն *ეფეს.3,18*; სიღრმჱ ღრმისაჲ ვინ-მე პოვოს-იგი? O, զխորութիւն խոյոց ո՞վ կարասցէ գիտել *ეკლ.7,25*; ცოდვანი, რომელნი

დამტკიცებულ არიან სიღრმესა გუამისასა, զմեղս հաստատեալ ի խորւոջ *მრთ.A.ბას.კეს.-მარხ.124,1-251*; გამოაცხადნის სიღრმენი დაფარულნი O, ինքն յայտնէ զխորհինս եւ զգաղտնիս *დან.2,22*; დავსცნე სიღრმესა ლოდნი მისნი O, կործանեցից ի խորխորատ զվէմս նորա *მიქ.1,6*; სიღრმე, անդունդ *მრთ.S.კ.იერ.გამოჩ.ჯუარ.242,36*; რამეთუ არა იყო სიღრმჱ მინისაჲ, առ ի չգոյէ հիւթոյ *ლ.8,6.*

სიყმილ-ი սով. սովամահ (შიმშილი): იყვნენ სიყმილნი და ნყუედანი C, եղիցին սովք եւ սրածութինք *მთ.24,7*; იყო სიყმილი ძლიერი მას სოფელსა, եղեւ սով սաստիկ յաշխարհին յայնմիկ *ლ.15,14*; მახჳლი და სიყმილი ჩუენ არა ვიხილოთ J, զսուր եւ զսով ոչ տեսցուք *იერ.5,12*; გამოვავლინო სიყმილი ქუეყანასა ზედა O, առաքեցից սով յերկիր *ამოს.8,11;* სიყმილსა მჴნე და სავსებასა არა დაჴსნილ, ի սովի նահատակեալ եւ ի լիութեան չյուլացեալ *ს.გაბ.-მოც.საკ.100,42-101,1*; მე აქა სიყმილითა წარვწყმდები, ես աստ սովամահ կորնչիմ *ლ.15,17.*

სიყრმე մանկութիւն, տղայութիւն (ყრმობა, ბავშობა): დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან, պահեցի ի մանկութանէ իմմէ *მთ.19,20*; სწავლულ [ხართ] სიყრმითგან ვიდრე სიბერედმდე J, խրատեալք ի մանկութենէ մինչեւ ցծերութիւն *ეს.46,3*; სიყრმე, տղայութիւն *ზირ.42,9*; სიყრმით ჩემითგან ქრისტეანე ვარი მე, ի տղայութիւնն լեալ էի քրիստոնեայ *იზტ.120,4.*

სიყუარულ-ი սէր. սիրողութիւն. սիրուն: განჴმეს სიყუარული, ցամաքեսցի զսէր *მთ.24,12;* სიყუარულითა შენითა ვყავ ნებაჲ შენი J, առ սէր քո արարի զկամս քո *ეს.48,14*; აღმადგინა მე სიყუარულითა მისითა, յարոյց զիս սիրողութեամբ իւրով *ფკლტ.150,13-461,11;* ამათ ორთასავე უფროჲს არს სიყუარული სიბრძნისაჲ O, քան զերկուսին՝ սիրումն հանճարոյ *ზირ.40,20.*

სიყუარულ-ი սիրել (სიყვარული): ჟამი არს სიყუარულისაჲ და ჟამი სიძულილისაჲ O, ժամանակ սիրելոյ եւ ժամանակ ատելոյ *ეკლ.3,8.*

სიყვთლე դալուկ: მოვავლინო თქუენ ზედა... სიყვთლე B, հաստատեցից ի վերայ ձեր... դալուկն *ლ.26,16.*

სიშავე սեւութիւն: რაჲთურთით სიშავჱ არა არს მის თანა, ամենեւին սեւութիւն ի նմա ոչ գոյ *ფიზ.VI, 7.*

სიშლუვე ճեղութիւն (სიმელოტე): კეთრი აღყუავებადი არს სიმტიერესა მისსა შინა ანუ სიშლუვესა მისსა შინა G, բորոտութիւն թաքուցեալ ի կնտութեան նորա կամ ի ճեղութեան *ლევ.13,42.*

სიშორე լեռաւորութիւն. երկայնութիւն: ესევითარსა სიშორესა გზისასა სამგზის ოდენ ჭამა, յայսպիսի հեռաւորութեան ճանապարհին երեք անգամ ճաշակեաց ծերն *მ.ცხ.128v-146.* სიშორე გზისა, երկայնութիւն ճանապարհի *მცხ.233r-255.*

სიჩქურე/-ი շաղփաղփութիւն. շաղփաղանք. փասքուս. խաբէլութիւն (სისულელე, მოტყუება): უჩნდეს მათ წინაშე ვითარცა სიჩქურე სიტყუანი მათნი C, უჩნდეს მათ სიტყუანი მათნი ვითარცა სიჩქურისანი მათ წინაშე DE, երեւեցան առաջի նոցա շաղփաղփութիւն բանքն նոցա եւ չհաւատացին նոցա *ლ.24,11*; გამოიცადე თჳსი იგი სიჩქურე და სიცოფჱ, რამეთუ ესავ ჯუარცუმულსა მას, յայտ արարեր զքոյին շաղփաղանս բարբանջանաց ընդ խաչեալն հայելով *ფოკა341r-494,36*; ასწავებენ... არა ხოლო უქმობასა, რამედ სიჩქურესა და გამოწულილვასა, ուսանին... ոչ միայն դատարկք. այլ եւ փասքուսք եւ հետաքրիրք *Iტიმ.5,13;* გეტყჳ შენ დალათუ არა ნეფსით ჴელოვნებათა ჩემთა სიჩქურსა, տատմեմ քեզ. այլ ոչ կամաւ իմով զարուեստ խաբէութեանց իմոց *მ.ცხ.401v-456.*

სიჩქურება ընդունայն կարծել (უაზრო, უსარგებლო): სიტყუად სიჩქურებისა შემერაცხნეს სწავლანი სიწმიდისანი, զամենայն բանս զրոց ընդունայն կարծէի *მცხ.421v-473.*

სიჩჩო, სიჩჩოება փափկութիւն. տղայութիւն. գրգութիւն (სიჩვილე, სირბილე): სიჩჩო, փափկութիւն *იეზ.17,9;* სიჩჩოება, փափկութիւն *ბას.კეს.მარხ.53v-255*; სიჩჩოჲთგან ჩემით ვარი მე ქრისტეანე, եւ ի տղայութեանն էի հաւատացեալ ի Քրիստոս *იზტ.120,1*; სიჩჩოება G, գրգութիւն *IIშჯ.28,56.*

სიჩჩვლე տղայութիւն. կակուղ (სირბილე): სიჩჩვლე, տղայութիւն *იეზ.16,43;* სიჩჩვლჱ იგი ყოვლისა მის ბუნებისაჲ სახედ ლოდისა გარდაიქცა, կակուղ բնութիւն ջրոցն ըստ նմանութեան քարանց յեղափոխեցաւ *მრთ.S.ბას.კეს. 40-თვს 119,20.*

სიცბილე մոլութիւն. մոլորութիւն. անիրաւութիւն („უცნება", მცდარობა; გაბრაზება): სიცბილად მიგაქცევენ შენ, ի մոլութիւն դարձուցանեն *საქ.მოც.26,24;* არა მიხედნა ამაოებასა, არცა სიცბილსა ტყუილისასა Ⴂ, არა მიხედნა მან ცუდსა, არცა უცნებასა ტყუილისასა Ⴀ, ոչ հայեցաւ նա ի նանրութիւն եւ ոչ ի մոլութիւն սուտ *ფს.39,5*; სიცბილი მისი

დაყუდენი! մոլորութիւն նորա սուզեսցի *განხ.ი.201,12-87,19.* სიმრავლითგან სიცრუვეთა შენთა განმრავლდა სიცბილი O, ի բազմութենէ անիրաւութեանց քոց յաճախեալ մոլորութիւն *ოვსე9,7.*

სიცბილ-ი մոլել (გაბრაზება): უმეტესადღა ვცბოდე მათ ზედა, առաւել եւս մոլեալ ի վերայ նոցա *საქ.მოც.26,11.*

სიცივე ցուրտ: შევიდა სამაროანსა... სიცივისათჳს, եմուտ ի գերեզմանս... յաղագս ցրտին *მცხ.306r-332.*

სიცილ-ი ծաղր. կատականք. կատակութիւն: (დაცინვა, მხიარულება): სიცილი თქუენი გლოვად გარდაიქეცინ, ծաղր ձեր ի սուգ դարձցի *ეპ.იაკ.4,9;* სიცილი იგი მათი ფუფუნება არს ცოდვის, ծանր նոցա զբաղմամբ մեղաց||ծաղր նոցա գրգռութիւն մեղաց *ზირ.27,14*; სიცილი და ყუედრებაჲ ბასრობისაჲ ამპარტავანთაჲ არს, կատականք եւ նախատինք ամբարտաւանից *ზირ.27,31*; განირყუნენ ბომონნი სიცილისანი, ապականեսցին բագինք կատակութեան *ამოს.7,9*; კადნიერებაჲ და სიცილი მსგავს არიან ცეცხლისა, რომელი ედებინ ლერწმოანსა, համարձակութիւն եւ ծաղր նման են հրոյ որ արկանին յեղէգանս *მცხ.264v-283.*

სიცილ-ი ծիծաղել. ծպտել (მხიარულება; დაცინვა): ჟამი ტირილისაჲ და ჟამი სიცილისაჲ, ժամանակ լալոյ եւ ժամանակ ծիծաղելոյ *ეკლ.3,4*; სიცილით იქმნ უგუნური ბოროტსა O, ծիծաղելով գործէ անզգամ զչար *იგ.სოლ.10,23*; სიცილი, ժպտել ზირ.13,14; სიცილით ეტყოდა, ժպտելով ասէր *მცხ.177v-196.*

სიცონილ-ი վատութիւն. դանդաղելի (სიზარმაცე): სიცონილითა დამდაბლდენ სართულნი O, ի վատութեան խոնարհեսցին հեծանածգութիւնք *ეკლ.10,18*; იგივე მიწერად თქუენდა ჩემდა არა სიცონილ არს, զնոյն գրել առ ձեզ ինձ ոչ դանդաղելի է *ფლპ.3,1.*

სიცოფე յիմարութիւն. յիմար (სისულელე, სიგიჟე; სულელი): სიბრძნჱ ამის სოფლისაჲ სიცოფე არს წინაშე ღმრთისა, իմաստութիւն աշխարհիս այսորիկ յիմարութիւն է առաջի Աստուծոյ *Iკორ.3,19*; რომელმან დაიფაროს სიცოფჱ თჳსი O, որ թագուցանէ զյիմարութիւն իւր *ზირ.20,33*; სიცოფისათა მათ და უსწავლელთა გამოძიებათა განეშორე, ի յիմար եւ յանխրատ խնդրոց հրաժարեա *IIტიმ.2,23.*

სიცოცხლე առողջութիւն. ողջութիւն. ողջմտութիւն. կեանք. փրկութիւն („ცხორება“, ჯანმრთელობა, ხსნა, გადარჩენა): მოსცა მას სიცოცხლჱ ესე წინაშე თქუენ ყოველთასა, ետուն դմա զառողջութիւնս զայս յանդիման ձեր ամենեցուն საქ.მოც.3,16; სიცოცხლჱ და სახე-კეთილობაჲ უმჯობჱს არს ყოვლისა კეთილისა ოქროჲსა, առողջութիւն եւ առոգութիւն լաւ է քան զամենայն ոսկի *ზირ.30,15*; რაოდენ დავშურებით ჩუენ თავისა შენისა სიცოცხლისათჳს, որչափ աշխատեմք մեզոյն իսկ վասն ողջութեան մերոյ *ფილაკტ.157,7-470,25.* სიცოცხლისა მის მოძღურებასა არა თავს იდებენ, ողջութեան վարդապետութեանն ոչ անսայցեն *IIტიმ.4,3*; არა დაუტევებდეს ძალსა სიცოცხლისასა ქუეყანასა G, არა დაუტევიან ძალი ცხორებისაჲ ისრაჱლსა შორის S, ոչ թողուին դադար կենաց Իսրայելի *მსჯ.6,4;* სიცოცხლე, փրկութիւն *მრთ.S.ბას.კეს.-40-თჳს122,21.*

სიცოცხლე կեալ (არსებობა): ზრუნავს... სიცოცხლესა თჳსსა, հոգայ... զկեալն իւր *მცხ.39r-33.*

სიცრუე, სიცრუვე անիրաւութիւն. ստութիւն. ապիրատութիւն. սուտ. նանրութիւն. ցոփութիւն. խարէութիւն („უშჯულოება“, „ზაკუვა“): მოიგო დაბაჲ სასყიდლისაგან სიცრუისა, ստացաւ գեղ ի վարձուց անիրաւութեան *საქ.მოც.1,18*; არა არს უფლისა ღმრთისა ჩუენისა თანა სიცრუე, არცა თუალთაღება, არცა მიღება ქრთამისა, ոչ գոյ տեառն Աստուծոյ անիրաւութիւն եւ ոչ երեսաց աչառել եւ ոչ առնուլ կաշառս *IIნშტ.19,7*; სიცრუვე (ზაკუვა C) არა არს მის თანა, անիրաւութիւն ոչ գոյ ի նմա *ი.7,18*; არა იპოვა ჩემ თანა სიცრუვე L, არა იპოვოს ჩემ თანა უშჯულოებაჲ C, ոչ գտաւ յիս անիրաւութիւն *ფს.16,3*; სიცრუესა ჴელნი თქუენნი ნივთებენ, զանիրաւութիւն ձեռք ձեր նիւթեն *ფს.57,3*; ნუ სთესავ ურნატთა მათ სიცრუვისათა O, մի՛ սերմաներ... յակօս անիրաւութեան ზირ.7,3; რად გიყუარს ამაოებაჲ და ეძებთ სიცრუვესა? ընդէ՞ր սիրէք զնանրութիւն եւ խնդրէք զստութիւն *ფს.4,3*; სიცრუვე არს პირსა მათსა, ստութիւն ի բերանս նոցա *ეზეკ.33,31*; მოიძულე სიცრუვჱ, ատեցեր զստութիւն *ფლკტ.141,25-449,34*; სიცრუვესა მაღლად ზრახვიდეს, զապիրատութիւն ի բարձունս խօսեցան *ფს.72,8*; რომელნი იტყჳან სიცრუვესა, որք խօսին սուտ *ფს.5,7*; სიცრუვე, նանրութիւն *იერ.28,15*; იხილა სიცრუვე მისი უწესომან იუდა, ետես զցոփութիւն նորա ուխտադրուժն Յուդա *იერ.3,7*; სიცრუვე, խարէութիւն *ეს.44,20.*

სიცრუ(ვ)ით ի տարապարտուց: *ფს.118,78*; ի նանիր *ფს.68,5.*

სიცხე տօթ. խորշակ. ջերմ. ջերմութիւն. տապ („ხორშაკი“, „სიტფო“, პაპანაქება): შევიწუებოდე სიცხითა დღისაჲთა O, զցերեկ այրեալ լինէի ի տօթոյ *დაბ.31,40*; არა-მე სიცხჱ განაქარვისა ცუარმან? ո՞չ ապաքէն զտօթ զովացուցանէ ցօղ *ზირ.18,16*; განბნეულ არიან იგინი სიცხესა ქუეშჱ დღისასა, ընկեալ կան ի տօթի տունջեան *ბარ.2,25*; რაჟამს სამხრით ქრინ, სთქჳთ, ვითარმედ სიცხე (ხორშაკი C) იყოს, յորժամ հարաւ շնչել, ասէք թէ խորշակ լինի *ლ.12,55*; სიცხემან დააცხო თავსა მისსა, յընթանալ խորշակին եւ գալ հասանել ի վերայ գլխոյ նորա *ივდ.8,3*; განერა სიცხისაგან შვილი გონიერი, ապրեցաւ ի խորշակէ որդի իմաստուն *იგ.სოლ.10,5*; დაუტევა იგი სიცხემან, եթող զնա ջերմն *მთ.8,15*; მეყსეულად სიცხისა მისგან აღესრულა A, მეუნქუესვე სიტფოჲსა მისგან აღესრულა B, իսկոյն լուծաւ ի ջերմութենէն *ხბსტ.138,9-3*; სიცხისაგან მისისა დამძიმდის, ի տապոյ նորա ծանրացեալք *სიბრძ.სოლ.2,4*; არა არს, ვინ დაეფაროს სიცხესა მისსა, ոչ ոք իցէ որ թաքիցէ ի տապոյ նորա *ფს.18,7*.

სიცხისა ჟამ-ი տօթաժամ: *IIმფ.4,5*.

სიცხე ջերմանալ („მჴურვალება“): იდვა სიცხითა C, დავრდომილ იყო მჴურვალებითა, դնէր ջերմացեալ *მრ.1,30*.

სიძე փեսայ. այր (სიძე; ქმარი): ვიდრე სიძე მათ თანა არს, մինչ փեսայն ընդ նոսա իցէ *მთ.9,15*; ვითარცა სიძესა დამადგა მე გჳრგჳნი J, իբրեւ փեսայի եդ ինձ պսակ *ეს.61,10*; ვითარცაიგი მიიქცის სძალი სიძისა O, զոր օրինակ դառնայցէ հարսն առ այր իւր *IIმფ.17,3*.

სიძება ամուսնանալ. կին առնել („შერთვა ცოლისა“, ქმრობა): შევედ ცოლისა ძმის შენისა და ესიძე მას O, մուտ առ կին եղբօր քո. եւ ամուսնասցիս ընդ նմա *დაბ.38,8*; ესიძენ მას ძმაჲ მისი ცოლსა მას მისსა ზედა C, შეირთოს ცოლი მისი ძმამან მისმან DE, արասցէ զկին նորա եղբայր իւր *მთ.22,24*.

სიძვა պոռնկել. պոռնկեցուցանել. շնալ („განსიძვა“, „განმეძვება“, „თანა შემკჳდრება, გარყვნილება): რომელი ისიძჳდეს, თჳსთა მიმართ ჴორცთა ცოდავს, որ պոռնկին յիւր մարմինն մեղանչէ *Iკორ.6,18*; ისიძვა თამარ, სძალმან შენმან, պոռնկեցաւ նու քո թամար *დაბ.38,24*; ისიძვიდეს (განსიძვეს G) შემდგომად ღმერთთა უცხოთა O, պոռնկեցան զհետ աստուածոց օտարաց *მსჯ.2,17*; შენ ისიძვე მწყემსთა თანა მრავალთა J, դու պոռնկեցար ընդ հովուիս բազումս *იერ.3,1*; სიძვით ისიძვიდეს ქუეყანაჲ, պոռնկելով պոռնկեսցի երկիր *ოვსე 1,2;* ცოლი შენი ქალაქსა შინა ისიძვიდეს O, կին քո ի քաղաքիդ պոռնկեսցի *ამოს7,17*; არცა ვისიძვიდეთ გემოჲსხილვითა, մի զճաշակելիս պոռնկեցուսցուք *გრ.ანძ.-შობ.294,33--148*; ისიძვეს შეშითა და ქვითა, շնային ընդ փայտի եւ ընդ քարի ფიზ.XXXI, 17; ნუ ისიძავ, մի՛ շնայցես *მცხ.225v-245*. არა შეაგინო ასული შენი სიძვად B, არა შეაგინო ასული შენი განმეძვებად G, մի՛ պղծիցես զդուստր քո պոռնկեցուցանելով զնա *ლევ.19,29*; თუ ვინმე შეიპყრას მამაკაცი ქმრის ცოლისა თანა სიძვასა S, უკუეთუ იპოოს კაცი დედაკაცსა თანამემკჳდრებულსა ქმრისასა S, եթէ գտցի այր շնացեալ ընդ առնակնոջ *IIშჯ.22,22*.

სიძვა պոռնկութիւն. շնութիւն („მეძვობა“, გარყვნილება): ჩუენ სიძვისაგან არა შობილ ვართ C, մեք ի պոռնկութենէ չեմք ծնեալ *ი.8,41*; სიძვისათჳს კაცად-კაცადსა თჳსი ცოლი ესუნ, վասն պոռնկութեան իւրաքանչիւր ոք զիւր կին կալցի *Iკორ.7,2*; მიდგომილ არს სიძვით, յղի է ի պոռնկութենէ *დაბ.38,24*; სიძვა B, მეძვობა G, պոռնկութիւն *ლევ.21,9*; განამრავლენ სიძვანი შენნი მათ თანა, բազմացուցեր զպոռնկութիւնս քո առ նոսա *ეს.57,9;* სასყიდლისაგან სიძვისა შეიკრიბა O, ի կայինաց պոռնկութեան ժողովեաց *მიქ.1,7*; მოიყვანე თავისა შენისა დედაკაცი სიძვისაჲ, առ դու քեզ կին պոռնկութեան ժողովեաց *მიქ.1,7*; მოიყვანე თავისა შენისა დედაკაცი სიძვისაჲ, առ դու քեզ կին պոռնկութեան *ოვსე 1,2*; სიძვა, շնութիւն *ფიზ.V,29*.

უსამართლო տարապարտ, անիրաւ. տարապարտուց („ცუდი“, „ცრუ“): იყო... ტაცებაჲ უსამართლოჲ, էր ... յափշտակութիւն տարապարտ *ფლკტ.133,4-438,7;* პირი უსამართლოჲ, բերան անիրաւ *მცხ.30r-26*; მომიძულეს მე უსამართლოდ (ცუდად C), ատէին զիս տարապարտուց *ფს.37,20;* მოწამემან უსამართლომან წამა უსამართლოჲ G, ცრუსა სიცრუით წამებდა S, վկայ անիրաւ վկայեաց զանիրաւութիւն *IIშჯ.19,18.*

უსამართლოება անիրաւութիւն: იჴმენ... უსამართლოებისაგან, հրաժարեա՛ յանիրաւութենէ *მცხ.39v-33.*

უსამართლოობა մեղանչել („ვნება“): მეუსამართლოოს თუ ვინ ჩუენ G, უკუეთუ ვინმე გუავნოს ჩუენ S, թէ ոք մեղանչեսցէ մեզ *ისუ.ნ.2,20.*

უსანატრელეს երանելի եւս (უფრო სანატრელი): უსანატრელეს არს, երանելի եւս է *Iკორ.7,40.*

უსარგებლჱს-ი օգտակարագոյն (უფრო სარგებლიანი): თაფლისა უტკბოჲსსა და უსარგებლჱსსა იტყოდა, քան զմեղր քաղցրագոյն եւ օգտակարագոյնս խօսէր *მრთ.S.კირ.იერ.-ნათლისღ.86,7-35,3.*

უსართულ-ი անյարկ (უსახურავო): *ეპ.კვპრ.-დაფლ.421-94.*

უსართულო վարագոյր. միջոց (უჭერო, უსახურავო): წყალი გამოვიდოდა ქუეშჱ კერძო უსართულოსა, ելանէր ջուր ի ներքոյ վարագուրաց տաճարին ընդ արեւելս *ეზეკ.47,1;* უსართულოჲ იგი ბჭისაჲ მის გარეშჱ უსართულოდმდე ელამისა ბჭისა მის შინაგანისა ერგასის წყრთა, զմիջոց սրահին արտաքնոյ եւ զմիջոց կամարի դրանն ներքնոյ ի յիսուն կանգնոյ *ეზეკ.40,14-15.*

უსართულოჲ და აეროვანი միջոց (უწერო, უსახურავო): უსართულოჲ და აეროვანი იგი ელამისაჲ, ბჭისა მის გარეშესაჲ, ოც წყრთა თეენი ბჭისაჲ გარემო, զմիջոց կամարի դրանն եւ կողակն որին ի վաթսուն կանգնոյ շուրջ զդրամբն *ეზეკ.40,14.*

უსასო անյոյս (უიმედო): *მცხ.238r-259.*

უსასოება անյուսահատութիւն (უიმედობა): უსასოებასა მოუცავ მე, անյուսահատութիւն պաշարեաց զիս *მცხ.143v-160.*

უსასყიდლოდ ձրի. անվարձ. առանց գնոյ. առատապէս („უხუად“, „მედად“, უფასოდ): მკურნალი, რომელი უსასყიდლოდ ჰკურნებ, բժիշկ. որ ձրի բժշկես *განხ.ი.199,5-84,25;* უსასყიდლოდ ვიგინები, ձրի անարգեցայ *მ.ცხ.191r-203*; უსასყიდლოდ მიგიღებიეს და უსასყიდლოდცა მისცემდით, առէք եւ ձրի տուք *მთ.10,8*; რომელნი უსასყიდლოდ შურებიედ, որ անվարձս վաստակեն *კ.იერ.-აღდგ.113-398,6*; უსასყიდლოდ, առանց գնոյ ფს.43,13; რომელმან მოსცის ყოველთა... უსასყიდლოდ (უხუად Ղ), որ տայն ամենայնի առատապէս *ეპ.იაკ.1,5;* რომელთა ვჭამდით ეგვპტეს უსასყიდლოდ (მედად S), զոր ուտեաք յեգիպտոս ձրի *რიცხ.11,5.*

უსაფრთულო օդ („უსართულო“, უსახურავო): აღიმაღლა დიდებამან უფლისამან ქერობინთა მათგან უსაფრთულოსა (უსართულოსა O) მას ტაძარსა, փառքն... վերացան ի քերովբէից անտի յօդն (|| ի սեամս անդր տանն) որ ի տաճարին *ეზეკ.10,4;* აღვიდა ქერობინთა მათგან რომელი იყო მათ ზედა უსაფრთულოსა მას საკურთხეველისა ტაძრისასა (վերացան ի քերովբէիցն յօդն որ ի մեջ տաճարին (|| յորոց վերայ էին ի սեամս տանն) *ეზეკ.9,3.*

უსაშინელეს-ი ահագին. ահաւոր քան (საშიში): ხოლო არს სხუაჲ უსაშინელესი ლაამისსა, եւ է այլ ինչ ահագին քան զայս *მცხ.229r-248;* უსა-

შინელეს არს იგი უფროჲს ყოველთა მეფეთა, ահաւոր է նա քան զամենայն թագաւորս երկրի *ფს.75,13.*

უსაშინელესად այլ եւս ահիւ (საშინლად): უსაშინელესად განჰმზადნე, այլ եւս ահիւ դատաստանս ածես *თ˜ე.557-69,12.*

უსაწყალობელჱს-ი ողորմելի քան (უფრო საწყალი): უსაწყალობელჱს ყოველთა კაცთასა ვართ, ողորմելի եմք քան զամենայն մարդիկ *Iკორ.15,19.*

უსახლო անյարկ („უსადგურო"): გლახაკნი უსახლონი (უსადგურონი O), შეიყვანენ სახედ შენდა, զաղքատս անյարկս տար ի տուն քո *ეს.58,7.*

უსახნიერეს-ი լաւագոյն („უმჯობესი"): უსახნიერეს არს მისსა G, უმჯობეს მისა არს იგი S, լաւագոյն է քան զնա *მსაჯ.15,2.*

უსახურ-ი տգեղ. կամակոր (უშნო, ულამაზო, ბოროტი): მჭლჱ და უსახური, ցամաքեալ. եւ տգեղ եւ գարշելի *მცხ.245v-266;* დაემორჩილენით… ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა, հնազանդ լինել… ոչ միայն բարերարացն եւ հեզոցն. այլ եւ կամակորացն *Iპეტრე2,18.*

უსახურ ქმნა ամպարշտել (ბოროტება): უსახურ იქმნნეს ჩემდა, ամպարշտեցան յիս *ოსე7,13.*

უსახურად այլախառն (უშნოდ, უწესრიგოდ): არა შეიმოსო უსახურად მატყლი და სელი ერთბამად G, մի՛ զգենուցուս այլախառն զասր եւ զկտաւն ի միասին *IIშჯ.22,11.*

უსაჴმრეს-ი, უსაჴმარეს-ი պիտանի. պիտանագոյն (უსაჭიროესი): მოიღე ნატყუენავისაგან მთავართაჲსა და უსაჴმრესთა მისთაგან, առ դու ինձ ի գերութենէ անտի յիշխանաց եւ ի պիտանեաց նորա *ზაქ.6,9;* უსაჴმარეს, պիտանագոյն *სიბრძ.სოლ.8,7.*

უსეროდ առանց ընթրեաց (უვახშმოდ): უსეროდ და გემოუხილავად დაძინებად, առանց ընթրեաց եւ ճաշելոյ ի քուն մտցեն *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.109,33-43,12.*

უსიტყუელ-ი անբան, անմռունչ (უსიტყვო, უხმო): იყო უკუე ხილვაჲ მათი… უსიტყუელ და მდუმარე, եւ էր տեսակ նոցա… անբանք եւ լռեալք *მცხ.210v-1158,20.* მეოხ არს ჩუენთჳს სულთქუმითა მით უსიტყუელითა, բարեխօս լինի ի հեծութիւնս անմռունչս *ჰრომ.8,26.*

უსიტყუელად անբանաբար (უსიტყვოდ, უხმოდ): დუმნ სრულიად ყოვლად უსიტყუელად, լռեալ կայր իսպառ ամենեւիմբ անբանաբար *მ.ცხ.82r-93.*

უსმ-ი անհաւան. խուժադուժ. որ ոչ լսէ (ურჩი, გაუგონარი): ერსა მას ექმნა გული უსმ და ურჩ, ժողովրդեանս այսորիկ եղեւ սիրտ անհնազանդ եւ անհաւան *იერ.5,23;* რაჲთა უსმთაჲ მათ ნათესავთაჲ ისწაოს საქმჱ, զի զխուժադուժ ազգին ուսցիս զարուեստ *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.102,33-31,1.* ვიქმენ მე ვითარცა კაცი უსმი, եղէ ես որպէս մարդ` որ ոչ լսէ *ფს.37,15.*

უსრულ-ი թերակատար: տղայ. անկատար (შეუსრულებელი; მცირეწლოვანი): უსრული, թերակատար *სიბრძ.სოლ.3,16;* ვითარცა ყრმანი უსრულნი, իբրեւ զտղայ մանկունս *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.110,30-45,3;* უსრული, անկատար *მრთ.S.ბ.კეს.-40-თჳს 120,27.*

უსრულესად բարեքագոյն (უფრო სრულად): უსრულესად გჳჩუენებენ ჩუენ წიგნნი, բարեքագոյն ուսուցանեն զմեզ գիրք *იპ.რომ., კურთხ.მოს.16,6-17.*

უსულო անշունչ: უსულოთა ესევენ კერპთა, յանշունչ կուռսն յուսացեալք *სიბრძ.სოლ.14,29;* ქვათა უსულოთა თაყუანისცემად მიწოდ, երկիր պագանել անշունչ պատկերաց *თე7,13-74,19;* უსულოთა მათ ჴმაჲ გამოსციან, անշունչք ձայն տայցեն *Iკორ.14,7.*

უსუპ-ი լեղի. զոպայ. մշտիկ („ნავლელი", „საპკურებელი", ბალახია): ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით უსუპსა თანა DE, მათ აღავსეს ღრუბელი ძმრითა და ნავლლითა C, նոցա սպունգ լցեալ քացախով ընդ լեղւոյ *ი.19,29.* რომელსა-იგი უსუპითა და ლერწმითა ასუეს, զոպայիւն մշտկաւն եւ եղեգամբն արբուցաւ *მრთ.S.კირ.იერ.-ნათლისღ.83,5-29,4;* მოიღეთ კონაჲ უსუპი და დააწეთ სისხლსა მას, առնուցուք մշտիկ զոպայի թաթաւեալ յարեան *გამ.12,22;* მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე Ⴂ. მასხურე მე საპკურებელითა შენითა და განვწმიდნე Ⴑ, ցօղեա՛ յիս մշտկաւ եւ սուրբ եղէց *ფს.50,9.*

უსუსურ-ი տկար. վտիտ (სუსტი, უძლური): რომელი-იგი უსუსურ და დაჴსნილ არნ გონებითა, որք որ տկարն եւ թոյլն է մտաց *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.103,3-31,6;* უძლურნი ხართ და უსუსურნი, տկարք եւ վտիտք եղով *მცხ.371v-424.*

უსწავლელ-ი անխրատ, տգետ, անուսումն: უსწავლელთა შეემთხჳოს სიკუდილი, անխրատից պատահէ մահ *იგ.სოლ.24,9;* უსწავლელნი სულნი შესცთეს, անձինք անխրատք մոլորեցան *სიბრძნ.სოლ.17,1;* შურმან შეიპყრა ერი უსწავლელი, նախանձ արցէ ժողովուրդն անխրատ *ეს.26,11;* კაცთა უცებთა და უსწავლელთა, առանց անմտիւց եւ տգիտաց *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ.* და *იონ.106,32-38,2*; ვითარ მდაბიურნი იყვნეს და უსნავლელნი, որպէս գեղջուկք եւ անուսմունք էին *მცხ.91r-101*; რომელსა-იგი უსნავლელნი და დაუმტკიცებელნი გარდააქცევენ, զոր անուսմունք եւ յողդողդք կամակորեն *ეპ.IIპეტ.3,16;* მეფემან უსნავლელმან წარწყმიდის ერი თჳსი, թագաւոր անխրատ կորուսանէ զժողովուրդ իւր *ზირ.10,3.*

უსნავლელობა անխրատութիւն: უსნავლელებითა ენისა მათისაჲთა, վասն անխրատութեան... լեզուի իւրեանց *ოვსე7,16;* უსნავლელობა, անխրատութիւն *იგ.სოლ.5,23.*

უსხ-ი պարարակ. արջառ („მსუქანი", „ჭამებული"): უსხები ჩემი დამიკლავს, պարարակք զենեալ են *მთ.22,4*; მოიბთ ჴარი იგი უსხი და დაკალთ C, მოიბთ ზუარაკი იგი მსუქანი და დაკალთ DE, ածէք զեզն պարարակ. զենէք *ლ.15,23;* დაკლა ჴარი იგი უსხი C, დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული DE, եզեն... զեզն պարարակ *ლ.15,27*; უსხი შენი დაკლულ იყოს შენ წინაშე, արջառ քո սպանեալ առաջի քո *IIმჯ.28,31.*

უსხეულო անմարմին (უტანო, უხორცო): უსხეულონი ძალნი შიშითა და ძრწოლითა აღივსებიან, սուրբ եւ անմարմին զօրք հրեղտակացն ահիւ եւ դողութեամբ լնուին *მცხ.107r-116.*

უტანჯველი առանց պատժի (დაუსჯელი): მონამჱ მტყუვარი არა უტანჯველ იყოს, վկայ սուտ առանց պատժի ոչ լիցի *იგ.სოლ.19,5.*

უტევან-ი ասպարէս. վտաւան („ასპარეზი", მანძილის ერთეული): განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან, մեկնեալ էր ի ցամաքէն բազում ասպարիսօք *მთ.14,24;* იყო ბეთანიაჲმახლობელ იერუსალჱმსა ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან (ასპარეზ C), էր Բեթանիա մերձ յԵրուսաղէմ իբրեւ ասպարիսօք հնգետասան *ი.11,18;* უჴდებიან ნავთა ვითარ უტევან ორმეოც, հակառակի ընդ նաւսն վտաւանս Ղ *ფიზ.V8.*

უტკბილჱს-ი, უტკბოჲს-ი քաղցրագոյն: ძუელი უტკბილეს არს, հինն քաղցրագոյն է *ლ.5,39; ზირ.23,37;* თაფლისა უტკბოჲსსა და უსარგებლჱსსა იტყოდა, եւ քան զմեղր քաղցրագոյն եւ օգտակարագոյնս խօսէր *მრთ.S.კ.იერ.-ნათლისღ.86,7-35,3.*

უტყუ համր. անմռունչ. անշունչ. անխօսուն. անբարբառ. պապանձեալ („დადუმებული", დამუნჯებული): უტყუ იქმნენ ბაგენი მზაკუვარნი, համր եղիցին շրթունք նենգաւորք *ფს.30,19*; რომლისა თანა არს სული უტყუ C, զոր ունի այս համր *მრ.9,16*; უტყუ, անմռունչ *ფლკტ.136,35-443,21*; თაყუანის-სცემ უტყუთა მათ, երկիր պագանելով անշչոցն *ანდ.ანატ.326-36,29*; უტყუ, անխօսուն *IIეპ.პეტრ.2,16*; უტყუად იდვა ქუეყანასა გუემისა მისგან, անբարբառ անկեալ դնէր նա ի սաստիկ հարուածոցն *მრთ.A.ანტ.დ81,15-24,38*; დაადგრა უტყუად DE, დგა დადუმებული C, կայր պապանձեալ *ლ.1,22.*

უტყუ(ვ)ელ-ი անսուտ. անվրէպ (უცრუო, უმცდარი, ნამდვილი, მართლი): რომელ-იგი აღგჳთქუა უტყუელმან ღმერთმან, զոր խոստացաւ անսուտն Աստուած *ტიტ.1,2;* რომელი აღუთქუა ღმერთმან უტყუველითა პირითა, զոր խոստացաւ անսուտն Աստուած *ატმ.100,3-5;* მომცა მე ყოფილთაჲ მათ ცნობაჲ უტყუველი, ետ ինձ զանվրէպ գիտութիւն զեղելոցս *სიბრძ.სოლ.7,17.*

უტყუველად հաւաստի; առանց ստութեան (ნამდვილად): უტყუველად აღესრულების შჯული, առանց ստութեան կատարեսցին օրէնք *ზირ.31,8;* უტყუველად, հաւաստի *ეპ.კპრ-დაფლ.93v-420.*

უუბადრუკს-ი խօլ (უფრო უბადრუკი): უუგუნურჱს და უუბადრუკჱს უფროჲს სულისა ყრმისა ჩჩვლისა, անմտագոյնք եւ խօլք են քան զանձն տղայոյ *სიბრძ.სოლ.15,14.*

უუგუნურეს-ი անմտագոյն: უუგუნურეს ვარ, անմտագոյն եմ *იგ.სოლ.30,1.*

უუგუნერჱს-რე յանդգնագոյնս („უუგუნურესად-რე"): უუგუნურეს-რე ვიტყჳ AB, უუგუნერესად-რე ვიტყჳ CD, յանդգնագոյնս ասեմ *IIკორ.11,23.*

უუდბეს-ყოფა ծուլացուցանել (გაზარმაცება, გაუქნარება): უუდბეს-ჰყოფს კაცსა, ծուլացուցանէ... զմարդն *მცხ.14r-11.*

უუნდოეს-ი յոռի (უარესი, უცუდესი): უუნდოესსა აღირჩევ, զյոռին ի նոցանէ ընտրեսցես *მცხ.281r-301.*

უურავ-ი անհոգ (უზრუნველი): თავი შენი უდარეს ჰყო და უურავ, արասցես զքեզ վատթար եւ լինիցիս անհոգ *მცხ.362v-415.*

უურველად առանց տրտմութեան (უდარდელად, უზრუნველად): *ი.მოც.71,1-224,26.*

უუფლო անտերունչ (უპატრონო): უუფლო ვიყვენეთ, անտերունչք շրջեսցուք *იერ.2,31.*

უუძლურესად տկարագոյն (უფრო უძლური, სუსტი): რომელი-იგი საგონებელ არს ასოჲ გუამისაჲ მის უუძლურესად, որ թուին անդամք մարմնոյն. թէ տկարագոյնք իցեն *Iკორ.12,22.*

უუჴმიერეს-ი վատթար (უვარგისი, ცუდი): უდარესსა და უუჴმიერესსა გლახაკთა მისცემენ, վայրիքն եւ զվատթարքն տան աղքատաց *მცხ.245v-266.*

უფალ-ი տէր. նախարար (ქრისტე, პატრონი, ბატონი): თქუმული უფლისა მიერ, որ ասացաւն ի տեառնէ *მთ.1,22;* რაჲ უყოს მათ უფალმან სავენაჴისამან? զի՞նչ արասցէ ընդ նոսա տէր այգւոյն *ლ.20,15*; დაადგინა იგი უფლად სახლისა თჳსსა C, կացոյց զնա տէր տան իւրոյ *ფს.104,21;* იყოს მონაჲ იგი ვითარცა უფალი, եղիցի… ծառայն իբրեւ զտէրն *ეს.24,2;* მოუწოდა… უფლებსა და სპაჲპეტებსა (|| სპარაპეტებსა) და სოფლისმპყრობელთა და მფლობელთა, կոչեաց… զնախարարս եւ զսպարապետս եւ զտեղակալս եւ զիշխանս *Iეზრა3,14;* ჰრქუა ყოველთა მათ ძლიერთა და უფლებსა, ասէ ցամենայն զօրաւորս եւ նախարարս *Iეზრა4,49.*

უფალ-ი უფლებათა տէր տերանց (უფალი): უფალმან უფლებათამან მცირედითა ქადაგებითა… აჩუენა, տէրն տերանց դոյզն քարոզութեամբ… եցոյց *ს.გაბ.-მოც.საჴ.95,14.*

უფატრჱს-ი տկարագոյն (სუსტი, დამპალი, ფუტურო): რომელსა ძელსა იგი მიაქუს, მისსა უფატრჱსსა ძელსა ულალადებს, առ փայտն, որ քան զնավափայտն տկարագոյն է, աղաղակէ *სიბრძნ.სოლ.14,1.*

უფერულ-ი գունատ (ფერდაკარგული): გხედავ შენ, ვითარმედ ყოვლადვე მჭლე ხარ და უფერულ, տեսանեմ զքեզ ամենեւին նուազ եւ գունատ *ლონგ.190,9-718,5.*

უფერულ-ქმნა այլագունել (გაუფერულება): სიბოროტემან დედაკაცისამან ფერი პირისაჲ უფერულ ქმნის, չարութիւն կնոջ այլագունէ զտեսիլ նորա *ზირ.25,24.*

უფლება, უფლობა տիրել. իշխել. թողուլ. թոյլտալ. տալ. արգելուլ („მეუფება", შეძლება", „ტევება", უფლების მიცემა, ბატონობა): მეფენი წარმართთანი უფლებედ (უფლებდენ C) მათ ზედა, թագաւորք ազգաց տիրեն նոցա *ლ.22,25*; შჯული უფლებს კაცსა ზედა, օրէնք տիրեն մարդոյ *ჰრომ. 7,1*; ეუფლა ქალაქებსა მისსა, տիրեաց ի վերայ քաղաքաց նորա *ივდ.1,14*; იგი ეუფლების (მეუფებს L) ყოველთა ზედა წარმართთა, նա տիրէ ի վերայ ամենայն հեթանոսաց *ფს.21,29*; მემღერნი უფლებდენ მათ ზედა, խաբերայք տիրեսցեն նոցա *ეს.3,4*; ნუ უფლიედ განტევებაჲ მისი S, ვერ შეუძლოს განვლინებაჲ მისი G, մի՛ իշխեսցէ արձակել զնա զամենայն ժամանակս իւր *IIშჯ.22,29*; ნუმცა ვის უფლიეს დამონებაჲ მათი, մի՛ որ իշխեսցէ ծառայեցուցանել զնոսա *IIეზრა7,24*; არავის უფლობდა C, არა უტევებდა DE, ոչ թողոյր *მრ.11,16*; არა აუფლა კაცსა ვნებად მათდა, ոչ եթող մարդկան մեղանչել նոցա *ფს.104,14*; არას უტევებთ DE, არღარა უფლით მას C, ոչ եւս տայք թոյլ նմա *მრ.7,12*; არა აუფლეს ქალწულთა ქმრისა სუმად, ոչ տայ թոյլ կուսից լինել արանց իւրեանց *თეკლა 99,29*; არამცა უფლო დათხრად სახლისა თჳსისა C, არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თჳსისა DE, ոչ տայր ական հատանել զտանն իւրոյ *მთ.24,43.* არა აუფლეს ჰურიათა მათ შჱნებად, და დაეყენა შჱნებაჲ ტაძრისა უფლისაჲ, արգելին զհրէայսն ի շինելոյ. եւ խափանեցաւ շինուած տաճարին տեառն *Iეზრა2,31.*

უფლება տէրութիւն. իշխանութիւն (მეფობა, მფლობელობა, ბატონობა): მეათხუთმეტესა წელსა უფლებასა ტიბერია კეისრისასა, ի հնգետասաներորդի ամի տէրութեան Տիբերեյ *ლ.3,1;* უფლებასა შეურაცხ-ჰყოფენ, զտէրութիւնս քամահեն *ეპ.იუდ.1,8;* მიივლტოდეს უფლებასა მაგას შენსა, ի կողմանս ձերոյ տէրութեանդ փախուցեալս յուղարկեցին *რიფს.166,36-88,2;* ყოველთა ადგილთა უფლებისა მისისათა მსწრაფლ ეძიებდენ, զամենայն տեղիս իշխանութեան իւրոյ քննայոյզ խուզիւ փութով խնդրեսցեն *რიფს.166,43-88,13.*

უფლისამიერ-ი տէրունական (საუფლო): მათ მიგცენ თქუენ უფლისამიერი იგი ბეჭედი, նորա տացեն ձեզ զկնիքն տէրունական პავლე *მოც.53,2-60,18.*

უფლის(ა)მოყუარე տիրասէր (ქრისტეს მოყვარე, პატრონის მოყვარე): ჴელითა უფლისამოყუარისა მოწამისაჲთა, ի ձեռն տիրասէր վկայն *ფლკტ.136,21-443,2;* ვითარცა მონამა უფლისმოყუარემან და სარწმუნომან მოყუასი იგი თჳსი პოვა, իբրեւ զծառայ տիրասէր եւ հաւատարիմ զծառայակիցն իւր գտեալ (իբրեւ զապստամբ) *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.104.30-34,10.*

უფრო առաւել: უფრო მიყუარს, առաւել սիրեմ *მცხ. 379r-435.*

უფრო ხოლო մանաւանդ (კიდევ უფრო, ყველაზე უფრო) *ატმ.96,6-5.*

უფროჲს քան. աւելի. առաւել. առաւել եւս. աւելի քան. եւս. եւ առաւել. մեծ քան. մանաւանդ. մեծ. առաւել քան („ჯეკმა უფროჲს", „უდიდეს", „უმრავლეს", უფრო მეტად): სპეტაკ კბილნი მისნი უფროჲს სძისა, սպիտակ ատամունք իւր քան զկաթն *დაბ.49,12*; შეიყუარა მან უსჯულოებაჲ უფროჲს სახიერებისა C, սիրեաց զչարութիւն քան զբարութիւն *ფს.51,5*; არა არს ჩუენ თანა უფროჲს ხუთ ჴუეზა პური და ორი თევზი, ոչ գոյ մեր աւելի քան զհինգ նկանակ եւ զերկուս ձկունս *ლ.9,13*; ვინ უფოჲს

შეიყუაროს იგი? ո՞վ առաւել սիրեսցէ զնա *ლ.7,42*; უფროჲს ღაღადებდა DE, ჯეკმა უფროჲს ღაღადებდა C, առաւել եւս աղաղակէր მრ.10,48; უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა, եթէ ոչ առաւելուցու արդարութիւն ձեր աւելի քան զդպրոց *მთ.5,20*; შეიყუარეს კაცთა ბნელი უფროჲს ვიდრე ნათელი C, սիրեցին մարդիկ զխաւար առաւել քան զլոյս ი.3,19; სული უფროჲს არს საზრდელისა, ոգի առաւել է քան զկերակուր *მთ.6,25*; უფროჲს უყუარს კაცსა ცოლი თჳსი, ვიდრე მამა-დედაჲ თჳსი, առաւել սիրէ մարդ զկին իւր. քան զհայր իւր եւ զմայր իւր *Iეზრა4,25;* იგი უფროჲს განკრძალულ იყო, նա եւս պնդէր *საქ.მოც.12,15;* უფროჲს მიმოდასდებდეს, եւս առաւել քարոզէին *მრ.7,36*; რაჲთა სიყუარული ეგე თქუენი უფროჲს და უმეტეს გარდაერიოს, զի սէրն ձեր եւս քան զեւս առաւել լիցի *ფლპ.1,9;* უფროჲს, մանաւանդ *ფლპ.136,25-443,7.* უფროჲს ამათსა, մեծ քան զսոսա *მრ.12,31.* რომელი მცნებაჲ უფროჲს (უდიდეს C) არს შჯულსა შინა, որ պատուիրան մեծ է յօրէնս *მთ.22,36;* არა არს მონაფე უფროჲს მოძღურისა, ոչ է աշակերտ լաւ քան զվարդապետ իւր *ლ.6,40;* უფროჲს ათორმეტი დასი C, უმრავლეს ათორმეტთა გუნდთა, աւելի քան զերկոտասան գունդս հրեշտակաց *მთ.26,53.*

უფროჲსად եւս առաւել, առաւել („უფროჲს-ღა", უფრო მეტად): უფროჲსად უძჳრესსა მოვიდა DE, უფროჲს-ღა უძჳრეს იყო C, այլ եւս առաւել զայրացեալ *მრ.5,26;* უფროჲსად განძჳნდეს სიბოროტითა, առաւել զայրացեալ ի չարէն *ხნდ.6,20.*

უფროჲს-ი մեծամեծ. յաւէտ. որ ի վեր է. երիցագոյն. աւելի (უფრო მეტი, უდიდესი): უფროჲსნი აღვაშენნე, եւ մեծամեծս շինեցի *ლ.12,18*; უფროჲსი, յաւէտ *მრთ.D.ი.ოქრ.-პეტრე და ელია313-257,39*; კაცთა უფროჲსისა მიმართ ჰფუციან, մարդիկ որ ինչ ի վեր է. քան զինքեանս յայն երդնուն *ჰებრ.6,16;* რომელი უფროჲს არს? შენევნითა სარწმუნოებაჲ ანუ სიტყჳთა გამოჩინებაჲ? ո՞վ նախ երիցագոյն է՝ զօրութեան հաւատքն եթէ յայտնութեան գիտութիւնն *მრთ.A.ანტ.დ.91,32-68,39.* უფროჲსი სასყიდელი აქუს, աւելի վարձս ունի *მცხ.268r-286.*

უფროჲს-ღა մանաւանդ. եւս քան զեւս. առաւել եւս. առաւել (უფრო მეტად): უფროჲს-ღა, մանաւանդ *IIკორ.2,7;* უფროჲსღა წარსამატებელად სახარებისა მის მოივლინა, եւս քան զեւս ի յառաջադիմութիւն աւետարանին եկն *ფლპ.1,12*; უფროჲს-ღა აღეგზნებოდა, առաւել բորբոքէր *შუშ.145;* უფროჲსღა, առաւել եւս *მცზ.79r-90.*

უფროჲსღა და უმეტეს եւս քան զեւս (კიდევ უფრო მეტად) *რიფს.172,22-101,10.*

უფსკრულ-ი անդունդ. խորք. սանդարամետ (სიღრმე, ქვესკნელი): ვინ შთავიდეს უფსკრულად, ով իջանիցէ յանդունդս *ჰრომ.10,7*; აღადუღის უფსკრული ვითარცა ქუაბი, եռացուցանէ զանդունդս իբրեւ զկաթսայ *იობ.41,22*; უფსკრულნი იგი სიბრძნისანი ვინ გამოიკულინეს? զանդունդս իմաստութեան զայն ո՞ քննեսցէ *ზირ.1,3;* შთა-მცა-ვარდა უფსკრულთა ზღუათა, ընկղմեսցի ի խորս ծովու *მთ.18,6;* შეძრწუნდეს უფსკრულნი, խորք խռովեցան *ფს.76,17;* სიღრმესაცა უფსკრულთასა დაინთქა და წარწყმდა, ի սանդարամետէն իսկ անկեալ կործեալ *ფლკტ.158,17-472,17*; ვაპებ უფსკრულთა, հատանեմ զխորս ծովու *მცხ.52v-44.*

უფუველ-ი բաղարջ („უცომო", გაუფუებელი G) *ისუნ.-5,11.*

უქალაქო անքաղաք (ქალაქის უქონელი): უქალაქო ვთქუნეთ იგინი, անքաղաքս ասասցուք զնոսա *მრთ.S.ბას.კეს.40-თჳს 116,15.*

უქმ-ი վատ. դատարկ. դատարկացեալ. գործատեայ. անգործ. ընդունայն (უსაქმო; ცარიელი, ცუდი): გულისთქუმათა შინა არს ყოველი უქმი, ի կարօտութեան է ամենայն վատ *იგ.სოლ.13,4;* გზანი უქმთანი დაფენილ არიედ ეკლითა, ճանապարհք վատաց կցեալ են փշովք *იგ.სოლ.15,19;* ღმერთნი შენნი.. უქმ არიან, աստուածք դատարկ կան *ფოკა343r-498,30.* ფერჴნი მათნი უქმ სლვისათჳს, ոտք նոցա դատարկացեալք ի գնալոյ *სიბრძ.სოლ. 15,15.* სულსა უქმთასა ჰმშიოდის, անձն գործատեաց քաղցիցէ *იგ.სოლ.19.15;* უქმ იყოს და უჴმარ ყოვლისავეთჳს სამუშაკოჲსა, անգործ լեալ անպիտանասցի *მცხ.155r-171;* რაჲთა უქმ ქმნნეს ღონენი და საბრჴენი მისნი, զի ընդունայն արասցէ զհնարս նոցա *მცხ.446v-533.* კაცი უქმი, մարդ անգործ *მცხ.45r-37.*

უქმად ყოფნა դատարկանալ (ფუჭად ყოფნა, უმოქმედოდ ყოფნა): რაჲთა არა უქმად იყოს სიბრძნისა შენისა საქმჱ, զի մի՛ դատարկասցի գործ իմաստութեանն *სიბრძ.სოლ.14,5.*

უქმება, უქმობა դատարկութիւն. խափանած. դատարկանձն (მოცლილობა, უსაქმობა): მარხვაჲ და უქმებაჲ... სძულან სულსა ჩემსა, զպահս եւ զդատարկութիւնս... ատեաց անձն իմ *ეს.1,14;* უქმებისა მისისათჳს მისცეს მას

სამკურნალოჲ, զխափանածոյ նորա եւ զբժկութեանն տուժեսցի *გამ.21,19;* უქმობასა ასწავებენ, դատարկանձունք ուսանին *Iტიმ.5,13.*

უქმნელება, უქმელება տօն. բարեկենդանութիւն („დღესასწაული"): დავაცადნეთ უქმნელებანი ღმრთისანი C, დავადუმნეთ ყოველნი დღესასწაულნი ღმრთისანი L, լռեցուսցուք զամենայն տօնս Աստուծոյ *ფს.73,8;* დღესა უქმელებისასა და დღეთა შინა ჟამთასა, յաւուրս տօնի եւ յաւուրս ժամանակի *ბარ.1,14;* იქადეს მოძულეთა შენთა შორის უქმნელებათა (დღესასწაულთა L) შენთა C, պարծեցան ատելիք քո ի մէջ բարեկենդանութեան քո *ფს.73,4.*

უქმროდ առանց արանց: მრავალნი ქალწულნი და[ა] შდუნნეს უქმროდ, բազում կոյսք մնացին առանց արանց *ფლპ.მოც.5,34-306,10.*

უქორწინებელ-ი կոյս. անկին. անայր. ամուրի (დაუქორწინებელი): უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, կոյսն հոգայ զտեառն *Iკორ.7,34*; որ անկինն է` հոգայ զտեառն *Iკორ7,32*; უკუეთუ განეშოროს [ქმარსა], ეგენ უქორწინებელად, ապա եթէ մեկնեսցի. անայր մնասցէ *Iკორ.7,11;* ვიტყჳ უქორწინებელთა მათ და ქურივთა, բայց ամուրեացն եւ այրեացն ասեմ *Iკორ.7,8.*

უქუეს-ი վատթար. կրտսեր (უფრო ქვემოთ მყოფი, უმცროსი): უქუეს ყოველთა დაბადებულთა, վատթար քան զամենայն մարդ *მცხ.27r-21.* იქმენ ყოველთა უქუჱს, եղիցիս ամենեցուն կրտսեր *მცხ.351v-404.*

ულალი ապառաժ („მყარი", კლდოვანი, გრანიტისა): გამოგიდინა შენ წყაროჲ კლდისა მისგან ულალისა S, აღმოგიცენა შენ კლდისაგან მყარისა წყაროჲ წყლისაჲ, եհան քեզ յապառաժ վիմէ աղբեւր ջուրց *IIIშჯ.8,15*; კლდჱ იგი ულალი, զամուլ վէմն *რიფს.171,9-98,9.*

ულელ-ი լուծ. անուր. կշիռ. ագոյց. նիգ („ულლეული", წყვილი). აიღეთ ულელი ჩემი, առէք զլուծ իմ *მთ.11,29*; ულელი („ულლეული" DE) ჴართაჲ ვიყიდე ხუთი, լուծս հինգ եզանց գնեցի *ლ.14,19*; განვაგდოთ ჩუენგან ულელი მათი, ընկեսցուք ի մէնջ զլուծ նոցա *ფს.2,3*; სადა-იგი იქმოდის ათი ულელი ჴართაჲ, ყოს მას ლაგჳნ ერთ, ուր գործիցեն տասն լուծք եզանց եղիցի անդ սափոր մի *ეს.5,10*; ულელი ტკბილი, լուծ քաղցր *მცხ.81r-92;* ულელი სუბუქი, թեթեւ լուծ *მცხ.324v-371*; განაფიცხა ულელი ესე ჩუენ ზედა და აწ შენ აღგჳმცირე, ծանրացոյց զանուր մեր եւ դու թեթեւացո *IIIმფ.12,4*; ჴელსა მისსა ულელი სიცრუვისაჲ, կշիռ անիրաւութեան ի ձեռս քանանու *ოვსე 12,7*; უკუეთუ განმართლდეს ულლითა უშჯულოჲ იგი, թէ արդարասցի կշռովք անօրէնն *მიქ.6,11*; ულელნი იგი კიდობნისანი და ტაბლისანი ქმნა, զագոյցս տապանակին եւ զսեղանոյն արար *გამ.37,10.* ულელი, նիգ *გამ.40,18.*

ულელ-ი სასწორისა-ჲ կշիռ. կշռորդ (სასწორი): მოიღო ულელი სასწორისაჲ და აღასწონო იგი, առցես կշիռս եւ կցռեսցես զնոսա *იეზ.5,1*; ვინ აღწონნა... ბორცუნი ულლითა სასწორისაჲთა? ո՞ կշռեաց... դաշտս կշռորդօք *ეს.40,12.*

ულირსი անարժան. ոչ արժանի (არა ღირსი): ულირს ვართ, անարժան եմք ატმ.104,8; ულირსო სიცოცხლისაო, ոչ արժանի կենաց მცხ. 177r-195.

ულირსად անարժանութեամբ: *მცხ.229r-248.*

ულირსება անարժանութիւն: (უპატივცემლოდ): სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა ულირსებით, ըմպիցէ զբաժակս տեառն անարժանութեամբ *Iკორ.11,27.*

ულლეულ-ი զոյգ. լուծ („ორი", „წყვილი", „ულელი"): ულლეული კაჰრაულთაჲ G, ორი კარაული S, զոյգք իշոց *მსჯ.19,3;* უკუეთუ ვერ პოოს ჴელმან მისმან ულლეული გურიტთაჲ G, უკუეთუ არა პოვოს ჴელმან მისმან წყვილნი გურიტნი O, եթէ ոչ գտանիցին ընդ ձեռամբ նորա զոյգք տատրակաց *ლევ.5,11;* მოიბა ულლეული იგი ზროხათაჲ, առ զոյգս եզանցն *IIIმფ.19,21;* ულლეული (ულელი C) ჴართაჲ ვიყიდე ხუთი, լուծս հինգ եզանց գնեցի *ლ.14,19.*

ულმრთო ամպարիշտ. անաստուած. անօրէն (უსჯულო): ულმრთოთა თანა მე არა დავჯდე, ընդ ամպարիշտս ես ոչ նստայց *ფს.25,5*; სიბრძნე და სწავლულებაჲ ულმრთოთა შეურაცხ-ყვიან, զիմաստութիւն եւ զխրատ ամպարիշտքն անգոսնեն *იგ.სოლ.1,7;* ულმრთოჲ ჰმძლავრობს მართალსა, ամպարիշտն յաղթահարէ զարդարն *ამბ.1,4;* ულმ(ე)რთო სამემცა ვიყვენით, արդեօք եւ անաստուածք էաք *ფლკტ.135,25-441,32;* იხილნეს რაჲ, რამეთუ მიეტევებოდეს ულმრთონი... თქუეს, տեսեալ զյարձակմունսն անօրինացն... ասէին *ატმ.106,12.*

ულმრთო ქმნა ամպարշտել: ულმრთო იქმენ და ისიძევდ ასულთა მიმართ, ամպարշտեցար եւ պոռնկեցար ընդ որդիսն *ეზეკ.16,28;* ვცოდეთ და ულმრთო ვიქმენით, մեղաք. ամպարշտեցաք *ბარ.2,12.*

ულმრთო ყოფა ամպարշտել: *იობ.34,10.*

ულმრთოება, ულმრთოობა ամպարշտել („უსჯულოება"): არღა იულმრთოოს G, არღა

უსჯულოებდენ S, մի եւ ամպարշտեսցի *IIშჯ.17,13;* ნუ უღმრთოებ ფრიად, մի՛ամպարշտե՛ր կարի *ეკლ.7,18;* მწყემსნი უღმრთოებდეს ჩემდამო, հովիւքն ամպարշտեցան յիս *იერ.2,8.*

უღმრთოება ամպարշտութիւն, անաստուածութիւն („უსჯულოება"): უღმრთოებისაებრ მათისა G, შემსგავსებულად უსჯულოებისა მისისა S, ըստ ամպարշտութեան նորա *IIშჯ.25,2*; ნუ შეიწყნარებ უღმრთოვებისა ზრახვათა გონებითა, մի՛ ընդունել զամպարշտութեան խորհուրդս ի միտս *ფს.თარგ.152,15*; უღმრთოებითა სულნი თჳსნი წარწყმიდნიან, ամպարշտութեամբն զանձինս իւրեանց սապակեն *იგ.სოლ.1,19*; უღმრთოებისა მათისაგან ვლტოლვილ ვართ, յանաստուածութենէ փախուցեալ եմք *მსკ.35,2.* მომიტევე მე უღმრთოებაჲ გულისა ჩემისა Ղ. მომიტევე მე ყოველი უშჯულოებაჲ ცოდვისა ჩემისაჲ C, թողեს զամենայն ամպարշտութիւնս մեղաց իմոց *ფს.31,5.*

უღმრთოებისა ქმნა ամպարշտել: უღმრთოებაჲ ჰქმენ ჩემდა მომართ, ամպարշտեցար առ իս *სოფ.3,11.*

უღონეოდ անպատճառ (უმიზეზოდ): უღონეოდ წარვიდე აქაჲთ, անպատճառ գնացից աստի *მცხ.202r-214.*

უღონო չքաւոր. անհնար. անհնարին (უძლური): სხუასა უღონოთა განუყოფ, զայլն բաշխեմ չքաւորաց *მცხ.438v-510;* უღონო იქმნა ბერი, անհնարս եղեւ ծերն *მცხ.134v-153*; უღონო არს, անհնարին իցէ *მცხ.102v-112.*

უღონოება տարակուսանք: დავამტკიცოთ თქუენ ზედა უღონოებაჲ, հաստատեցից ի վերայ ձեր տագնապաւ տարակուսանս *ლევ.26,16.*

უღონო ქმნილი չքաւորեալ (გაღარიბებული): უღონო ქმნილი ძმაჲ შენი მიესყიდოს მწირსა G, չքաւորեալ եղբայր քո վաճառեսցի եկին *ლევ.25,47.*

უყ-ი տիղմ. խոր („სიღრმე", შლამიანი ადგილი): აღმომიყვანა მე მღჳმისაგან გლახაკებისა, თიჳსისაგან და უყისა, եհան զիս ի գբոյ տառապանաց. ի կաւոյ եւ ի տղմոյ *ფს.39,3.* დავდვა იგი თიჳსისა უყად და წარსაწყმედელად, արարից զնա խորխորատ տղմոյ ի կորուստ *ეს.14,23;* დავინთქ მე უყსა (სიღრმესა C) უფსკრულისასა, ընկլայ ես ի խորս անդնդոց *ფს.68,2.*

უყოფელ-ი անեղելածն (არარსებული): ხოლო თქუენ ცთომასა უყოფელსა სულისათჳს უთხრობთ, իսկ դուք մոլորութիւնս անեղելածինս հոգւոց պատմէք *მრთ.A.ანტ.დ.90,27-67,17.*

უყუარულობა ատելութիւն (სიძულვილი): უყუარულობაჲ საჴმართაჲ, ատելութիւն ընչից *მცხ.54r-45.*

უშენი იხ. უშჵნი

უშენებელ-ი იხ. უშჵნებელი.

უშვილო անորդի. անսերմն. անզաւակ: მო-თუ-ვინმე-კუდეს უშვილოჲ, եթէ ոք մեռցի անորդի *მთ.22,24;* მე უშვილო მქმენით, զիս անորդի արարէք *დაბ.42,36;* იქმნენ ცოლნი მათნი უშვილო და ქურივ, եղիցին կանայք նոցա անորդիք եւ այրիք *იერ.18,21;* არა იყოს უშვილოჲ, մի՛ եղիցի անսերմն *გამ.23,26;* არღარა იყვნეთ თქუენ უშვილო მათგან, ոչ եւս եղիցիք անզաւակ ի նոցանէն *ეზეკ.36,12.*

უშვილო ქმნა անզաւակել. անժառանգել. ստերջանալ: ნუუკუე უშვილო ვიქმნე თქუენ ორთაგანვე, գուցէ անզաւակիցիմ յերկոցունց ի ձէնջ *დაბ.27,45;* უშვილოვე იქმნნეს კაცთაგან, անզաւակեսցին ի մարդկանէ *ოვსე9,12;* გარეშე უშვილო მქმნა მე მახჳლმან, արտաքուստ անժառանգեաց զիս սուր *გოდ.იერ.1,20;* თხანი შენნი არა უშვილო იქმნნეს, այծք ոչ ստերջացան *დაბ.31,38.*

უშვილო ყოფა անզաւակել („შეუმკჳდროვება"): უშვილო ყვნეს მახჳლმან G, შეუმკჳდროვნეს იგინი მახჳლმან, անզաւակեսցէ զնոսա սուր *II შჯ.32,25.*

უშვილოება անզաւակութիւն. անորդի: უმჯობეს არს უშვილოებაჲ სათნოებით, լաւ է անզաւակութիւն հանդերձ քաջութեամբ *სიბძნ.სოლ.4,1;* ვგოდებ ქურიობასა ჩემსა და ვეტყებ უშვილოებასა ჩემსა, կոծեցայց... զայրութիւնս իմ եւ ողբացայց զանզաւակութիւնս իմ *ღმობშ.164,22-251,10;* მიეც მათ საშოჲ უშვილოებისაჲ, տուր նոցա արգանդ անորդի *ოვსე9,14.*

უშჵნი, უშენ-ი անշէն. թափուր. անբնակ („ოჴერი", დაუსახლებელი): განაძღოს დაუთრგუნავი და უშენნი, յագեցուցանել զանկոխն եւ զանշէնն *იობ.38,27;* უფალმან შექმნა სოფელი და უშენი და კიდენი სოფლისანი, տէր արար զշէնս եւ զանշէնս եւ զեզերս *იგ.სოლ.8,26*; განვლეს უდაბნოჲ უშჵნი, շրջեցան ընդ անապատ անշէն *სიბრძ.სოლ.11,2;* მე გმწყსიდ შენ ქუეყანასა მას უშჵნსა უდაბნოსა მას ზედა, ես հովուէի քեզ յանապատի յանշէն երկրի *ოვსე3,5;* ქალაქნი თქუენნი იყვნენ უშენ G (ოჴერ B), քաղաքք ձեր թափուրք *ლევ.26,33;* ბრძანა ექუსორია ყოფაჲ

წმიდისაჲ მის უშჱნსა კუნძუნსა, հրամացեաց աքսորել զնա յանբնակ կղզիս *ნრს.72, 30.*

უშჱნებელ-ი անշէն („უმკჳდრო", დაუსახლებელი): უშენებელ (უმკჳდროდ G უკუნისამდე, անշէն յաւիտեան *ისუ 6.8,28.*

უშინაგანეს-ი ներքսագոյն. ներքին. խորին (შიგნითი, ღრმა): ივლტინ იგი უშინაგანესად სენაკად, փախչէր նա ի ներքսագոյն սենեակ իւր *მცხ.73r-84;* ოდეს ივლტოდინ ნადირნი უშინაგანესთა ჴურელთა მათთა, განერებიან იგინი მონადირეთაგან, յորժամ փախիցեն որսք ի ներքին որոջս իւրեանց. յայնժամ զերծանին որսորդաց *მცხ.73r-84;* უყუარდა... უშინაგანესთა უდაბნოთა წარსლვაჲ... რაჲსათჳს ესრეთ ივლტი. მამაო, უშინაგანესთა უდაბნოთა? սիրէր... ի ներքսագոյն անապատն զգնալն... ընդէ՞ր այդպէս փախչիս ի խորին անապատ *მცხ.77v-99.*

უშინარჱს-ი ներքագոյն (უფრო შიგნით): არს ვინმე უშინარჱს, უმჯობჱს შენსა է ի ներքսագոյն յոյժ լաւագոյն քան զնա *პ.თებ.318-6,19.*

უშიშ-ი աներկիւղ (უშიშარი): ნუ უშიშ იყოფვით, մի՛ յաներկիւղս լինիր *ზირ.5,5.*

უშიშად աներկիւղ. առանց երկիւղի (უშიშრად): დაადგრეს უშიშად ყოვლისაგან ბოროტისა, դադարեսցէ աներկիւղ յամենայն չարութենէ *იგ.სოლ.1,33;* უშიშად სცვიდა, աներկիւղս պահեաց *სიბრძ.სოლ.17,4;* ვიყვენით უშიშად, կացաք առանց երկիւղի *მცხ.25v-20.*

უშიშება աներկիւղածութիւն (უშიშროება): *იგ.სოლ.15,16.*

უშიშულეს-ი մերկագոյն (უფრო შიშველი): უკუანაჲსკნელ ხვდოდით უშიშულესნი საცეხულისა თავისა, յետոյ շրջիցիս մերկագոյն քան զսանդատուռն *იგ.სოლ.23,31.*

უშორეს-ი: უშორესითგან վաղնջուց (უფრო ადრე): ქმნა ბოროტი მაშინდითგან და უშორესითგან მათით, արար զչարիս յայսմհետէ եւ ի վաղնջուց *ეკლ.8,12.*

უშრეტ-ი անշէջ (უვსებელი, უქრობელი): ცეცხლითა უშრეტითა, անշէջ հրով *მთ.3,12.*

უშრომელად առանց աշխատանաց: (გაურჯელად): *ი.მოც.79,38-242,13.*

უშუენიერეს-ი գեղեցկագոյն (ულამაზესი): *სიბრძ. სოლ.7,29.*

უშუერად-რე տգեղագոյն (უშნოდ, ულამაზოდ): შუბლი იგი უშუერად-რე გამოუქმნიეს ჴელოვანთა მათ, զճակատն տգեղագոյն է արարեալ արուեստագիտացն *ფლკტ.150-30-461,36.*

უშუერება առական. անարգանք. աղտեղութիւն („სარცხუენელი", საძაგელება", სიშიშვლე, უპატიობა): უშუერებაჲ მამისა შენისაჲ და უშუერებაჲ (სარცხუენელი B) დედისა შენისაჲ არა გამოაცხადო G, զառականս հօր քո եւ զառականս մօր քո մի՛ յայտնեսցես *ლევ.18,7.* უშუერება არს მისა, անարգանք են նմա *Iკორ.11,14;* არა იხილვოს შენ შორის უშუერებაჲ საქმისაჲ G, არა გამოჩნდეს შენ შორის საქმე საძაგელებისაჲ S, ոչ երեւեսցի ի միջի քում աղտեղութիւն իրացն *IIშჯ.23,14.*

უშურველ-ი աննախանձ (შურის გარეშე): *ვარ.810-375,12.*

უშურველად աննախանձ (შურის გარეშე): უშურველად გამოვთქუათ, աննախանձ պատմեսցուք *იპ.რომ.კურთხ.ისაკ და იაკ.48,9-49.*

უშფოთველად անշփոթ. անշփոթապէս (მშვიდად, შფოთის გარეშე): იქმოდე უშფოთველად, արա անշփոթ *მცხ.201v-241;* უშფოთველად ილოცე, անշփոթապէս աղօթես *მცხ.29v-25.*

უშფოთველობა անշփոթութիւն (სიმშვიდე): რომელსა უყუარდეს უშფოთველობაჲ, თჳსაგან დაემკჳდრების, որ սիրեսցէ զանշփոթութիւն սիրեալ ստասցի զառանձին բնակութիւն *მცხ.25r-20.*

უშჯულო, უსჯულო, ურჩულო անօրէն. ամպարիշտ. ամբարտաւան. ժանտ. ժանտագործ. բռնաւոր. անիրաւ. անհաւան. անպատեհ (ურწმუნო, უწესო, ურჩი, უსამართლო, უკანონო): [ვიქმენ] უშჯულოთა თანა, ვითარცა უშჯულოჲ, ընդ անօրէնս եղէ իբրեւ զանօրէն *Iკორ.9,21;* არცა დადგეს ურჩულონი წინაშე თუალთა შენთა, մի՛ անօրէնք բնակեսցեն առաջի աչաց քոց ფს.5,6; სახლი უშჯულოთაჲ, რომელი იუნჯებდეს საუნჯეთა უშჯულოთა, տուն անօրինին որ գանձէ զգանձս անօրէնս *მიქ.6,10;* მზაკუავს მე უშჯულოჲ ესე, եւ զիս եւս նենգէ անօրէնս *ანდ.-ანატ.320-34,7;* დაიცევ აბრაჰამი შორის ნათესავსა მას უშჯულოთასა, պահեցեր զզԱբրահամ ի մէջ ամբարիշտ ազգացն *რიფს.169,9-93,17;* უშჯულო, ամբարտաւան *ატმ.113,5;* საჯდომელსა ურჩულოთასა არა დაჯდა, յաթոռս ժանտից նա ոչ նստաւ *ფს.1,1;* განირთხა ჴელი მისი უშჯულოთა თანა, ձգեցին զձեռս իւրեանց ընդ ժանտագործս *ოვსე7,5;* ბრძანეს უშჯულოთა მათ მოსლვაჲ ურმებისაჲ, հրամայեցին բռնաւորքն ածել սայղս A *სბსტ.141,18;* ხოლო უშჯულონი იგი [ვერ] ჰხედვიდეს წმიდასა მას მოწამესა, եւ անհաւատից ոչ երեւէր սուրբ առաքեալն სნდ.6,1; ზრახვა ყო...

უშჯულოთა თანა, խորհուրդ ի մէջ առեալ... հանդերձ... անիրաւօք *ანდ.-ანატ.335-41,5*; ნათესავსა მას უშჯულოსა ალჴდა რისხვაჲ, յազգ անհաւան տոչորեսցի բարկութիւն *ზირ. 16,7;* ნუ იქმ უშჯულოსა, գուցէ գործեսցես զանպատեհս *იობ.36,21.*

უშჯულო, ურჩულო ყოფა անօրինել (უსამართლობა): უშჯულოჲ ვყავთ, անօրինեցաք *IIIმფ.8,47;* ურჩულოჲ ყო ერმან შენმან, անօրինեցաւ ժողովուրդ քո *გამ.32,7.*

უშჯულოჲსა ქმნა, ურჩულოჲსა ქმნა անօրինել. ամպարշտել („უშჯულოება", უსამართლობა, უკანონობა): უშჯულო იქმნენით და ჰქმნათ ქანდაკებული, მსგავსებაჲ G, უშჯულოებდე და ჰყოთ ჩამოსხმული, მსგავსი S, անօրինիցիք եւ առնիցէք դրօշեալ նմանութիւն ամենայնի *IIშჯ.4,25*; შეგცოდეთ და უშჯულო ვიქმნენით, մեղաք եւ անօրինեցաք *დან. 9.15;* ურჩულო იქმნნეს ყოველთა შინა ნათესავთა, անօրինեցան յամենայն ազգս անօրինեցան *Iეზრა1,24;* უშჯულოჲ ჰქმენით, ամպարշտեցայք *ამოს4,4.*

უშჯულოება, ურჩულოება անօրինել. ամպարշտել. անիրաւել. ժանտանալ („უშჯულო ქმნა", „უმსახურებლობა", უკანონობა, უსამართლობა): იუშჯულოა ერმან შენმან S, უშჯულო იქმნა ერი იგი შენი S, անօրինեցաւ ժողովուրդն քո *IIშჯ.9,12;* უშჯულოებით უშჯულოებდეთ S, անօրինելով անօրինիցէք *IIშჯ.31,29*; რომელი უშჯულოებს, უშჯულოებდინ, որ անօրինելոցն է՝ անօրինէ *ეს.21,2;* უშჯულოებდეს და იტყოდეს სახელითა ჩემითა S, რომელმანცა იუმსახურებლოს თქუმად სიტყუაჲ G, ամպարշտեցի խօսել յանուն իմ *IIშჯ.18,20;* უშჯულოებდეს გზათა მისთა, անիրաւեցան ի ճանապարհս իւրեանց *იერ.3,21;* უკუეთუ უშჯულოებდეს-ღა, სულიცა თჳსი და-ვე-ჰრთოს, եթէ եւս ժանտանայցէ եւ զանձն եւս դիցէ ի վերայ *ივ.სოლ.19,19.*

უშჯულოება, უსჯულოება, ურჩულოება անօրէնութիւն. ամբարշտութիւն. անիրաւութիւն („ულმრთოება", უკანონობა, უსამართლობა): რომელთა მიეტევნეს უშჯულოებანი, որոց թողան անօրէնութիւնք *ჰრომ.4,7;* რომელთანი ჴელნი მათნი უშჯულოებასა შინა არიან C, որոց ձեռք իւրեանց յանօրէնութեան են *ფს.25,10;* განმბანე ურჩულოებისა ჩემისაგან, լուա զիս յանօրութենէ իմմէ *ფს.50,4*; მომიტევე მე ყოველი უშჯულოებაჲ ცოდვისა ჩემისაჲ C, მომიტევე მე ულმრთოებაჲ გულისა ჩემისაჲ L. թողցես զամենայն ամպարշտութիւնս մեղաց իմոց *ფს.31,5*; უშჯულოება, անիրաւութիւն *ზაქ.5,8.*

უშჯულოების ქმნა անօրինել (უკანონობა, უსამართლობა): ქუეყანამან უშჯულოებაჲ ქმნა მკჳდრთა მისთაგან, երկիր անօրինեցաւ բնակչօք իւրովք *ეს.24,5.*

უჩინო անյայտ. աներեւոյթ („გამოუჩინებელი", უჩინარი, უხილავი): ხართ ვითარცა საფლავნი უჩინონი, էք դուք իբրեւ զգերեզմանս անյայտս *ლ.11,44;* იგიცა უჩინოჲვე, եւ նոյն աներեւոյթ *სბსტ.130,6-3.* უჩინონი (გამოუჩინებელნი C) და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ, զանյայտ եւ զծածկեալս իմաստութեամբ քով յայտնեցեր ինձ *ფს.50,8.*

უჩინო ქმნა կորնչել (ნახდენა, დაკარგვა): ვითარცა პილენძი განბნეული უჩინო იქმნეს, իբրեւ զպղինձ ցրուեալ կորնչի *ფლკტ.135,4-441,4.*

უჩუეველ-ი անընտել (უჩვეულო): რამეთუ შეგიპყრა უჩუეველმან შიშმან, զձեզ անընտել երկիւղիւ յիմարեցայց *მრთ.S.კ.იერ.-ალდგ.164,11-289,27.*

უჩხულ-ი იხ. ურჩხულ-ი.

უცალო ყოფა անպարապ լինել. աշխատ մի լինել. պարապել. զբօսացուցանել (მოუცლელი): უცალო ვიყავ წყობათაგან, անպարապ լեալ ի պատերազմէ *ოსკ.11,8;* რაჲთა მეფე არარაჲ თუ უცალო იყოს, զի արքայ աշխատ ինչ մի՛ լիցի *დან.6,2;* წინანარმეტყუელებათა მათ მიმართ უცალო იყოს, ի մարգարէութիւն պարապեցի *ზირ.39,1;* ღმერთმან უცალო ყოს იგი სიხარულისაგან გულისა მისისა, Աստուած զբօսացուցանէ զնա յուրախութեան սրտի իւոյ *ეკლ.5,19.*

უცალოება զբաղումն (მოუცლელობა): უცალოებაჲ დიდი დაებადა კაცთათჳს, զբաղումն մեծ հաստատեալ է ամենայն մարդոյ *ზირ.40,1.*

უცბება/უცებება տգիտութիւն. անգիտութիւն (უმეცრება): უცებებასა ჩემსა არა მერიდნენ, ի վերայ տգիտութեանց իմոց մի՛ արասցեն խնայ *ზირ.23,3;* უცბებასა შინა ვიყვენით, յանգիտութեան էաք *ფიზ.XXII75.*

უცებ-ი տգետ. չգիտուն. անզգայ. անմիտ (უვიცი, უმეცარი): დალათუ უცებ ვარ სიტყჳთა, թէպէտ եւ տգետ եւս իցեմ բանիւ *IIკორ.11,6*; რაჲ-იგი უცებთა და მეცნიერთა აჩუენა, զոր ինչ ի տգէտսն եւ ի բանի բունսն գործեաց *ს.გაბ.-მოც.საკ.94,23*; იყვნეს უცებ და უმეცარ საშჯელსა და ბჭობასა შჯულისასა, տգէտք եւ անտեղեակք էին կարգաց եւ իրաւանց օրինատրաց მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და *იონ.106,25-37-13*; უცები, չգիտուն *ს.გაბ.-მოც.საჴს.93,8-64,32*;

უცებ ხარ შენ, անգգայ ես դու *ფლკტ.152,18-464,9*; კაცთა უცებთა და უსწავლელთა, արանց անմտից եւ տգիտաց მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და *იონ.106,32-38,2.*

უცებით չգիտելով (უცოდინრად): უცებით მენავენი შეიტყუვნის, չգիտելով նաւորդացն երթան իբրեւ ի կղզի *ფიზ.XX10.*

უცვალებელი անփոփոխ. անփոփոխելի. անհրաժեշտ (შეუცვლელი): რომლისა უფლებაჲ მისი უცვალებელ, որոյ տէրութիւնն... անփոփոխ են *რიფს.10,25-96,4*; უცვალებელ არს ღმრთეებაჲ იგი, անփոփոխելի է աստուածութիւն *ეპ.კვპრ.-ალვს.225,4-27.*

უცილობელ-ი անհրաժեշտ (უეჭველი, აუცილებელი): გაქუს თქუენ უცილობელი იგი მისი მოსლვაჲ, ունիք զանհրաժեշտ գալուստն նորա *განს.ი.198,26-84,15.*

უცნაურ-ი անծանօթք. անմիտ. աննշան (უცნობი, უგუნური, უმნიშვნელო): ვითარცა უცნაურნი და საცნაურნი, իբրեւ անծանօթք եւ ծանուցեալք *IIკორ.6,8;* ვითარ გრწმენა უცნაურისა ქრისტჱსი, զի՞արդ... հաւատացեր անծանօթին քրիստոսի *იზტ.118,2;* შეცჳვიან... გულისთქუმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა, անկանին... ի բազում ցանկութիւնս անմիտս եւ վնասակարս *Iტიმ.6,9;* არა უცნაურისა ქალაქისა მოქალაქე, ոչ աննշան քաղաքի քաղաքացի *საქ.მოც.21,39.*

უცნაურად անյայտ (უჩინრად): უცნაურად ვცურავთ ზღუასა შინა ამის სოფლისასა, անյայտս լեղամբ ընդ ծով կենցաղոյս *მცხ.294r-317.*

უცნება մոլութիւն. նորակրօնութիւն. առաչօք տեսիլ. ցնորք („სიცბილი", უგუნურება; მოჩვენება): არა მიხედნა მან ცუდსა, არცა უცნებასა ტყუილისასა C, არა მიხედნა ამაოებასა, არცა სიცბილსა ტყუილისასა Ղ, ոչ հայեցաւ նա ի նանրութիւն եւ ոչ ի մոլութիւն սուտ *ფს.39,5;* უცნებაჲ კაცთაჲ შემოჴდა სოფლად, նորակրօնութեամբ մարդկան եմուտ յաշխարհ *სიბრძ.სოლ.14,14;* სადა არიან გრძნეულთა იგი უცნებანი? ո՞ւր են մոգուց առաչօքն տեսիլք *მრთ.A.ანტ..92,24-70,1;* უცნებანი იგი საეშმაკონი ღამისანი, ցնորք գիշերայինք... դիւականք *მცხ.77v-89;* უჩუენეს ეშმაკთა უცნებაჲ იგი დედათაჲ, ցուցին նմա դեւքն յանուրջս զտեսակս կանանց *მცხ.139v-157.*

უცნება երեւել („ჩუენება", გამჟღავნება): რაჲთამცა აუცნეს კაცთა C, რაჲთა უჩუენონ კაცთა DE, որպէս զի երեւեսցին մարդկան *მთ.6,5.*

უცნებით առաչօք. առ աչս (მოჩვენებით, უგუნურად): უცნებით, առաչօք *მრთ.A.ანტ.დ.79,18-22,11;* უცნებით, առ աչս *მრთ.A.82,6-25,34*; ვხედავთ რასმე უცნებით, տեսանեմք յանուրջս *მცხ.231v-253.*

უცნობელ-ი անմիտ. անզգայական (უაზრო, უგრძნობელი): უცნობელნო გალატელნო, ვინ გეშურობდა თქუენ? Ո անմիտ գաղատացիք. ո՞ նախանձ արար զձեզ *გალ.3,1*; ვიყვენით ოდესმე ჩუენცა უცნობელ, էաք երբեմն եւ մեք անմիտք *ტიტ.3,3;* უცნობელი ბუნებაჲ იყო, անզգայական բնութիւնք *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.107,28-39,14.*

უცნობელ ყოფა յերկուանալ (საეჭვო, გაურკვეველი): რაჲთა უცნობელ იყოს საიდუმლოჲ, զի մի՛ յերկուասցի խորհուրդն *მრთ.D.კ.იერ.-ალდგ.261,39-404,12.*

უცნობელობა, უცნობელება անզգամութիւն. անգիտութիւն („უგუნურება", უგრძნობელობა): ქმნა უცნობელობაჲ შორის ძეთა ისრაჱლისათა G, უგუნურება ყო მან შორის ისრაელსა S, արար անզգամութիւն ի մէջ որդւոցն Իսրայելի *IIმჯ.22,21*; უცნობელებით სიტყუათა დაამძიმებს, ծանրացուցանէ անգիտութեամբ զբանս *იობ.35,16.*

უცნობო անմիտ (უმეცარი): უგუნური და უცნობოჲ წარწყმდენ Ղ, անզգամք եւ անմիտք կորիցեն *ფს.48,10.*

უცნობობა անզգամութիւն („უგუნურება"): ნუ ჰყოფთ უცნობობასა G, ნუ იქმთ უგნურებასა მაგას S, մի՛ առնէք զանզգամութիւնդ զայդ *მსჯ.19,23.*

უცოდველ-ი անմեղ: უცოდველი, անմեղ *მრთ.ი.ოქრ.-პეტრე და ელია 315-260,2;* უცოდველი მხოლოჲ ოდენ არს იესუ, անմեղ միայն աստուած է Յիսուս *მცხ.30r-26.*

უცოდველობა անմեղութիւն: დიდი სიმტკიცე არს უცოდველობისაჲ წმიდათა წერილთა აღმოკითხვაჲ, մեծ հաստատութիւն է եւ անմեղութիւն ընթերցումն սուրբ գրոց *მცხ.14r-11.*

უცოლო անկին: *მსჯ.21,16.*

უცომო բաղարջ. անխմոր („უფუველი", გაუფუებელი): სამინდოჲსგან პურნი უცომონი, ի նաչհոյ պանս բաղարջս *ლევ.2,4;* შჳდ დღე უცომოსა შჭამდეთ G, զեւթն օր բաղարջ կերիջիք *ლევ.23,6;* შჳდ დღე შჭამოთ მას შინა უცომოჲ პური ჭირვეულობისაჲ G, შჳდ დღე უფუველი პური შჭამო ჭირსა მას შინა S, զեւթն օր բաղարջ կերիցես ընդ նմա. հաց չարչարանաց *IIმჯ.16,3;* ვითარცა-ეგე ხართ უცომო, որպէս էքդ անխմորք *Iკორ.5,7.*

უცომოთაჲ բաղարջակեր („უფუველთაჲ") დღესასწაულსა უცომოთასა G, დღესასწაულსა უფუველთასა S, ի տօնի բաղարջակերաց *IIმჯ.16,16.*

უცომოება բաղարջակեր. անխմոր („ბალარჯობა“, „პასქა“): პირველსა მას დღესა უცომოებისასა DE, პირველსა მას ბალარჯობასა C, յառաջնում աւուր բաղարջակերացն *მთ.26,17;* მოახლებულ იყო დღესასწაული იგი უცომოებისაჲ, რომელსა ჰრქვან პასქაჲ, մերձեցաւ տօն բաղարջակերացն որ կոչէր պասքա *ლ.22,1;* დღესასწაული უცომოებისაჲ დაიმარხეთ ყოფად, զտօն բաղարջակերացն պահեսջիք *გამ.23,15*; განჰმზადეს ზატიკი იგი უცომოებისაჲ (ბალარჯობათაჲ J), պատրաստեցին զզատիկն բաղարջակերաց *Iეზრა1,10;* ყვეს... დღესასწაული უცომოებისაჲ შვდ დღე, արարին... զտօն անխմորիցն զեւթն օր *IIნეშტ.35,17.*

უცონ-ი անդանդաղ (დაუზარებელი): უკუეთუ უცონ იყო, եթէ անդանդաղ լինիցիս *იგ.სოლ.6,11.*

უცონილად անյապաղ. առանց յապաղելոյ. անծանծիր (დაუზარებლად): უცონილად აღასრულებდეს ლოცვასა და კანონსა თვსსა, անյապաղ կատարեսցէ զաղօթս իւր *მ.ცხ. 282v-303*; ყოველივე, რაოდენიცა მიბრძანო, უცონილად ვყო, զոր հրամայես. առանց յապաղելոյ արարից *მცხ.439r-511.* საქმესა თვსსა იქმოდის უცონილად, զգործ իւր գործեսցէ անծանծիր *მცხ.44v-37.*

უცხო օտար. օտարոտի. այլ. օտարական. օտարածէն. տարագիր. անկերպարան. խեղ. անբաւ. օտարացուցիչ. օտարացեալ („სტუმარი“, „გარეული“): უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, օտար էի եւ ժողովեցէք զիս *მთ.25,35*; მწირ იყოს ნათესავი შენი ქუეყანასა უცხოსა, եղիցի զաւակ նորա պանդուխտ է յօտար երկրի *საქ.მოც.7,6;* რაჲთა უცხო იყოს მთავრობისმოყუარებისაგან, զի օտար լիցի յիշխանութենէ *მცხ.23v-18*; უცხოთა ვეტყოდე ერსა ამას, օտարոտիս խօսեցայց ընդ ժողովրդեանդ ընդ այդմիկ *Iკორ.14,21*; შიგან თუ ივთებდე უცხოსა, բնակեցո առ քեզ զօտարոտին *ზირ.11,36*; შეიყუარნა უცხონი, սիրէր զօտարոտիս *იერ.2,25;* ახალსა და უცხოსა რასმე სწავლასა ასწავებს, ուսումն նոր եւ օտարոտի ուսուցանէ *თეკლა99,8*; იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, սկսան խօսել յայլ լեզուս *საქ.მოც.2,4;* რაჲთა არა უცხოთა დაუტეო ნაშრომი შენი? ո՞չ ապաքէն այլում թողուցուս զվաստակս քո *ზირ.14,15;* შეიყუარა მან კაცი ერთი ვინმე მწირი და უცხოჲ, սիրեաց զայր տարաշխարհիկ եւ օտարական *თეკლა98,30;* მოძღურებასა მრავალსახესა და უცხოსა ნუ შეიწყნარებთ, յուսմունս պէսպէսս եւ յօտարածայնս մի՛ դանդաչէք *ჰებრ.13,9.* იყვენით... უცხო შჯულთა მათგან აღთქუმათაჲსა CD, იყვენით სტუმარ შჯულთა მათგან აღთქუმათასა AB, տարագիրք յուխտից աւետեացն *ეფეს.2,12;* დაჰბადე სოფელი უცხოჲსაგან ნივთისა, հաստատեաց զաշխարհս յանկերպարան նիւթոյ *სიბრძ.სოლ.11,18;* უცხონი... შემოიყვანენ აქა, զխեղս... մոյծ այսր *ლ.14,21;* უცხოსა და უგზოსა ქუეყანასა [გვძლოდა], յանբաւ եւ յանկոխ երկրին առաջնորդեաց *იერ. 2,6*; უცხოსა რასმე ასმენ სასმენელთა ჩუენთა, օտարացուցիչս ինչ բերես ի լսելիս մեր *საქ.მოც.17,20*; უცხოჲ, օտարացեալ *მრთ.A.კ.იერ.-სინან.142,1-9,8.* ნუ განვალნ იგი ქმრისა უცხოჲსა S, არა იყოს ცოლი მისი მომკუდრისაჲ გარეულისა კაცისა G, մի՛ լինիցի կին մեռելոյն արտաքոյ առն ումեք *IIშჯ.25,5.*

უცხო ყოფა օտարացուցանել (გაუცხოება): უცხო ყონ სიმართლისაგან გონებისა, օտարացուցանել յարդար խորհրդոց *იგ.სოლ.2,16.*

უცხოდ օտարաբար: *ეს.28,21.*

უცხო(ვ)ება պանդխտութիւն. օտարսիրութիւն. օտարութիւն (განდეგილობა): უცხოვება, պանդխտութիւն *მარკ.252r-204;* შუენის მონაზონსა სამი ესე: უცხოებაჲ, სიგლახაკჱ და დუმილი მოთმინებით, վայել է կրօնաւորի երեքինս՝ օտարասիրութիւն. աղքատութիւն եւ լռութիւն համբերութեամբ *მცხ.12r-10;* სიგლახაკჱ და უცხოებაჲ... შობენ სიმდაბლესა, աղքատութիւն եւ օտարութիւն... ծնանին զխոնարհութիւն *მცხ.16v-13.*

უცხოთანაშობი օտարածին (უცხოელი): მოვიდენ უცხოთანაშობნი მწყსად ცხოვართა შენთა, եկեսցեն օտարածինք հովիւք խաչանց քոց *ეს.61,5.*

უცხოთასიძულილი օտարատեցութիւն (ქსენოფობია): უცხოთასიძულილი მოიპოვეს, օտարատեցութիւն հնարեցան *სიბრძ.სოლ.19,12.*

უცხოთა შესაწყნარებელი օտարանոց (სასტუმრო): და იყოს იგი შესაწყნარებლად უცხოთა, զի լինիցին օտարանոցք *ნრს.70,23.*

უცხოთესლი այլազգի. օտարազգի. խուժադուժ („უცხო-ტომი“, „სხუა ნათესავი“, უცხოელი): აღვიდეს მისა მთავარნი იგი უცხოთესლთანი S, აღვიდეს მისსა მთავარნი უცხოტომთანი G, ելին առ նա նախարարք այլազգեացն *მსჯ.16,5*; უცხოთესლნი მოართუმიდეს ძღუენსა, յայլազգեացն բերէին Յովսափատայ ընծայս *IIნეშტ.17,11;* მოვიდენ... უცხოთესლნი მჴნველად და ვენაჴის მოქმედად შენდა, եկեսցեն...

այլազգիք մաճակալք եւ այգեգործք քո *ეს.61,5;* მისვე უცხოთესლისა ჴრმლითა და მოჰკუეთა თავი, նորին այլազգոյն սուսերաւն եհատ զգլուխն *ს.გაბ.-მოც.საჴს.93,35;* ნუ იტყჳნ უცხოთესლი იგი, մի՛ արասցէ օտարազգին *ეს.56,3;* უცხოთესლი B, სხუა ნათესავი G, օտար ազգի *ლევ.22,10;* ვითარცა ესმა ესე მძლავრსა მას და უცხოთესლსა, յորժամ լուաւ զայս ամբարտաւանն այն եւ խուժադուժ *ბ.კეს.40-თჳს 118,32.*

უცხოთმოყუარე օտարասէր (სტუმართმოყვარე): აბრაჰამ უცხოთმოყუარე იყო, Աբրահամ օտարասէր լեալ *მცხ.28r-24.*

უცხოთმოყუარება օտարասիրութիւն (სტუმართმოყვარეობა): *უნყ.ი.IIIეპ.95,5-356,4.*

უცხონათესავი այլազգի (უცხო ტომისა): *რიცხ.18,7.*

უცხოჲსა მოღუაწე օտարատեսուչ (სხვისი საქმეებით დაკავებული): *1პეტრე 4,15.*

უცხოტომი այլազգի („უცხოთესლი", უცხოელი): უცხოტომნი შენ ზედა, სამფსონო G, უცხოთესლნი შენ ზედა, სამსონ S, այլազգիք հասեալ են ի վերայ քո Սամփսոն *მსჯ.16,20.*

უცხო ქმნა օտարանալ. օտարացուցանել. զրկել (გაუცხოება): უცხო იქმნენით ბაბილონისაგან, օտարացարուք ի միջոյ Բաբելոնի იერ.50,8; რომელი უცხო იქმნეს ჩემგან, որ օտարասցի յինէն ეზეკ.14,7; უცხო გქმნეს შენ სახლეულთაგან შენთა, օտարացուսցէ զքեզ ի քոյոց անտի ზირ.11,36; უცხო ქმნეს ადგილიე ესე, օտարացուցին զտեղիս զայս յինէն იერ.19,4; უცხო ქმნნა იგინი ნაშრომისაგან მათისა, զրկեաց զնոսա ի վաստակոց իւրեանց ზირ.28,19.

უცხოქმნული աւտարացեալ („გაუცხებული", გაუცხოებული): უცხოქმნულო (გაუცხებულ) ჭეშმარიტებისაგან (ღმრთისაგან) *40სბსტ.132,22-10-128,4-2.*

უცხოჴმა այլալեզու (უცხოენოვანი): *ეზეკ.3,6.*

უძეებ-ი անպիտան (ურგები, უვარგისი): გამოაქუნ [ქუეყანასა]... ყოველივე მცენარჱ უძეები, բերես փուշ եւ տատասկ եւ զամենայն անպիտան բոյս *ფლკტ.152.32-464,27.*

უძილ-ი անքուն(უძილო, ფხიზელი): არს მღჳძარჱ და უძილ, արթուն եւ անքուն *ფიზ.1155.*

უძილად անքուն. առանց քնոյ (ფხიზლად): უძილად, անքուն *მრთ.A.ანტ.დ.80,18-23,23;* առանց քնոյ *მცხ.184r-219.*

უძილება տքնութիւն (უძილობა, მღვიძარება, სიფხიზლე): უძილებამან სიმდიდრისამან განადნების ძუალნი, տքնութիւն մեծութեան հալէ զմարմինս *ზირ.34,1.*

უძილ ყოფა տքնել (უძილობა): უძილ ვიყავ და დავადგერ ვითარცა სირი მხოლოჲ სართულსა ზედა, տքնեցայ եւ եղէ ես որպէս ճնճղուկ միայն ի տանիս *ფს.101,8.*

უძირო անարմատ (უმემკვიდრო): უძირომცა ვარ ქუეყანასა ზედა, անարմատ եղէց յերկրի *იობ.31,8.*

უძლებ-ი յղի (ფეხმძიმე): მოჰგუარეს მას ქალწული ვინმე, რომელი იყო უძლებ, բերին առ նա կոյս ոմն որ էր յղի *მცხ.219v-239.*

უძლეველ-ი անյաղթ. անվկանդ (მოურევნელი): გიჩუენო შენ... უძლეველი იგი მადლი აპოლონისი, ցուցից քեզ... անյաղթ զշնորհսն Ապողոնի *ფლკტ.133,24-439,13;* ღმერთი ჩუენი უძლეველ არს, Աստուած մեր անհաղթ է *ლონგ.192,12-721,3;* მოიღო თორნჱ-უძლეველი სიწმინდჱ, առցէ վահան զսրբութիւն անվկանդ *სიბრძ.სოლ.5,19.*

უძლეველობა անյաղթութիւն (მოურევნელობა): *ბას.კეს.-40-თჳს119,23.*

უძლიერე, უძლიერეს-ი զօրագոյն. առաւել զօրաւոր. հզօր. հզօրագոյն. բուռն. բռնագոյն (უფრო ძლიერი): მოვალს უძლიერესი ჩემსა, գայ զօրագոյնն քան զիս *მრ.1,7;* ნუუკუე უძლიერეს მისსა ვართ, միթէ զօրագո՞յնք իցեմք քան զնա *1კორ10,22;* უძლიერჱ არს მისსა, զօրագոյն քան զնա է այն *თომა მოც.16,4-392,6;* რომელმან უბრძნეს და უძლიერეს თქუას მოყუასთა თჳსთა, որ ասասցէ իմաստուն եւ առաւել զօրաւոր քան զընկերս իւր *1ეზრა3,5;* უდიდებულჱს და უძლიერჱს და დიდ და კაცთ-მოყუარე აპოლონ არს, մեծ եւ փառաւոր. հզօր եւ մարդասէր Ապողոն է *ფლკტ.133,4-438,14;* უძლიერჱს ჩემსა არს, հզօրագոյն է քան զիս *მთ.3,11;* უძლიერჱს იყო ჩუენ ზედა, բուռն էր քան զմեզ *დან.13,39;* უძლიერეს არიან მისა, բռնագոյն քան զնա են *მსჯ.18,26.*

უძლურ-ი տկար. տկարացեալ. անզօր. չկարող. անկար. անաւագ. աղքատ. հիւանդ (დაუძლურებული, სნეული): უკუეთუ განვიკითხვით ქველის საქმესა ზედა კაცისა უძლურისასა, եթէ դատիցիմք վասն երախտեաց առն միոյ տկարի *საქ.მოც.4,9;* გულნი უძლურთანი ერჩდენ სმენასა, սիրտք տկարաց անսայցեն ի լսել *ეს.32,4;* უძლური იგი იქადოდენ, տկարն խրախուսեսցէ *იოვ.3,10;* უძლური იგი არა განაძლიერეთ, զտկարացեալն ոչ զօրացուցանէք *ეზეკ.34,4;* მე განვიკითხო შორის ცხოვარსა ძლიერსა და შორის ცხოვარსა უძლურსა, ես դատեցայց ի մեջ հարուստ եւ անաւագ ոչխարաց *ეზეკ.34,20;* განცო და სა-

სოო და შესავედრებელო უძლურთაო, յոյս եւ վստահութիւն աղքատաց *თომა.მოც.14,6-388,6;* რამეთუ უძლურ ვარ, զի հիւանդ եմ ես *ფს.6,3;* ჩუენ უძლურ, ხოლო თქუენ ძლიერ, մեք տկարք եւ դուք հզօրք *I კორ.4,10;* უძლური იგი სარწმუნოებით შეიწყნარეთ, զտկարացեալն ի հաւատս՝ ընկալարուք *ჰრომ.14,1;* უძლური, անզօրք *ეს.40,30;* მაჩჳ ნათესავი უძლური, რომელთა იქმნიან კლდესა შინა ბუდენი თჳსნი, ճագար ազգ անհզոր. որ արարին ի վէմս զդադարս իւրեանց *იგ.სოლ.30,26;* ნუ ვინმე უძლურთაგანმან იხილოს ზუარაკი იგი, մի որ չկարողաց տեսանել զզենումն զուարակին *მრთ.P.ი.ოქრ.-უძლ.შვილ.516-640,17;* დაჰსდებდეს უძლურთა DE, დასდგმიდეს სნეულებსა C, դնէին զախտաժէտս *მრ.6,56;* გიხილეთ შენ უძლური DE, გიხილეთ სნეული C, տեսաք զքեզ հիւանդ *მთ.25,39;* ულური იგი მხალსა ჭამნ, որ հիւանդ է բանջար կերիցէ *ჰრომ14,2;* ძლიერი არს ანუ უძლური, զօրաւորագոյն իցէ թէ անաւագ *რიცხ.3,19;* თუალნი ლიაჲსნი უძლურ იყვნეს, աչք լիայ գիջագոյնք *დაბ.29,17;* უძლური, ապիկար *სიბრძ.სოლ.13,18;* უძლური, ախմար *მრთ.P.ი.ოქრ.-უძლ.შვილ.516-690,20;* უძლურ ვარ, անկար եմ *მცხ.148r-164.*

უძლურება տկարութիւն. հիւանդութիւն. անկարութիւն. վատթարութիւն. ախտ. անհնարին („სნეულება, ძლეულება“): დაეთესვის უძლურებით და აღდგების ძლიერებით, սերմանի տկարութեամբ եւ յառնէ զօրութեամբ *Iკორ.15,43;* კაცობრივ ვიტყჳ უძლურებისათჳს ჴორცთა თქუენთაჲსა, մարդկօրէն ասեմ վասն տկարութեան մարմնոյ ձերոյ *ჰრომ.6,19;* უძლურებისაგან ჴმისა მფქველისაჲსა, ի տկարութենէ ձայնի աղօրւոյն *ეკლ.12,4;* მოკუდეს უძლურებასა შინა მოაბ, մեռցի ի տկարութեան Մովաբ *ამოს.2,2;* განიკურნა უკუე ბერი უძლურებისაგან თჳსისა, ողջացաւ ծերն ի հիւանդութենէն *მ.ცხ.70r-82;* განმრავლდეს უძლურებანი მათნი, յաճախեցին հիւանդութիւնք նոցա *ფს.15,4;* რომელსა ოცდაათვრამეტი წელი დაეყო უძლურებასა (სნეულებასა C) შინა, որոյ երեսուն եւ ութ ամ էր ի հիւանդութեան իւրում *ი.5,5;* ნუცა ჰმიზეზობ სნეულებასა ჴორცთასა და უძლურებასა, մի՛պատճառեր զհիւանդութիւն մարմնոյ եւ զանկարութիւն *მრთ.A.ბ.კეს.-მარხ.125,15-252;* უძლურება თქუენდა არს ესე AB, ძლეულება არს თქუენდა ესე CD, վատթարութիւն է ի ձեզ *Iკორ.6,7;* მივსცე... უძლურებაჲ და მოუძლურდენ მას შინა მამანი და შვილნი ერთად, տաց... ախտ եւ ախտասցին ի նմին հարք եւ որդիք ի միասին *იერ.6,21;* არა იყოს უძლურება თქუენდა, ոչինչ անհնարին լիցի ձեզ *მთ.17,19.*

უძლურება տկարանալ („შეუძლებელ ყოფა“): არა არს უძლურება ღმრთისა მიერ ყოველსა სიტყუასა C, არარაჲ შეუძლებელ არს წინაშე ღმრთისა სიტყუაჲ, ոչ տկարասցի առ յԱստուծոյ բան *ლ.1,13.*

უძლურ ქმნა տկարանալ. անկարանալ. խօթամիտ լինել (დაუძლურება): უძლურ იქმნენ მრავალნი, տկարասցին ի նմա բազումք *ეს.8,15;* შენითა შრომითა უძლურ ვიქმენ, ցաւովքս անկարացայ *მრთ.A.ანტ.დ.79,22-22,18.* უძლურ იქმნენით სასმენელითა, խօթամիտ եղերուք լսելեօք *ჰებრ.5,11.*

უძლურ ყოფა տկար առնել. տկարանալ (დაუძლურება): უფალმან უძლურ ყვნის მჴდომნი თჳსნი, տէր տկար առնէ զհակառակորդս իւր *Iმფ.2,9;* უძლური იყოს ჴელითა G, տկարանայցէ ձեռօք *ლევ.25,35.*

უძნელე თჳრთი դժուարաբեռն (უფრო ძნელი ტვირთი): არა არს უმძიმე და უძნელე ტჳრთ, ვითარცა ცოდვაჲ და განდგომილებაჲ, ոչինչ է այնպէս ծանր դժուարաբեռն քան զմեղս եւ զապստամբութիւն *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ და იონ.105,9-35,4.*

უძნელჱს-ი դժուարագոյն (უფრო ძნელი): რომელი არს უძნელჱს (კაცისა), զի՞նչ դժուարագոյն իցէ *მრთ.S.კ.იერ.-ალდგ.163,27-288,23.*

უძრავ-ი անշարժ (მყარი): უძრავი ქვა, անշարժ քար *მცხ.210v-II 58.*

უძჳრჱს-ი չարագոյն. սաստիկ. չար. խստագոյն. դժնդակ (უარესი, უბოროტესი): გნადის, ვითარმცა უძჳრჱსნი ტანჯვანი შეგემთხჳნეს, կամիցի՞ք եւս չարագոյն կտտամնաց պատահել *ფლკტ..142,4-450,19;* რავდენ უძჳრესისა ტანჯვისა ღირს, რომელმან ძჱ ღმრთისაჲ შეურაცხ-ყოს AB? რავდენ ჰგონებთ უძჳრესისა ტანჯვისა ღირს-ყოფად, რომელმან ძჱ ღმრთისაჲ დათრგუნოს, որչափ սաստիկ պատժոց արժանի համարիցիք զայն. որ զորդին Աստուծոյ առ ոտն եհար *ჰებრ.10,29;* უძჳრეს ერისკაცთა, չար քան զաշխարհականք მცხ.38v-32; არსა სხუაჲ სატანჯველი უძჳრესი მისა? է եւ այլ ին՞չ խստագոյն եւս տանջանք *მცხ.88r-100;* ბოროტ არს ცოდვაჲ ეგე და უძჳრეს ყოველთა

ცოდვათასა, չար է այդ եւ դժընդակ քան զամենայն մեղս *მცხ.107r-116.*

უძღები անառակաբար. անառակ. ագահ. ագահագոյն. ժլատ. ժանտ (ურცხვი, უწესო, ხარბი, გაუმაძღარი): რომელმან თუალთა მიერ უძღებთა მიხედნეს, იმრუშებს, որ ակամբ միայն հայի անառակաբար. չնայ *მცხ.44r-37*; მიგჳხედვან თუალთა მიერ უძღებთა, հայիմք անառակ ակամբք *მცხ.229r-248;* რომელი... იყო... უძღებ თუალითა, որ... էր... ագահ սրտիւ *ფს.100,5;* უკუეთუ უძღებ იყო, ნუ გული გითქუამნ საჭმელთა მისთა, ապա թէ ագահագոյն իցես. մի՛ ցանկանայցես խորտկաց նորա *იგ.სოლ.23,3;* ნერტაჲ წელთაჲ კაცისა თანა უძღებისა, խիթք որովայնի ընդ առն ժլատի *ზირ.34,25*; ნაშობნი უძღებნი და უშჯულონი, որդիք ժանտք *Iმფ.2,12*

უძღებება անառակութիւն. շռայլութիւն. որկորստութիւն. որկրամոլութիւն (სიხარბე, გაუმაძღრობა): ჭამაჲ და სუმაჲ უძღებებით, ուտել եւ ըմպել անառակութեամբ *მცხ.62v-51;* უძღებება, շռայլութիւն გრ.ანძ.-*შობ.295,4-178*; უძღებება, որկորստութիւն *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ და იონ.109,24-43,2*; უძღებებასა მივიწიე, յորկրամոլութիւն անկայ *მცხ.280r-300.*

უწამებელად առանց վկայութեան (დამოწმების გარეშე) *საქ.მოც.14,17.*

უწერელ-ი անգիր (დაუწერელი): *მრთ.D.კ.იერ.-აღდგ262,19-406,20.*

უწერელად առանց գրոյ (დაუწერლად) დაწერით და უწერელად აღვიარებთ, խոստովանիմք... գրով եւ առանց գրոյ *ი.მოც.60,23-202,23.*

შეურაცხება արհամարհել. անգոսնել. անարգել. յուլանալ. խոտել. թշնամանել („შეურაცხყოფა“, უპატიობა): შეურაცხებით შეურაცხ-მყო სახლმან ისრაჱლისამან, արհամարհելով արհամարհեցին զիս տունն Իսրայելի *იერ.5,11;* შეურაცხებით შეურაცხ-ყონ იგი, անգոսնելով անգոսնեսցեն զնա *ქება 8,7;* შეურაცხებად (შეურაცხყოფად DE) მოხუცებულთაგან, անարգել յերիցանց *მრ.8,31;* ნუ შეურაცხებით შეურაცხის-მყოფელმან გიყავა შენ ესე? միթէ յուլանալով յուլացա՞յ ինչ երբէք առնել քեզ այսպէս *რიცხ.22,30;* შეურაცხებით შეურაცხ-ჰყავ იუდაჲ? խոտելով խոտեցե՞ր զՅուդա *იერ.14,19;* განრისხნა ღმერთი შეურაცხებასა ზედა მარხვისასა, բարկանայ Աստուած առ ի թշնամանել պահոցն *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.102,5-29,17.*

შეურაცხება արհամարհ. արհամարհանք. արհամարհութիւն. անարգանք. անարգութիւն. թշնամանք. այպանութիւն. բաղբաղայ (შეურაცხყოფა, უპატივცემლობა): შეურაცხებაჲ კაცთაჲ აღადგინის მის ზედა, զարհամարհն ի մարդկանէ յարուցանէ ի վերայ նորա *დან.4,14;* რომელი სუამს შეურაცხებასა ვითარცა წყალსა, որ ըմպէ զարհամարհանս իբրեւ զջուր *იობ.34,7;* განმაშორე ჩემგან ყუედრებაჲ და შეურაცხებაჲ C, ի բաց արա յինէն զնախատինս եւ զարհամարհանս *ფს.118,22;* მრავლითა აღვივსენით შეურაცხებითა, բազում լցաք արհամարհանօք *ფს.122,3;* შეურაცხება, արհամարհութիւն *ჰებრ.7,18;* მოისპის შეურაცხებაჲ, թօթափէ զանարգանս *იგ.სოლ.14,35;* მოუჴდა შეურაცხებაჲ მთავართა მათთა, եկն անարգութիւն ի վերայ իշխանաց նոցա *ფს. 106,40;* შეურაცხება, թշնամանք *ფლკტ.136,23-443,4;* შეურაცხებამან შეგამთხჳა შენ ესე, այպանութիւն քո հասոյց քեզ զայդ *იერ.49,16;* ყოლად მიზეზი და შეცოდებაჲ და შეურაცხებაჲ ვერაჲ პოვეს, მისთჳს ամենեւին պատճառս եւ յանցանս եւ բաղբաղայս ոչ գտանէին զնմանէ *დან.6,4.*

შეურაცხებელ-ი անհամար (ურიცხვი, უთვალავი): დღენი პირველნი შეურაცხებელ იყვნენ, աւուրք առաջինք անհամարք լինիցին *რიცხ.6,12.*

შეურაცხისმყოფელ-ი արհամարհոտ. արհամարհող. որ արհամարհէ. թշնամանող (შეურაცხმყოფელი, მაგინებელი): იხილეთ შეურაცხისმყოფელთა მაგათ და მიჰხედეთ, տեսէք արհամարհոտք եւ հայեցարուք *ამბ.1,5;* თავისმოთნჱ იგი და შეურაცხისმყოფელი კაცი ლალი არს, կարծողն եւ արհամարհողն այր ամբարտաւան է *ამბ.2,5;* შეურაცხისმყოფელნი ჩემნი შეურაცხ-ვყვნე, որ արհամարհէն զիս անարգեսցին *I მფ.2,30;* პატიჟად სიკუდილი განაჩინა შეურაცხისმყოფელსა ზედა მარხვისასა, պատիժ զմահն եդ ի վերայ թշնամանողին *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ. 102,7-29,20.*

შეურაცხისყოფა նախատինք (შეურაცხყოფა): შეურაცხისყოფაჲ ჩუენდამო ესე არს, նախատինս մեզ զայս համարելով *იპ.რომ.კურთხ. ისაკ და იაკ.18,11-19.*

შეურაცხ-ქმნა անգոսնել. արհամարհել. թշնամանել (შეურაცხყოფა): ფრიად შეურაცხ-იქმნეს զի բազում ինչ... անգոսնեսցի *მრ.9,11;* რომელი-იგი მათ მიერ შეურაცხ-იქმნა, որ ի նոցանէ արհամարհեցաւ იპ.რომ.კურთხ. ისაკ და *იაკ.108,109;* რაჟამს შეურაცხ-იქმნა, յորժամ թշնամանեցաւ *მრთ.S.ი. ოქრ.-მარხ. და იონ. 102,7-29,19.*

შეურაცხ-ყოფა անգոսնել. անարգել. արհամարհել. ընդ արհամարհի համարել. պղծել. ապախտ առնել. խոտել. աղարտել. քամահել. յամօթ առնել. վտտել. նշկահել. պախարակել. հայհոյել. պարսաւել („განკიცხვა“, „კიცხევა“, „დაუმტკიცებელ-ყოფა“, „შეურაცხება“, „ცრუვება“, „განრყუნა“): შეურაცხ-ჰყოფდეს მას DE, განკიცხეს იგი C, անգոսնէին զնա *ლ.16,14;* შეურაცხ-ჰყოფდეს მთავარნიცა იგი მათ თანა DE, ეკიცხევდეს მთავარნი იგი მათ თანა C, անգոսնէին զնա իշխանքն հանդերձ նորօք *ლ.23,35;* შეურაცხ-ყო გულსა შინა თჳსსა, անգոսնեաց զնա ի միտս իւր *I ნშტ.15,29;* სიბრძნე და სწავლულებაჲ ულმრთოთა შეურაცხ-ყვიან, զիմաստութիւն եւ խրատ ամպարիշտք անգոսնեն *იგ.სოლ.1,7;* შეურაცხ-გიყოფიეს სიტყუაჲ C, დაუმტკიცებელ გიყოფიეს სიტყუაჲ DE, անարգէք զբանն Աստուծոյ *მრ.7,13;* შეურაცხ-ყოფად (შეურაცხებად C) მოხუცებულთაგან DE, անարգել յերիցանց *მრ.8,31;* ნუ შეურაცხ-მყოფ მე, մի՛ անարգեր զիս *ფს.26,9;* შვილი შეურაცხ-ჰყოფს მამასა, որդի անարգէ զհայր *მიქ.7,6;* შეურაცხ-ყო ჰეროდეცა ერითურთ თჳსით C, արհամարհեաց զնա եւ Հերովդէս հանդերձ իւրովք զօրականօքն *ლ.23,11;* მათ შეურაცხ-ყვეს იგი და განუტევეს, զոր իբրեւ ընդ արհամարհի համարեալ ի բաց թողեալ *თ˜ე 552-60,2;* შაფათი შეურაცხ-ყვიან, պղծեն զշաբաթն *მთ.12,5;* შეურაცხ-ჰყვენით ზრახვანი ჩემნი, ապախտ առնէիք զխորհուրդս իմ *იგ. სოლ.1,25;* შეურაცხ-ჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა DE, ეცრუებით მცნებასა ღმრთისასა, խոտէք զպատուիրանն Աստուծոյ *მრ.7,9;* შეურაცხყოფა, աղարտել GM *მსჯ.9,38;* უფლებასა შეურაცხ-ჰყოფენ, զտէրութիւն քամահէին *იუდ.1,8;* შეურაცხ-ჰყვენ დღენდელსა ამას დღესა მტერნი ერისა შენისანი, յամօթ արարեր այսօր զթշնամիս ժողովրդեան քոյ *ივდ.13,22;* შეურაცხ-ყვნეს იგინი, վտտեսցէ զնոսա *ეს.17,13;* შეურაცხ-ყო მოაბმან ისრაჱლი, նշկահեաց Մովաբ զԻսրայէլ *IV მფ.1,1;* გონიერებაჲ გონიერთაჲ შეურაცხ-ვყო, զհանճար հանճարեղաց պախարակեցից *ფოკა 340r-494,4;* რომელნიმე... შეურაცხ-ჰყოფენ ეკლესიათა, ոմանք հայհոյեն զեկեղեցի *Por 18/19;* რომელნიმე შეურაცხ-ჰყოფენ და რომელნიმე აქებენ, ոմանք պարսաւեն, իսկ ոմանք գովեն *მცხ.83-72r;* სიტყუაჲ უფლისაჲ შეურაცხ-ყო B, სიტყუაჲ უფლისაჲ განრყუნა G, զբանն տեառն խոտեաց *რიცხ.15,31.*

შეურაცხყოფილ-ი պառապեալ: ვითარცა კაცი გლახაკი და შეურაცხყოფილი აგინეს, իբրեւ զմարդ պառապեալ եւ աղքատ արհամարհեալ *იპ.რომ.კურთხ.მოს.190,1-191.*

შეურვება նեղել. ճնշել. պտուտկել. թախանձել. թախանձեցուցանել. վտանգել. փութալ. ճմլեցուցանել

(„შეიწრება“, „მოშრომა“, შეწუხება): შეაურვებდეს მას DE, შეაიწრებდეს მას C, նեղէին զնա *მრ.5,24;* გულისსიტყუანი შემაურვებენ მე, խորհուրդք իմ նեղէն զիս *მცხ.68r-80;* მი-რაჲ-ინინეს მახლობელად სატანჯველთა, შეიურვეს, մատ եղեալ ի չարիսն պտուտկեցան *მრთ.S.ბ.კეს.-40-თჳს 177,6;* შეაურვა იგი, թախանձեաց զնա *მსჯ.14,17;* შეაურვა მას S, შეაიწრა იგი G, թախանձեցոյց զնա *მსჯ.16,16;* ვითარცა შეაურვა მას სიტყუებითა თჳსითა G, რაჟამს მოაშრო იგი სიტყვთა მისითა S, իբրեւ վտանգեաց զնա բանիւք მსჯ.16,16; შეაურვებთ გულსა ჩემსა, ճմլեցուցանէք զսիրտ իմ *საქ. მოც.21,13;* ვითარ შეურვებულ ვარ, ვიდრემდე აღესრულოს, զիա՛րդ փութամ մինչեւ կատարեսցի *ლ.12,50.*

შეურვებულ-ი տագնապեալ. ճնշեալ. նեղեալ. նուաղեալ. տխրեալ. խռովեալ. տարակոյս նեղութիւն (შეწუხებული): შეურვებულ იყო ფრიად, տագնապեալ էր յոյժ *I მფ.28,21;* შეუძლებდა განრინებად შეურვებულსა მას ქალაქსა მრავლისა მისგან ურვისა, կայէր ապրեցուցանել զտագնապեալ քաղաքն ի բռնութենէ վշտացն *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ. 108,4-40,8;* ვიყავ იწროებითა მით შეურვებულ ზღუდესა მას ზედა, ի նեղութենէն էի ճնշեալ ի պարսպէն *ნეემ.2,15;* შეურვებულ იყო დიდად, նեղեալ յոյժ *ფლკტ.135,29-441,38;* დიდად შეურვებულ ვარ, յոյժ նուաղեալ եմ *ანდ.-ანატ.330-38,38;* შეურვებული და დაჴსნილი სიტყჳსა მისთჳს, տխրեալ եւ լքեալ վասն բանին *III მფ.21,4;* რაჲსა შეურვებულ არს სული შენი? զի՞ խռովեալ է ոգի քո *III მფ.21,5;* შეურვებული იყო მეფე იგი, տեսեալ... զտարակոյս թագաւորին *ფლკტ.138,30-446,2;* მრავლისაგან ჭირისა და შეურვებულისა გულისა მივწერე თქუენდა, ի բազում վշտաց եւ ի նեղութենէ սրտի գրեցի առ ձեզ *II კორ.2,4;* შეურვებული სალმობათაგან, տագնապեալ ի սարսռոյ *მსკ.53,19.*

შეურყეველ-ი անշարժ. հաստատուն (ურყევი, უძრავი, მტკიცე): შეურყეველ წინაშე თუალთა შენთა, անշարժ առաջի աչաց քոց *გამოსლ.13,16;* ცნეს შეურყეველი სარწმუნოებაჲ მათი, գիտացին զանշարժ հաւատս նոցա *ოსკ.4,6;* სარწმუნოებითა შეურყეველითა სწადოდა, հաստատուն հաւատով ցանկայր *დღ.130,18.*

შეუსწავებელ-ი յանծանօթ (გაუცნობელი): ვიყავ შეუსწავებელ წინაშე პირსა ეკლესიათა, յանծանօթս էի երեսօք եկեղեցեացն *გალ.1,22.*

შეუღლება զուգել. կապել (შეკავშირება): რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, զոր Աստուած զուգեաց *მთ.19,6;* შეუღლება, կապել *გრ.ანძ.-შობ.297,37-182.*

შეუღლვილ-ი լծեալ. խառնեալ (შეკავშირებული): შეუღლვილი, լծեալ *მცხ. 324r-371;* თითოეულსა ორ-ორი შეუღლვილი ურთიერთას, իւրաքանչիւր երկու-երկու խառնեալ ընդ միմեանս *ეზეკ.1,11.*

შეუცვალებელ-ი անփոխադրելի (შეუცვლელი) *მცხ. 30v-26.*

შეუძლებელ-ი անհնարին. անհնար. անկարելի. անկարեկան („ვერ შესაძლებელი“): შეუძლებელ (ვერ შესაძლებელ C) არს ესე DE, այդ անհնարին է *მრ.10,27;* შეუძლებელი კაცთაგან, შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ, անհնարինք առ ի մարդկանէ հնարաւորք են յԱստուծոյ *ლ.18,27;* შეუძლებელ არს, անհնար է *ჰებრ.6,4;* სამი არს შეუძლებელ ჩემდა ცნობად, երեք են զորս անհնար է ինձ իմանալ *იგ.სოლ.30,18;* შეუძლებელ არს, անհնարին է *მცხ.143r-104;* რაჲთა შეუძლებელი იგი ისწაო, զի զանկարեկանն ուսուցանիցիս *ს.გაბ.-მოც.საკ.98,5-97,40.*

შეუძლებელ-ყოფა տկարանալ: ვიცი, რამეთუ ყოველივე ძალ-გიც და შეუძლებელ არა რაჲ არს შენ მიერ, գիտեմ. զի կարող ես յամենայնի եւ տկարանայ ինչ ոչ քեզ *იობ 42,2.*

შეუძლებელ-ი տկարացեալ *სიბრძ.სოლ.12,9.*

შეუძრავ-ი անշարժ (უძრავი, ურყევი): შეუძრავისა მის გონებისა ჩემისაგან გულისხმაგიყოფ შენ სარგებელთა მათ, անշարժ մտաց գիտացեալ զօգտակարն տեղեկացուցանեմ քեզ *ფლკტ.133,16-439,3;* იპოოს ვითარცა ლოდი შეუძრავი, եւ գտանի քան զվէմ անշարժ *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.100,19-27,7.*

შეუძრავად անշարժ (უძრავად) *საქ.მოც.27,41.*

შეუძრველ-ი անդողդոջ. անդրդուելի (უძრავი): შეუძრველი, անդողդոջ *მრთ.A.ანტ.დ. 24r-26,9;* გოდოლსა მას შეუძრველსა, անդրդուելի աշտարակին *მრთ.D.ი.ოქრ.-პეტრე და ელია 314-258,36.*

შეუძრველად անշարժ (უძრავად, ურყევად): შეუძრველად დგან անշարժ դիտէ *იობ.39,26.*

შეუძრწუნვებელ-ი առանց դողման (შეუკრთომელი): *მცხ.98r-108.*

შეუწევნელ-ი անօգնական. առանց օգնականի (უშემწეო): შეუწევნელი, անօգնական *სიბრძ.*

სოლ.12,6; ვიქმენ მე ვითარცა კაცი შეუწევნელი, եղէ ես որպէս մարդ առանց օգնականի *ფს.87,5.*

შეუწირავ-ი անընդունելի. ոչ ընդունելի (შეუწყნარებელი, მიუღებელი): შეუწირავი, անընդունելի *მცხ.276v-296;* ոչ ընդունելի *მცხ. 245r-295.*

შეუწუხებელ-ი առանց տրտմութեան (მწუხარების გარეშე): თქუენ უგეთ ღმერთთა შეუწუხებელად, դուք զոհեցէք առանց տրտմութեան *ფლკტ.139,2-446,15.*

შეფარვა թաքչել (დაფარვა): პირსა შენსა შეფარვოდის, յերեսաց քոց թաքիցէ *ზირ.6,12.*

შეფსმა միզել: რომელმანმცა შეაფსა კედელსა, որ զորմով միզիցէ *I მფ.25,34.*

შეფუება խմորել (აფუება): ვიდრემდე შეფუვეს იგი, մինչեւ խմորեսցի նոյն *ოვსე7,4.*

შეფქვა խորտակել („დაფქვა", „განტეხა"): შეფქვა („დაფქვა" C) საჭურველი, զզէնս խորտակեաց *ფს.45,10;* შუანი ლომთანი შეფქვნეს უფალმან Ⴂ, զծամնիս առիւծոց խորտակեաց տէր *ფს.57,7;* მოქლონნი რკინისანი შეფქვნა (განტეხნა Ⴊ), զնիգս երկաթիս խորտակեաց *ფს.106,16.*

შექლეშა ճմլել. նեղել („მოქლეშა", დაჟეჟვა, მოფხეკა, გახეხვა): შეუქლიშა ბალაამს ფერჴი ზღუდესა მას G, მოქლიშა ფერჴი ბალამისი ღობითა B, ճմլեաց զոտն Բաղաամու *რიცხ.22,25;* შეაქლიშა თავი თჳსი ზღუდისა მიმართ G, նեղեաց զինքն ընդ որմնն *რიცხ.22,25.*

შექმნა առնել. ստեղծել. ստեղծանել. գործել. հաստել. յաջողել. կոփել. կազմել. պատրաստել. նիւթել. լինել. հաստուցանել: ღმერთსა, რომელმან შექმნა სოფელი, Աստուած. որ արար զաշխարհս *საქ. მოც.17,24;* რომელმან შემქმნა მე, որ արար զիս *იობ33,4;* დავჰბადე იგი და შევქმენ იგი, ստեղծի զնա եւ արարի զնա *ეს.43,7;* არა შენ შემქმენ, ոչ դու զիս ստեղծեր *ეს.29,16;* რომელმან შეჰქმენ კაცი მიწისაგან, որ ստեղծեր զմարդն հող յերկրէ *რიფს.164,13-81,15;* შექმნის ჭურჭერი, ստեղծանէ անօթ *სიბრძ.სოლ.15,7;* სამინდოჲ ზეთითა შეიქმნეს, նաշիհ իւղով գործեսցի *ლევ.2,7;* სუეტნი შექმნნა ვეცხლისანი, զսիւնս նորա գործեաց արծաթիս *ქება 3,10;* უფალმან შექმნა კაცი ქუეყანისაგან, տէր հաստեաց ի հողոյ մարդ *ზირ.17,1;* რომელი შეიქმნების მოთმინებითა მათვე ვნებათაჲთა, որ յաջողեալն է համբերութեամբ նոցին չարչարանաց *II კორ.1,6;* ნუუკუე ხატად შექმნა იგი ხურომან, միթէ պատկեր կոփեաց զնա հիւսն *ეს.40,19;* შექმნა, կազմել *სიბრძ.სოლ.13,4;* ინება, რაჲთა შეუქმნა ბერსა [თევზი], կամէր պատրաստել զնա *მცხ.356r-408;* შევქმნე თქუენ ზედა ძჳრი, նիւթեմ ի վերայ ձեր չարիս *იერ.18,11;* მოიღო ერბოჲ და სძჱ და ჴბოჲ იგი, რომელ შექმნა, առ կօգի եւ կաթն եւ զորին զոր հասոյց *დაბ.18,8.*

შექმნა სახედ ձեւացուցանել: და შექმნა იგი სახედ ჯუარისა, խաչ ձեւացուցեալ *დდ.132,6.*

შექმნულ-ი կազմեալ. արարած. ստեղծուած (შექმნილი): თიჴისაგან შექმნულ ვართ მეცა და შენცა, ի կաւոյ կազմեալ ես եւ դու իբրեւ զիս *იობ 33,6;* მისნი შექმნილნი ვართ, նորա արարածք իսկ եմք *მრთ.A.კ.იერ.-სინან.142,6-9,15;* შექმნული, ստեղծուած *ბაბ.45,15-151,11.*

შექმნულთა მოქმედი արարչագործ (აქ: ღმერთი): შექმნულთა მოქმედი იგი მათი იხილვების, արարչագործն նոցա երեւի *სიბრძ.სოლ.13,5.*

შექუნძვა կծկել. պնդել ձուլելով (მოღუნვა, მოხრა): შეიქუნძა მის ზედა და განტფეს ჴორცნი მის ყრმისანი, կծկեցաւ ի վերայ նորա եւ ջեռաւ մարմին մանկանն *IV მფ.4,34;* შეიქუნძნეს და დაილეწვოდეს ძუალნი წმიდათანი მათ მყინვარითა, պնդէին ձուլելով ի սառնէ անտի սուրբքն *სბსტ.135,17-12.*

შექუსვა փարել (შეერთება): გარნა თანა შეექუსვის არაწმიდებაჲ, այլ փարի զնոքօք պղծութիւն *მცხ.119v-138.*

შექუსულ-ი միացեալ (შეერთებული): შექუსულ არს ეშმაკი მრისხანებასა, միացեալ կայ դեւն ի բարկութեան *მცხ.33r-28.*

შექცევა դարձուցանել. դառնալ („ქცევა", „მოგება", დაბრუნება, შებრუნება): ვერ ძალ-მიც მე შექცევად G, ვერ ჴელ-მეწიფების მე ქცევად S, ոչ կարացից դարձուցանել *მსჯ.11,35;* შემიქციენ ესენი მშჳდობით G, მომაგე მე იგი მშჳდობით S, դարձո զնա առ իս խաղաղութեամբ *მსჯ.11,13;* ზურგი მათი გარე შეგაქციეს, դարձուցին զթիկունս իւրեանց *ნეემ.9,17;* ვითარ შეაქცია ზურგი მოაბმან, զիա՛րդ դարձոյց զթիկունս իւր *იერ. 48,39;* შეიქეც სენაკადვე, դարձիր ... ի խցի *მცხ.131r-150.*

შეღამება ագանել ի գիշերի. հասանել գիշեր (დაღამება): ნუ შეიღამებ ესრეთ სოფელსა შინა, մի՛... ագանիր... ի գեղ ի գիշերի *მცხ.311r-338;* შეუღამდა, եհաս նմա գիշեր *მცხ.322v-350.*

შეღება տանել (ի ներքս), բերել (ի ներքս), մուծանել. մտանել. մատուցանել. ժողովել. կրել (ի ներքս), („შეწირვა", შეტანა, მირთმევა, შეკრება):

შეიღო იგი კარვად, տարան ի խորան *რიცხ.35,54;* შეიღეს ნატყუენავი იგი სამარიად, տարան զաւարն ի Սամարիա *II ნშტ.28,8;* შეიღეს კიდობანი იგი და დადგეს შორის კარავსა, տարան ի ներքս զտապանակն Աստուծոյ *I ნშტ.16,1;* შეიღეს მთავართა ძღუენი მათი წინაშე საკურთხეველისა G, შესწირეს მთავართა მათ შესაწირავი მათი წინაშე საკურთხეველსა მას B, բերին իշխանքն զընծայս իւրեանց առաջի սեղանոյն *რიცხ.7,10;* შეღება, բերել ի ներքս *II ნშტ.24,10;* უნდა... შეღებაჲ მისი, խնդրէին մուծանել ի ներքս *ლ.5,18;* ჭურჭერი იგი შეიღო სახლსა ღმრთისა თჳსისასა, զսպասն եմոյծ ի տուն զանձի Աստուծոյ իւրոյ *დან.1,2;* შეღება, մտանել *ისუ 6.6,19;* შეიღეთ წინაშე პირსა მისსა, մատուցէք առաջի երեսաց նորա *I ნშტ.16,29;* სთესეთ ფრიად და შეიღეთ მცირედ, վարէիք բազում եւ ժողովէիք սակաւ *ანგ.1,6;* შეიღეთ ყოველი ნაყოფი საუნჯეთა, զարդիւնս ամենայն ի շտեմարանս ժողովեցէք *მალ.3,10;* შეიღეთ სახლსა თქუენსა, ի ներքս ի տունս կրեցէք *ანგ.1,9.*

შეღება გულად զմտաւ ածել (ზრახვა): ნუ რას შეიღებ გულად სიტყუასა მაგას, մի՛ ածեր զմտաւ քով խօսել զբանդ զայդ *II მფ.13,20.*

შეღებულ-ი մտեալ (შეტანილი): მისცეს ვეცხლი იგი შეღებული სახლსა უფლისასა, ետ զարծաթն, որ մտեալ էր ի տունն տեառն *II ნშტ.34,9.*

შეღებვა ներկել, թանալ („შესოვლება"): ცუარისაგან ცისა ჴორცნი მისნი შეიღებნეს, ի ցօղոյ երկնից մարմին նորա ներկաւ *დან.4,30;* რაჲთა შეიღებოს ფერჴი შენი სისხლითა L, რაჲთა შეისოვლნენ ფერჴნი შენნი სისხლითა C, որպէս թացցի ոտն քո յարեան *ფს.67,24.*

შეღრეკა կորացուցանել, կարկամեցուցանել („მოდრეკა", დამდაბლება, შეკუმშვა): გულისსიტყუამან გულისამან შეღრიკის ძალისაგან, տրտմութիւն սրտի կորացուցանէ զոյժ *ზირ.38,19;* დამდაბლებისა კაცისა სულისა თჳსისაჲ` რომელთა-იგი შეიღრიკნით (მოიდრიკნით O) თავნი თქუენნი, կարկամեցուցանէ մարդ զանձն իւր զի եթէ կորացուցես իբրեւ զանուր զպարանոց քո *ეს.58,5.*

შეღრეკილ-ი կարկամ (დამუჭული, შეკუმშული): ნუ იყოფინ ჴელი შენი მოღებად ხოლო განრთხმულ, და მიცემად-შეღრეკილ մի լիցին յօժար յառնուլն ձեռօք. եւ ի տալն` կարկամ *ზირ.4,36.*

შეღუერფება մերժել (განძევება, გაფანტვა): და ვითარცა ქარქუეტი შეღუერფოს მშჳლდები იგი მათი, եւ իբրեւ զխռիւ մերժեսցէ զնետս նոցա *ეს.41,2.*

შეღჳნება զուարթանալ ի գինւոյ (დათრობა): რაჟამს კეთილად შეიღჳნოს გული ამნონისი ყშირიად, յորժամ զուարթասցի սիրտն Ամնոնայ ի գինւոյ *II მფ.13,28.*

შეყენება արգելուլ, պաշարել, ըմբռնել, կապել, փակել, մատնել, արկանել („შეგდება", შეჩერება; შეპყრობა, ჩაგდება): ცრემლსავე თჳსსა შეეყენნეს, ի ճարպս իւրեանց արգելան *ფს.16,10;* შეაყენა მახჳლსა ერი თჳსი, արգել ի սուր զժողովուրդ իւր *ფს.77,62;* ნუცა შეაყენებ მეოტთა მათთა დღესა ჭირისასა, մի՛ պաշարեսցես զփախստեայս նոցա յաւուր նեղութեան նոցա *აბდიუ 1,14;* რომელი შეაყენეს DE, զոր ըմբռնեցին *ლ.5,9;* შეაყენა იგი სახლსა მას საპყრობილისასა, կապեաց զնա ի տան բանտի *IV მფ.17,4;* შეაყენეს თავზთა სიმრავლჱ დიდი, փակեցին ի ներքս բազմութիւն ձկանց յոյժ *ლ.5,6;* საცხოვარი მათი სიყმილსა შეაყენა, զանասունս նոցա ի մահ մատնեաց *ფს.77,50;* კაცისკლვისათჳს შეეყენა საპყრობილესა C, კაცის-კლვისა(თჳს) შეგდებულ იყო საპყრობილესა C, սպանութեան արկեալ էր ի բանտ *ლ.23,25.*

შეყენება պաշարումն (შეპყრობა): შეძრწუნდენ შეყენებასა მათსა ზედა, խռովեսցին ի պաշարման իւրեանց *მიქ.7,17.*

შეყენებულ-ი ըմբռնեալ, վտարանգեալ, փակեալ, արգելական (შეპყრობილი): საკრეველთა... შეყენებულ იყვნენ, ի կապանս... ըմբռնեալ էրն *იპ.რომ.კურთხ.მოხ.160,12-161;* რომელნი შეყენებულ იყვნეს საკუდილსა, զորս վտարանգեալ էր մահուն *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.102,11-30,1;* იერიქოჲ შეყენებულ და მომაგრებულ იყო G, Երիքով փակեալ եւ ամրացեալ էր *ისუ 6.6,1;* შჳდ დღე შეყენებულ და უზმებულ იყვნეს ჩუეულისა მისგან საზრდელისა, Եօթնօրեայ աւուրքն սովական եւ արգելականք լեալ էին ի սովորութենէ կերակրոյն իւրեանց *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ.და იონ.108,21-41,3.*

შეყენებულება պաշարումն. արգելան (გარემოცვა, შეპყრობა): შეყენებულება, պաշարումն *ეზეკ.4,3;* შეყენებულება, արգելան *ეზეკ.5,2.*

შეყვანება մուծանել, տանել (ի ներքս), ածել, զետեղել, ընդունել (შეყვანა): ნარიყვანეს და შეიყვანეს იგი სახლსა მღდელთმოძღურისასა, ածին եւ մուծին ի տուն քահանայապետին

ლ.22,54; შეიყვანეს დამასკედ, մուծին ի Դամասկոս *საქ.მოც.9,8;* შემიყვანეთ მე სახლსა ღჳნისასა, մուծէք զիս ի տուն գինւոյ *ქება2,4;* ნუ შეგჳყვანებ ჩუენ განსაცდელსა, մի՛ տանիր զմեզ ի փորձութիւն *მთ.6,13;* შეიყვანნა იგინი კარავსა თჳსსა, տարաւ զնոսա ի խորանն *გამ.18,7;* შეიყვანნა მღდელნი, տարաւ ի ներքս զքահանայսն *II ნშტ.29,4;* შემიყვანე მე წინაშე მეფისა, տար առաջի թագաւորին *დან.2,24;* შევიყვანნე იგინი და დავამკჳდრნე შორის იერუსალჱმსა, ածից զնոսա եւ բնակեցուցից ի մէջ Երուսաղէմի *ზაქ.8,8;* წინა-წარგიძღუე და შეგიყვანო შენ, երթայց առաջի քո. եւ զետեղեցից զքեզ *გამოსლ.33,14;* შეიყვანა იგი სიხარულით, ընկալաւ զնա ուրախութեամբ *ლ.19,6.*

შეყინება մածումն, մածուցեալ (შედედება): *მრთ.S.ბ.კეს.-40-თჳს 119,13;* პირველად ლებ იქმნნიან შეყინებითა მით სისხლისაჲთა, նախ իսկ լինի կապուտակ մածուցեալ արեանն *მრთ.S.ბ.კეს.- 40-თჳს 119,4.*

შეყმედილ-ი լուծանել (დაუძლურებული): შეყმედილ არიან სიყმილითა, լուծանէին ի սովոյ *გოდ.იერ.2,19.*

შეყმობა նքողել (დასუსტება, დაუძლურება): შეყმა მე შიმშილითა, რამეთუ ესე სამი დღე არს, նքողեցայ ես այս երրորդ օր *I მფ.30,13.*

შეყმუნება պատկառել (დარცხვენა): შეყმუნდა მცირედ, պատկառեալ փոքր մի *მცხ.73r-85.*

შეყოლა մտանել (ի ներքս): შეჰყვა მდიდარსა მას თანა, եմուտ ընդ մեծատանն ի ներքս *მცხ.218v-231.*

შეყოფა 1. յարել. երթալ զհետ. մերձենալ. միանալ. միաբանել. կցել. մածանել. հաղորդ լինել. կապել. խառնակել. յանկուցանել. ունել զմիմեանց. արկանել. զուող[ել]. յաւելուլ. ամուսնանալ. մատուցանել. ամփոփել. մտաբերել. մատչել. մուծանել. պատաղել. նկատել. սպասաւոր լինել. 2. կափուցանել. խփել (1. „შეძინება", „დამკჳდრება", „შედგომა", „მოხება", შეუღლება, შეერთება, შესქელება, შედედება, მიყოფა, შედება, გართობა, 2. დახურვა): 1) შეეყო ერთსა მოქალაქეთაგანსა C, შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა DE, յարեցաւ ի մի ումն ի քաղաքացւոց աշխարհին այնորիկ *ლ.15,15;* უბრძნესსა მას მათსა შეეყავ შენ, որ իմաստունն է ի նա յարեսջիր *ზირ.6,35;* შეეყოს ცოლსა თჳსსა, երթիցէ զհետ կնոջ իւրոյ *მრ.10,7;* კაცი ძმასა თჳსსა შეეყოს, այր զեղբօր զհետ երթիցէ *იობ41,7;* რომელი შეეყოს მეძავსა ერთ ჴორც არიან, որ մերձենայ ի պոռնիկ մի մարմին է *I კორ.6,16;* 2) არა შემომეყო მე დრკუჲ გული Ⴂ, არა მომეხო მე დრკუჲ გულითა Ⴃ, ոչ մերձեցաւ առ իս որ թիւրն է սրտիւ *ფს.100,4;* სხუასა მამალსა არღარა შეეყვოს, յայլ արու ոչ մերձենայ *მრთ.S.ი.ოქრ.-გურიტ.224,12-130,14;* ესრეთ შეეყვნეს მას და ერთ სულ იქმნიან მათ თანა, այնպէս միացեալ ոգեխառնի ընդ նմա *I ეზრა 4,20;* ნუ შეეყოფვი სათნოებასა ულმრთოთასა, ընդ հանոյս ամբարշտաց մի՛ միաբանիր *ზირ.9,17;* შეიყოფვიან საზღვარნი ვეთემოჲს თანა G, կցեսցին սահմանքն ի կաբովլ *ისუ 6.19,22;* შეჰყო იგი ურთიერთას, կցեսցես զնոսա ընդ միմեանս *ეზეკ.37,17;* შეიყო ვითართა სძე გული მათი, մածաւ որպէս կաթն սիրտ նոցա *ფს.118,70;* შევეყავ ყოველთა მოშიშთა შენთა, հաղորդ էի ես ամենայն երկիւղածաց քոց *ფს.118,63;* სხუასა ქმარსა არღარა შეეყო, ընդ այլում առն ոչ խառնակեցաւ *მრთ.S.ი.ოქრ.-გურიტ.225,18;* შეიყოფდა აბესალომ გულთა ყოველთა კაცთა ისრაიტელთასა, յանկուցանէր յինքն Աբիսողոմ զսիրտս ամենայն արանց Իսրայելի *II მფ.15,6;* შეიყუნენ და არა განიშორნენ, զմիմեանց կալցին եւ մի՛ մեկնեսցին *იობ41,8;* შეყავ ჴელი შენი წიაღთა შენთა, արկ զձեռն քո ի ծոց քո *გამოსლ.4,7;* მე შევეყავ შედგომად უფლისა S, მე შევეძინე შედგომად უფლისა G, ես յաւելայ երթալ զհետ տեառն *ისუ 6.14,8;* სძალი შეეყო სიძესა და ქორწილი იქმნა სულიერი, հարսն ամուսնացաւ ընդ փեսային *მრთ.S.ი.ოქრ.- გურიტ.230,3-138,235;* სიტყუასა ბრძენსა შეყავ ყური შენი, քանզի իմաստնոց մատո զունկն քո *იგ.სოლ.22,17;* ვითარ შეყო ჴელი მისი, իբրեւ ամփոփեաց զձեռն անդրէն *დაბ.38,29;* დედაკაცი არა დადგეს ყოვლისა მიმართ ოთხფერჴისა შეყოფად G, կին մի՛ կացցէ առաջի ամենայն անասնոյ մտաբերել ի նա *ლევიტ.18,23;* შეეყო მართალთაცა გამოცდაჲ სიკუდილისაჲ, մատեաւ եւ յարդարսն երբեմն փորձ մահու *სიბრძ.სოლ.18,20;* არა შეყონ ქედი მათი უღელსა ქუეშე, ոչ մուծցեն զպարանոցս իւրեանց ընդ լծով *იერ.27,8;* არავინ მოღუაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა, ոչ ոք զինուորեալ պատէն ընդ կեանս աշխարհիս պատաղի *II ტიმ.2,4;* შე-თუ-ეყოფვოდი მონებად უფლისა, եթէ մատիցես ծառայել տեառն *ზირ.2,1;* რომელნი-იგი საკურთხეველსა შეყოფილ არიან, նոքին իսկ. որք սեղանոյն են սպասաւորք *მრთ.D.ი.ოქრ.- პეტრე და ელია 312-257,28;* [ნუ გრცხუენინ] სიტყჳსათჳს, შეყოფისათჳს და გზისა ზიარისა, յաղագս հաշուի զուողի եւ ճանապարհորդաց *ზირ.42,3;* ნუცა შეიყოფნ ჩემ ზედა ჯურღმული პირსა მისსა, եւ ջրհոր մի՛ կափուսցէ զբերան իւր ի վերայ իմ *ფს.68,16;* შეყო წიგნი, խփեալ զգիրսն *ლ.4,20.*

შეყოფა ჴელისა նկատել (ხელის მიყოფა): რომელსა-იგი თქუენ ჴელი შეჰყავთ, առաքեսցէ զյառաջագոյն նկատեալն ձեզ *საქ.მოც.3,20.*

შეყოფილ-ი մածեալ. կապեալ. յեցեալ. կցեալ. ծրարեալ (შედედებული, შერთული, შეერთებული, შეხვეული): ჴორცნი გუამისა მისისანი შეყოფილ არიან, անդամք մարմնոյ նորա մածեալք *იობ.41,14;* შე-თუ-ყოფილ ხარ ცოლსა, ნუ განუტევებ, կապեա՞լ ես ի կին. մի՛ խնդրեր արձակել *I კორ.7,27;* მთაჲ შეყოფილი და მთაჲ პოხილი, լեառն մածեալ եւ լեառն պարարտ *ფს.67,16;* რომელი შეყოფილ და მოსავ იყოს შენდა, որ յեցեալ եւ յուսացեալ իցէ ի քեզ *იგ.სოლ.3,29;* ერთიერთას შეყოფილ, մի՛ զմիոյ կնի կցեալ *იობ 41,7;* შეყოფილი სამოსლითა მათითა, ծրարեալ ի կտաւս իւրեանց *გამოსლ.12,34;* რომელი შეყოფილ იყოს შენდა S, შენ თანა დაიმკჳდროს G, ընդ քեզ բնակեսցէ *// შჯ.23,16.*

შეყოფილ-ი կցորդ. խառնաղանձ (შერთული, შერეული): შეყოფილ ვიყვენით ჩუენ სოფელსა მას ჭირისასა, կցորդ եղաք յայսմ աշխարհիս ի վշտանգին *ანდ.-ანატ.332-39,28;* ყოველთა მეფეთა შეყოფილთა, ամենայն թագաւորաց խառնաղանձից *იერ.25,24.*

შეყოფილ-ი ქმარსა առնակին (ქმართან მცხოვრები): რამეთუ ეგე შეყოფილ არს ქმარსა, զի կին առնակին է *დაბ.20,3.*

შეყოფილ-ი შეძინებად շահակից (შემძენი) *მრთ.-S.ი.ოქრ.- მარხ. და იონ.101,15-28,10.*

შეყრა ընկենուլ. արգելուլ. ժողովել („შთათხევა“, ჩაგდება, შეკრება): შეყარნეს იგინი ქუაბსა შინა G, შთასთხინა იგინი ქუაბსა მას S, ընկեցին յայրն *ისუ 6.10,27;* ბრძანა შეყრაჲ მათი სახლსა შინა ერთსა და არა მიცემად მათდა საზრდელი, արգելին զնոսա ի տան միում անկերակուր *იზტ.120,33;* შეიყარა ერი, ժողովեցան ժողովուրդ *მცხ.194v-207.*

შეყროლება նեխել. հոտել (აყროლება): შეყროლდეს, დალპეს წყლულებანი ჩემნი, նեխեցան եւ փտեցան վէրք իմ *ფს.37,6;* ვიდრე შეყროლებამდე შვილთა ჩემთა, յառաջ քան զհոտել որդւոցն իմոց *ფლკტ.147,21-457,25.*

შეყუარება սիրել. հաճոյ թուել: შეიყუარო მოყუასი შენი, սիրեսցես զընկեր քո *მთ.5,43;* შეგიყუარო შენ, უფალო, սիրեցից զքեզ տէր *ფს.17,2;* ქალწულთა შეგიყუარეს შენ, օրիորդք սիրեցին զքեզ *ქება 1,2;* უკუეთუ არა პირველად მოიძულო, ვერ ძალ-გიც შეყუარებად, եթէ ոչ նախ ատեսցես. ոչ կարասցես սիրել *მცხ.37r-31;* რაჲცა ვინ შეიყუაროს, მიეცეს მას, զինչ հաճոյ թուեսցի իւր՝ տացի նմա *ზირ.15,18.*

შეყუარებულ-ი սիրեցեալ. սիրելի („საყუარელი“): თქუენ, ღმრთისა მიერ მამისა შეყუარებულთა, որ յԱստուծոյ Հօրէ էք սիրեցեալք C *იუდა 1,1;* შეყუარებული G, საყუარელი M, սիրելի *// შჯ.21,15;* ახალნერგი შეყუარებული, նորատունկ սիրելի *ეს.5,7.*

შეშა փայտ. մեղեխ („ძელი“, ხე): შეშაჲ ჴმელი, փայտ գօսացեալ *ზირ.6,3;* փայտ չորացեալ *მცხ.325r-342;* აჰა ეგერა არიან... ულელი და საჴნეველი და ყოველივე კალოჲს ჭური შეშად, ահաւասիկ... անիւքդ եւ կահ եզանցդ ի փայտ *// მფ.24,22;* ნუცა სული შენი მოუძლურდებინ ორთა მათგან შეშათა მუგუზთა მჴუმოლვარეთა, մի՛ զարհուրեսցի անձն քո յերկուց փայտից խանձողացն ծխելոց *ეს.7,4;* ნარვრდომილი რკინაჲ შეშისაგან ეცეს მოყუასსა G, անկանիցի երկաթն ի մեղեխէ անտի *// შჯ.19,5.*

შეშისა փայտեղէն (ხისა): ერთი თასი შეშისაჲ, թաս մի փայտեղէն *მცხ.167r-184.*

შეშდობა, შეშთობა հեղձնուլ. հեղձուցանել. խեղդել (დახრჩობა): შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან, հեղձնուն եւ անպտուղ լինին *ლ.8,14;* შეაშდვის სიტყუაჲ იგი, հեղձուցանեն զբանն *მთ.13,22;* შეაშთვეს იგი, հեղձուցին զնա *ლ.8,7;* შეაშთობდა მას და ეტყოდა, խեղդէր եւ ասէր *მთ.18,28;* გლახაკი შეგიშთობია, զաղքատն խեղդեցեր *მცხ. 30r-26.*

შეშინება զանգիտել. զարհուրել. զարհուրեցուցանել. զահի հարկանել. սարսել. երկնչել. երկեցուցանել. ահաբեկել. պակուցեալ լինել („შინება“, „შეძრწუნება“): არა შეშინდეს ბრძანებისაგან მეფისა AB, არა შეიშინეს ბრძანებისა მისგან მეფისა CD, ոչ զանգիտեցին ի հրամանէ թագաւորին *ჰებრ.11,23;* არა შეშინდეთ (ნუ გეშინინ S) მათგან G, մի՛ զանգիտեցէք *// შჯ.3,22;* ვისა ჰზრუნვედ და შეგეშინა? յումէ՞ զանգիտացեալ զարհուրեցար *ეს.57,11;* მათ შეეშინა DE, შეძრწუნდეს დიდად C, զարհուրեցան *ი.6,19;* არა შეიშინა უნესომან იუდა, ոչ զարհուրեցաւ ուխտադրուժն Յուդա *იერ.3,8;* ჩუენებაჲ ვიხილე და შემეშინა და შევძრწუნდი საწოლსა ზედა ჩემსა, երազ տեսի եւ զարհուրեցոյց զիս եւ խռովեցայ յանկողնի իմում *დან.4,2;* შეეშინა და დაუკჳრდა, զահի հարեալ զարմացան *ლ.8,25;* ლომმან იზახა და ვის არა შეეშინა, առեւծ գոչիցէ եւ ով իցէ որ ոչ սարսիցէ *ამოს 3,8;* ზარი განჰდა, რამეთუ შეშინდეს ფრიად, զահի հարան եւ երկեան յոյժ *I მფ.17,11;* ნუ შეშინდებინ გული შენი, մի՛ երկնչիցիս ի սրտի քում *ივდ.10,16;* ნუ შეიშინებთ ღმერთთა მათგან უცხოთა, մի՛ երկնչիցիք յԱստուծոց օտարաց *IV მფ.17,35;* არა შეიშინოს, რაჟამს მოიწიოს სიცხე, մի՛ երկիցէ. յորժամ հասանիցէ տօթ *იერ.17,8;* ნუ შეშინდები ტანჯვათაგან, մի՛ երկնչիր ի տանջանացն *ანდ.-ანატ.323-85,18;* რაჲთა შემაშინოს და შემაძრწუნოს მე, զի զարհուրեցուսցեն եւ երկեցուսցեն զիս *ნეემ.6,14;* შევაშინოთ იგი, երկեցուսցուք զնա *მცხ.306r-332;* შეიშინეს ზარგანჴდილთა და თქუეს, ահաբեկեցին ասելով *იპ.რომ.კურთხ.მოხ.120-121;* ყოველთავე შეეშინა, ամենեքեան պակուցեալ էին յահէ *ფლმნ.293v-478,13.*

შეშინებულ-ი զարհուրեալ. երկուցեալ: შეშინებულ იყვნეს C, զարհուրեալ էին *მრ.9,5;* ვითარცა ყრმაჲ შეშინებული შენდამი ვტოლვილ ვარ, իբրեւ զմանուկ երկուցեալ առ քեզ եմ փախուցեալ *ფლკტ.141,29-450,1.*

შეშისმკაფელ-ი S փայտակոտոր G („შეშისმკოდელი“ G, ხის მჭრელი): *II შჯ.29,11.*

შეშისმკოდელ-ი փայտակոտոր (ხის მჭრელი): არა მოგუაკლდეს თქუენგან მონაჲ შეშისმკოდელი და წყლისმკრებელი G, մի՛ պակասեսցէ ի ձէնջ ծառայ փայտակոտոր եւ ջրկիր *ისუ ნ.9,23.*

შეშრობა ցամաքել (გაშრობა): ვითარცა შეიშრვის მწკრჱ იგი, յորժամ ցամաքի կաւն *ფიზ.XXVIII 12.*

შეშუ վայել (შეშნობა, შეფერება): ვითარცა შეაშუს უფალსა თქუენსა, ეგრეცა ყავთ, որպէս վայել է Աստուծոյ ձերոյ՝ արարէք *II ეზრა 7,18;* შეგაშუს შენ, վայել է քեզ *ზირ.35,4.*

შეშუება թողուլ. մուծանել (შეშვება): პირუტყჳ შეუშუა ყანად, անասուն եմոյծ ի յարտ *მცხ.79v-91;* უკუეთუ ვინმე შეუშუას გულისსიტყუაჲ... გულად თჳსა, եթէ ոք թողցէ խորհուրդ ի սրտի իւրում *მცხ.48r-40.*

შეშურ(ვ)ება նախանձել. նախանձեցուցանել. նախատել. խանդալ („აღშურება“): შური შემშურდა უფლისა ღმრთისა, նախանձեցայ զնախանձ տեառն *III მფ.19,10;* შევიშურვო სახელისა ჩემისა წმიდისა, նախանձեցայց վասն անուան սրբոյ *ეზეკ.39,25;* შეშურვება G, აღშურება, նախանձեցուցանել *რიცხ.25,11;* შეიშურა უფალმან ქუეყანისა მისთჳს, նախատեցաւ տէր վասն երկրի իւրոյ *იოვ.2,18;* შეიშურვა მტერმან სარწმუნოებაჲ იგი მისი, խանդացեալ ընդ հաւատսն... չարին *დდ.127,14.*

შეშფოთება խռովել. զարհուրել („აღშფოთება“, „შეძრწუნება“): შეკრბა სიმრავლჱ ერისაჲ და შეშფოთნა, եկն միաբան բազմութիւնն եւ խռովեցաւ *საქ.მოც.2,6;* ცაჲცა შეშფოთდა G, ცანი შეძრწუნდეს S, երկինք խռովեցան *მსჯ.5,4.* შეშფოთნა გულისწყრომითა თუალი ჩემი, խռովեցաւ ի սրտմտութենէ ակն իմ *ფს.30,10;* არცა შეშფოთნეთ, մի՛ զարհուրել *II თეს.2,2.*

შეშფოთებულ-ი խռովեալ (აღშფოთებული): რაჲსა შეშფოთებულ C ხართ? զի՞ խռովեալ էք *მრ.5,39;* იყო ერი იგი შეშფოთებულ էր ժողովն նոցա խռովեալ *საქ.მოც,19,32.*

შეჩუევა ընդելացուցանել. սովորեցուցանել (მიჩვევა): წეს არს... შეჩუევად შრომათა, արժան է... ընդելացուցանել զսա վաստակօք *მრთ.A.ანტ.დ.80,27-24,2;* განიზრახა უფიცხლჱსსა მარხვასა თავისა თჳსისასა შეჩუევად, կամէր այնուհետեւ ծանր եւ խիստ կրօնիւք զինքն սովորեցուցանել *მრთ.A.ანტ.დ.80,14-23,21.*

შეჩუენება նզովել, նուիրել. ցուցանել. առնել. անցուցանել („წყევა“, „დაწყევა“): იწყო შეჩუენებად DE, იწყო წყევად C, սկսաւ նզովել *მთ.26,74;* შეეჩუენება ისრაელი ვეელფეგორს G, նուիրեցաւ Իսրայէլ Բեեղփեգովրայ *რიცხ.25,3;* მრავალი ბოროტი შემაჩუენა მე, բազում չարչարանս եցոյց ինձ *II ტიმ.4,14;* რაოდენი ძჳრი შეაჩუენა წმიდათა შენთა, որչափ արար չարիս սրբոց քոց *საქ.მოც.9,13;* ბოროტი შეგაჩუენეს შენ, չարիս անցուցին ընդ քեզ *დაბ.50,17.*

შეჩუენება նզով (დაწყევლა): შეჩუენება არღა იყოს მერმე, նզովք ոչ եւս լիցին *ზაქ.14,11.*

შეჩუენებულ-ი նզովեալ. անիծեալ (დაწყევლილი): იყოს ქალაქი შეჩუენებულ G, եղիցի քաղաքն նզովեալ *ისუ ნ.6,17;* შეჩუენებულ ხარ, ბელიარ, անիծեալ. Բելիար *მცხ.229r-248.*

შეჩუენებულ ყოფა նզովել (დაწყევლა): შეჩუენებით შეჩუენებულ ყვნეს თავნი თჳსნი, նզովեցին զանձինս *საქ.მოც.23,12;* შეჩუენებულ ვყო იგი, նզովեցից զնա *რიცხ.21,2;* შეჩუენებულ ვყვენით იგინი, նզովեցի զնոսա *ნეემ.13,25.*

შეცბუნება զարմանալ („დაკვრეება", გაკვირვება): შეცბუნდეს C, დაუკვრდა DE, զարմացան *მრ.9,14.*

შეცვა պաշարել. շուրջ առնուլ. պատել. պաշտպանել („გარემოდგომა", მოცვა): შემიცვეს მე ერთბამად, պաշարեցին զիս ի միասին *ფს.87,18;* კმა გეყავნ თქუენ შეცვაჲ ამის მთისაჲ G, კმა იყავნ თქუენდამი გარემოდგომა მთისა მაგის, շատ լիցի ձեզ պատել զլեռամբդ *II შჯ.2,2;* შეიცვეს დავით, պատեցան զԴաւթիւ *I მფ.23,26;* წყურილსა სიცხისასა ურწყულსა შინა შეიცვა იგი G, წყურიელსა მას სიცხისასა და ურწყულსა გარე-მოადგა მათ S, ի ծարաւ տօթոյ յանջրդի պաշտպանեաց զնա *II შჯ.32,10.*

შეცვულ-ი պատեալ. ամուր („ძნელი", ალყაში მყოფი): შეცვული, պատեալ *იერ.46,5;* ვინ მომიყვანოს მე ქალაქსა მას შეცვულსა Ⴂ (ძნელსა Ⴀ), ո տարցէ զիս ի քաղաք ամուր *ფს.107,11.*

შეცვალება շրջել. կերպարանել. փոխանակել. փոխել. այլակերպել („გარდაქცევა", შეცვლა): უკუეთუ შეცვალებით შეიცვალოს შენიშნვაჲ ტყავსა ზედა G, უკუეთუ გარდაქცევით გარდაიქცეს სასწაული იგი სხეულისაგან მისისა B, թէ ջրջելով շրջեսցի նշանն ի մորթն *ლევ.13,7;* შეიცვალა სახედ მწყემსისა, կերպարանէր զինքն ի ձեւ հովուի *ატმ.109,7;* ვერძი შესცვალო ცხოვრად, փոխանակեսցես ընդ ոչխարի *გამოსლ.13,13;* შეცვალე-თ სამოსელი თქუენი, փոխեցէք զպատմուճանս ձեր *დაბ.35,2;* შეიცვალე სამოსელი თვსი, այլակերպեաց *III მფ.14,2.*

შეცვლა ներկել (აქ: შეღებვა, მოხატვა): შემცვალა მე მადლითა სასოებითა თვსისაჲთა, ներկեալ յուսով շնորհի իւրոյ *იზტ.119,5.*

შეცთომა վրիպել. մոլորել. խաբել. պարտել. գայթակղել. գայթել. անցանել. հրապուրել. յափշտակել. սխալել („ცთომა", აცდენა, ასხლეტა, მოტყუება): შესცთეს სარწმუნოებისაგან, վրիպեցան ի հաւատոց *I ტიმ.6,10;* იგავნი მეცნიერებისანი ნუ შეგცთებიან შენ, առակք հանճարոյ մի՛ վրիպեսցեն ի քէն *ზირ.6,35;* ზეცისა ცხორებასა შესცთა, յերկնային կենացն վրիպեցաւ *მრთ.S.ბ.კეს.-40-თვს 121,8;* შე-მე-ვსცეთითა გზისაგან ჭეშმარიტისა, մոլորեցաք ի ճանապարհէ ճշմարտութեանն *სიბრძ.სოლ.5,6;* სიკეთესა დედათასა მრავალნი შესცთეს, ի գեղեցկութենէ կնոջ բազումք մոլորեցան *ზირ.9,9;* კაცი გზასა თვსსა შესცთა, այր ի ճանապարհի իւրում մոլորեցաւ *ეს.53,6;* ესე განიზრახეს და შესცთეს, զայս խորհեցան եւ խաբեցան *სიბრძ.სოლ.2,21;* ნუ შესცთები (სცთები O), რამეთუ მე ვარ, մի՛ խաբիր զի ես եմ *ეს.41,10;* სულითა სიძვისაჲთა შესცთეს, հոգւով պոռնկութեան պարտեցայք *მრთ.A.ანტ.დ.79,29-22,27;* მცირედ-ღა და შემოცთებოდეს სლვანი ჩემნი Ⴀ, սակաւիկ մի եւ գայթակղեալ էին գնացք իմ *ფს.72,2;* უკუეთუ შესცთის, და ხოლო ამჴვან იგი, եթէ գայթոցի առաւել եւս կործանեսցեն զնա *ზირ.13,29;* ნაწილნი იგი გულისსათქუმელთა შენთანი ნუ შეგცთებიედ შენ, մասն ցանկութեան բարւոյ մի՛ անցանէ ըստ քեզ *ზირ.14,14;* ნუცა შესცთები წამთაგან მისთა, մի՛ յափշտակիցիս արտեւանամբք նորա *იგ.სოლ.6,25;* ბრმაჲ ბრმასა თუ წინაუძღვნ, შესცთიან, կոյր կուրի յորժամ առաջնորդէ. սխալէ *მთ.15,14;* შემინდევით, რამეთუ შევსცეთ, թողութիւն արարէք ինձ զի գթեցի *მცხ.366v-419.*

შეცთომილ-ი մոլորեալ. մոլորական (შემცდარი): ღვინითა შეცთომილ არიან, գինւով մոլորեալ են *ეს.28,7;* შეცთომილი მოვაქციო, զմոլորեալն դարձուցից *ეზეკ.34,16;* იყვნენ იგინი შეცთომილ წარმართთა შორის, եղիցին մոլորականք ի մէջ ազգաց *ოვსე 9,17;* შეცთომილი მოვედ აქა... და... ბორგნეულმან მან იწყო ჴმობად, մոլորեալ եկի աստ... իսկ մոլին այն լայր եւ գոչէր *მცხ.150r-166.*

შეცთომა մոլորութիւն (შეცდომა): მოკლის შეცთომაჲ იგი, սպանանէ զմոլորութիւնն *ს.გაბ.-მოც.საჴ.93,32.*

შეცთომილება մոլորութիւն (შეცდომა): არღარა დავადგრე მაგას შეცთომილებასა, ոչ եւս կամ ի մոլորութեանդ յայդմիկ *ფლკტ.136,1-442,13;* მწვალებელთა შეცთომილებაჲ ზედა დაუმტკიცებელსა თიჴასა [დგას], հերձուածական մոլորութիւն ի վերայ զաղփաղփուն կաւոյ *ს.გაბ.-მოც.საკ.95,32.*

შეცთუნება մոլորեցուցանել. վրիպեցուցանել. ստերիւրել. պատրել. հրապուրել. խաբել (შეცდენა, მოტყუება): შეაცთუნა ეგვპტე, մոլորեցուցին զեգիպտոս *ეს.19,14;* ნუმცა ვინ შეგაცთუნებს შენგანსა მას, რომელსა შეგიმართებია, մի ինչ ամենեւին զքեզ ի գեղեցիկ առաջիկայիցդ վրիպեցուսցէ *ანდ.-ანატ.313-31,18;* მე შევაცთუნო იგი, ես ստերիւրեցից զնա *ოვსე 2,14;* ვითარცა შეგუაცთუნნა ჩუენ სიმდიდრემან, թէ պատրեսցեն զմեզ մեծութիւնք *როფს.170,5-*

95,16; რომელთა შეგაცთუნეს შენ, որք հրապուրեցին զքեզ *ფლპ.მოც.4,9-302,9;* შევაცთუნე, խաբեցի *მცხ.300r-323.*

შეცილება յանցանել (შეშლა, შეცდომა): შემცილდა მე სიტყუაჲ რაჲ-მე ფსალმუნისაჲ, յանցեաւ տուն սաղմոսին *მცხ.122v-140.*

შეცნობა գիտել (ცოდნა, შეტყობა): არა რაჲ თავსა ჩემსა შემიცნობიეს, ոչ ինչ գիտեմ զանձին իմոյ *I კორ.4,4;* არარაჲ ესევითარი საქმე შემეცნა თავისა ჩემისადა, ոչ գիտէի ինչ զանձնէ *მცხ.64v-53.*

შეცოდება վրիպել. յանցանել. յանցուցանել. անօրինել. անիրաւել. գայթել. գթել. մեղանչել. ամպարշտել. վնասակար լինել („დაცილება“, ცოდვა, დაშავება): რომელნი-იგი ჭეშმარიტებასა შეეცოდნეს, որք վրիպեցան ի ճշմարտութենէ *II ტიმ.2,18;* ესროდეს ქვითა თმასა და არა შესცოდებდეს S, ქვებითა თმისა მიმართ და არა დამცილებელნი G, ձգէին քարինս եւ ի մազէ ոչ վրիպէին *მსჯ.20,16;* რომელმან შემცოდოს მე, որ յանցանիցէ ինչ ինձ յանցանս *ეზეკ.14,13;* მოკუდა საულ უსჯულოებითა თჳსითა, რომლითა შესცოდა ღმერთსა, մեռաւ Սաւուղ յանօրէնութիւնսն իւր զորս անօրինեցաւ ի Տէր *I ნშტ.10,13;* რომელ შემცოდეს მე, զոր անիրաւեցան յիս *იერ.33,8;* უწყინ შეცოდებაჲ თჳსი, գիտէ ի գայթել իւրում *ზირ.21,8;* უკუეთუ ვინმე შესცოდოს მას, եթէ գթեսցէ ոք *მრთ.A.კ.იერ.-სული ნმ.279,11-336,15;* ნუ შესცოდებ სიმრავლესა მას ქალაქისასა, մի՛ մեղանչեր ի բազմութեան քաղաքի *ზირ.7,7;* შევსცოდე მას, մեղայ նմա *მიქ.7,9;* შჯულსა ჩემსა შესცოდეს, յօրէնս իմ ամպարշտեցան *ოვსე 8,1;* არცა კეისარსა რაჲ შევსცოდე, ոչ ի կայսր ինչ վնասակար եմ *საქ.მოც.25,8.*

შეცოდება յանցանք. մեղք. մեղանք. յանցուած. մոլորութիւն. անիրաւութիւն. վրէպ („ბრალი, ბრალება“, ცოდვა, დაშავება): უკუეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, զի եթէ թողուցումք մարդկան զյանցանս նոցա *მთ.6,14;* შეცოდებანი ჩემნი შენგან არა დაეფარნეს, յանցանք իմ ի քէն ոչ ծածկեցան *ფს.68,6;* მსგავსად შეცოდებისა მათისა მიეგოს მისაგებელი, արժանի ընդ յանցանաց փոխարէնս կրեսցեն *ანდ.-ანატ.324-35,35;* მოგეტევნენ შეცოდებანი შენნი, թողեալ լիցին քեզ մեղք քո *მთ.9,2;* ვერ ესწორების ამას შეცოდებასა სხუაჲ ბრალი და შეცოდებაჲ, ոչ համեմատեն այսմ յանցանաց այլ յանցանք եւ կամ մեղք *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.103,20-32,6;* ყოვლისათჳს შეცოდებისა ნუ მანკიერ ხარ მოყუსისათჳს, ի վերայ ամենայն մեղանաց մի՛ պահեր ոխս մերձաւորին քոյ *ზირ.10,6;* შეცოდებანი თჳსნი ვინმე გულისხმა-ყვნეს? զյանցուածս իւր ո՞վ կարէ առնուլ ի միտ *ფს.18,13;* შევინანოთ დიდთა მათ შეცოდებათა მათთათჳს, ապաշխարեմք վասն մեծ մոլորութեանն *ფლპ.მოც.9,4-315,4;* უკუეთუმცა რაჲმე იყო შეცოდებათაგან ძჳრისსაქმჱ, եթէ էր ինչ անիրաւութիւն կամ խարդախութիւն չարեաց *საქ.მოც.18,14;* არა არს შეცოდებაჲ სიკუდილისა მათისაჲ, ոչ գոյր վրէպ մահու նոցա *ფს.72,4;* მომმადლეთ მე შეცოდებაჲ ესე, շնորհեցէք ինձ զվնասդ զայդ *II კორ.12,13;* რაჲ პოვეს მამათა თქუენთა ჩემ თანა შეცოდება? զի՞նչ վնաս գտին յիս հարքն ձեր *იერ.2,5;* უკუნსცეს, ვის-იგი უბრალა, მისცეს, ვის-იგი შესცოდა B, տացէ այնմ. որում յանցեաւն *რიცხ.5,7.*

შეცოდებულ-ი մեղուցեալ. յանցուցեալ. յանցաւոր. մեղանչական. մեղաւոր (შემცდარი): ისმინე... ნაშობთა შეცოდებულთა წინაშე შენსა, լուր... որդւոցն մեղուցելոց առաջի քո *ბარუქ.3,4;* ანგელოზთა მათ შეცოდებულთა არა ჰრიდა, ի հրեշտական յանցուցեալս Աստուած ոչ խնայեաց *II პეტრე 2,4;* შეცოდებულთა მცირედ-მცირედ ამხილებ, յանցաւորս առ սակաւ սակաւ յանդիմանես *სიბრძ.სოლ.12,2;* შეცოდებული, մեղանչական *I მფ.15,18;* || մեղաւոր *იპ.რომ.კურთხ.მოხ.156-157.*

შეცჳბრება հիանալ (გაოცება): დამიკჳრდა და შევცჳბრდი, հիացեալ զարմացայ *მრკ.251r-200,1.*

შეცჳენება անկանել („დაცჳენება“, დაცჳენა): მის წინაშე შეცუიოდისნ, მის წინაშე დაცჳოდიან ყოველნი, առաջի նորա անկցին ամենեքեան *ფს.21,30.*

შეცხება օծանել (ნაცხება): შეიცხებდა [სისხლსა] ჴორცთა თჳსთა, օծանէր լինքն *ანდ.-ანატ.330-38,32;* ზეთი ცოდვილისაჲ ნუ შეეცხებინ თავსა ჩემსა, եւղ մեղաւորի մի օծցէ զգլուխ իմ *ფს.140,5.*

შეცხობა եփել. խորովել (გამოცხობა): არა შეიცხოს ცომოვანი, ոչ եփեսցի խմորեալ ლევ.6,17; რავდენი რაჲ შეაცხოთ, შეაცხვეთ, որ ինչ եփելոց էք. եփեցէք გამოსლ.16,23; ვითარცა პური შეცხვებოდა, իբրեւ զհաց խորովեալ თ̃ე9,21-79,18.

შეცხრომა խօսել (აქ: საუბარი): მდიდრად იტყოდეს და შესცხრებოდეს პავლეს, մեծաբանէին եւ խօսէին ընդ Պաւղոսի *თეკ.91,8.*

შეძგერება հնչել (დაძგერება): შეაძგერნა რკინანი, հնչեցին երկաթքն յոտիստ նորա *ი.მოც.71,5-224,36.*

შეძერწვა կապել (შეკვრა, შერწყმა): შეიძერწნენ ურთიერთას ზღუანი იგი, ზესკნელნი და ქუესკნელნი *მ.სნ.124,27.*

შეძერწულ-ი կապեալ (შეკრული, შერწყმული): ძუალითა შეძერწულ, ոսկերօք կապեալ *მრთ.D.ი.ოქრ.-პეტრე და ელია 367,4-257,30.*

შეძინება շահել. յաւելուլ. յոլովել. յաճախել („შეყოფა", „შემატება", დართვა): შეიძინე ძმაჲ იგი შენი, շահեցար զեղբայրն քո *მთ.18,15;* შე-თუ-იძინოს სოფელი, եթէ զաշխարհ շահեսցի *ლ.9,25;* ვივაჭროთ და შევიძინოთ, վաճառեսցուք եւ շահեսցուք *იაკ.4,13;* შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა, յաւելուլ կարիցէ ի հասակ իւր *მთ.6,27;* მე შევეძინე (შევეყავ S) შედგომად უფლისა G, ես յաւելայ երթալ զհետ տեառն *ისუ 6.14,8;* შესძინა აბრაჰამ მერმე სიტყუად, յաւել եւս խօսել ընդ նմա եւ ասէ *დაბ.18,29;* თუ შესძინონ გუემად მისსა, უკუეთუ შემატონ გუემასა მას S, եթէ յաւելուցուն հարկանել զնա *II შჯ.25,3;* შეგეძინნენ წელნი ცხოვრებისანი, յաւելցին քեզ ամք կենաց *იგ.სოლ.9,11;* ასტკან შეეძინა მამათა თჳსთა, Աստիադէս յաւելաւ առ հարս իւր *დან.4,1;* შესძინა მერმეცა სიტყუად, յաւել եւս խօսել *ფლკტ.155,32-468,34;* რომელმან შესძინოს ცნობად, შესძინოს მან სალმობაჲ, որ յոլովեաց ի գիտութիւն յաւելցի ի ցաւս *ეკლ.1,18;* შესძინა ძჳრისყოფად, յաճախեաց առնել չար *IV მფ.21,6;* არღარა შესძინოთ, უკუეთუ მომართუათ მე სამინდოჲ, մի՛ յաճախէք. եթէ մատուցանիցէք ինձ նաշիհ *ეს.1,13.*

შეძინება յաւելուած (შეძენა, შემატება, დართვა) *მრთ.S.ბ.კეს.-40-თჳს 121,16.*

შეძლება կարել. յաղթել. զօրանալ. զօրել. բաւել. մարթել. հնար լինել. ձեռնհաս լինել („ძლება", „გება"): ვერ შეუძლეთ მას განძებად DE, ვერ უძლეთ მას განჴდად C, ոչ կարացաք հանել զնա *მრ.9,27;* ვინმე შეუძლოს შენებად მისა სახლი? ո՞ կարասցէ շինել նմա տուն *II ნშტ.2,6;* შეუძლებდა განრინებად შეურვებულსა მას ქალაქსა მრავლისა მისგან ურვისა, կարէր ապրեցուցանել զտագնապեալ քաղաքն ի բռնութենէ վշտացն *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.108,3-40,8;* შეძლებით შეუძლოთ მათდა მიმართ, կարող եմք յաղթել նոցա *რიცხ.13,31;* შეგიძლეს შენ კაცთა მშჳდობისა შენისათა, զօրացան ի վերայ քո արք խաղաղութեան քո *აბდ.1,7;* დალათუ ვერ შეუძლო გულისთქუმითა ჴორცთაჲთა ცთუნებად, թէպէտ եւ ոչ զօրեաց ի ցանկութիւն մարմնոյն զսիրտն պատրել *მრთ.A.ანტ.დ.80,10-23,15;* ვერ შეუძლოთ ესრეთ ბრძოლად, ոչ բաւեմք այսպիսի պատերազմել *ნეემ.4,10;* ვითარ შესაძლებელ არს ესე ყოფად DE, ვითარ ეგების ეგე ყოფად? C զիա՞րդ մարթի այդմ լինել *ი.3,9;* შე-თუმ-ცა-უძლეს C, უკუეთუმცა შეუძლეს DE, եթէ հնար ինչ իցէ *მთ.24,24;* ვერ შეუძლო დამორჩილებად, ոչ եղեւ ձեռնհաս ի մատնեակ արկանել *ს.გაბ.-მოც.საკ.95,7.*

შეძლება բաւականութիւն: შეძლებაჲ ჩუენი ღმრთისაგან არს, բաւականութիւն մեր յԱստուծոյ է *II კორ.3,5.*

შეძმარებულ-ი քացախուտ (დაძმარებული) *მცხ.245v-266.*

შეძნება չար թուել. դժկամակ լինել. տրտմել. տխրել. դժուարել (გაძნელება; შეწუხება, დამწუხრება): შეუძნდა სიტყუაჲ ესე სამოელს, չար թուեցաւ բանն յաչս Սամուէլի *I მფ.8,6;* რაჲსათჳს შეგიძნდა და დასწუხენით თქუენ ამის სიტყჳსათჳს? ընդէ՞ր դժկամակ եղեր վասն բանիս այսորիկ *II მფ.19,42;* შეუძნდა დავითს შემუსრვაჲ იგი, տրտմեցաւ Դաւիթ զի խրամատեաց տէր խրամատութիւն *II მფ.6,8;* შეუძნდა ესე ბერსა, դժուարեալ ծերոյն *მცხ.45v-38;* შეუძნდა ფრიად, տխրեցան յոյժ *მცხ.214v-228;* შეუძნდა ბერსა, նեղեալ ծերն *მცხ.331r-378.*

შეძრვა սասանել. սասանեցուցանել. շարժել. խարխարել. գայթակղել. խռովել. դանդաչել. խլրտել. դղրդել. դողացուցանել („შერყევა", შეძვრა, დაძვრა): რაჲთა არა შევიძრა, զի մի՛ սասանեցայց *საქ.მოც.2,25;* განემართენ ქუეყანა და ნუ შეიძრვინ, յաջողեսցի երկրի եւ մի՛ սասանեսցի *I ნშტ.16,30;* დაამყარა სოფელი, რაჲთა არა შეიძრას, հաստատեաց զաշխարհ զի մի՛ սասանեսցի *ფს.92,1;* არღარა შევსძინო შეძრვად ფერჴი ჩემი ისრაჱლისაჲ, ոչ եւս յաւելից սասանեցուցանել զոտն Իսրայելի *II ნშტ.38,8;* არა ჰნებავნ შეძრვად იგი, ոչ կամին շարժել զնոսա *მთ.23,4;* შეიძრა ადგილი იგი, շարժեցաւ տեղին *საქ.მოც.4,31;* ქუეყანაჲ შეიძრა (შეირყია S), երկիր շարժեցաւ *მსჯ.5,4;* შეიძრნენ ზღუდენი შენნი, շարժեսցին պարիսպք քո *ეზეკ.26,10;* შეძრა და შეარყია, շարժեաց եւ դողացոյց

მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.108,13-40,16; დაშურების თიჴაჲ იგი კლდისა მის შეძრვად, ջանայ կաւն զվէմն խարխարել *ს.გაბ.-მოც.საჴ.96,1;* დაამტკიცნეს ფერჴნი შენნი, რაჲთა არა შეძრა, հաստատեսցէ զոտն քո. զի մի՛ գայթակղեսցի *იგ.სოლ.3,26;* შეიძრნენ პირისაგან თევზნი ზღვსანი, խռովեսցին յերեսաց իմոց ձկունք ծովու *ეზეკ.38,20;* შეიძრნეს მთრვალობითა თაფლუჭისაჲთა, դանդաչեսցին յարբեցութենէ ցքւոյն *ეს.28,7;* არა შეიძრნენ, გული მისი დამყარებულ არს ვითარცა ლოდი, ոչ խլրտեսցին. զի սիրտ նորա սալացեալ է իբրեւ զվէմ *იობ.41,15;* შეიძრა ყოველი ქალაქი იგი, դղրդեցաւ քաղաքն ամենայն *მთ.21,10;* ჴელი ცოდვილისაჲ ნუ შემძრავნ მე, ձեռք մեղաւորաց մի՛ դողացուսցեն զմեզ *ფს.35,12.*

შეძრვა սասանութիւն (მოძრაობა): ნუ მისცემ შეძრვად ფერჴთა შენთა, մի՛ տարիս ի սասանութիւն զոտն քո *ფს.120,3.*

შეძრწუნება խռովել. խռովեցուցանել. սարսել. սասանել. զմրել, դողալ. զանգիտել. տագնապել. ճեպել. սոսկալ. վանել. զարհուրել. զարհուրեցուցանել. զահի հարկանել. պակչել. սասանութիւն տալ („შეშფოთება“, „შერყევა“, „შეძრვა“, „წინვა“, „შეშინება“, „დაჴსნა“, „ალტყდომა“, „დადნობა“, ცახცახი, შეკრთომა): ესმა... შეძრწუნდა, լուաւ... խռովեցաւ *მთ.2,3;* შეძრწუნდეს და უპყრეს ანგელოზთა მათ ჴელი, նոքա խռովեցան եւ կալան հրեշտակքն զձեռանէ նորա *დაბ.19,16;* ცანი შეძრწუნდეს S, ცაჲცა შეშფოთდა G, երկինք խռովեցան *მსჯ.5,4;* შეძრწუნდა გული ჩემი, խռովեցաւ սիրտ իմ *იობ.37,1;* ჩუენებაჲ ვიხილე და შემეშინა და შევძრწუნდი სანოლსა ზედა ჩემსა, երազ տեսի եւ զարհուրեցոյց զիս եւ խռովեցայ յանկողնի իմում *დან.4,2;* გულისწყრომითა მისითა შეაძრწუნნეს იგინი, սրտմտութեամբ իւրով խռովեցուսցէ զնոսա *ფს.2,5;* კაცმან ცოდვილმან შეაძრწუნნის მეგობარნი, այր մեղաւոր խռովեսցէ զբարեկամս իւր *ზირ.28,10;* ქუეყანასა. შეეშინა, შეძრწუნდა, երկիր երկեաւ եւ սարսեաց *ფს.75,9;* ჴმითა ქუხილისა შენისაჲთა შეძრწუნდიან, ի ձայնէ որոտալոյ քումմէ սարսիցեն *ფს.103,7;* შეშინდეს და შეძრწუნდეს ᑕ, შეშფოთნეს, შეირყინეს Ꮮ, խռովեցան. սասանեցան *ფს.47,6;* შეშფოთნეს და შეძრწუნდეს ვითარცა მთრვალნი, խռովեցան. սասանեցան որպէս արբեալք *ფს.106,27;* შეძრწუნდედ მთავრობანი, զմրեսցին իշխանք *განხ.ი.201,10-87,15;* მისგან შეძრწუნდით (შეიძრნედ Ꮮ) ყოველნი დამკვდრებულნი სოფლისანი ᑕᏞ, ի նմանէ դողասցեն ամենայն բնակիչք աշխարհի *ფს.32,8;* ნუ გეშინინ, ნუცა შეძრწუნდები S (იწინვი G), մի՛ երկնչիր եւ մի զանգիտիցես *ისუ ნ.8,1;* ნუცა შეძრწუნდებით, მჴნე იყვენით და განძლიერდით S, ნუცა ეწინვით, მჴნე იქმენით და განძლიერდით G, մի՛ զանգիտիցէք. քաջացարուք եւ զօրացարուք *ისუ ნ.10,25;* ნუ შეძრწუნდები პირისა მისისაგან, մի՛ զանգիտիցես յերեսաց նոցա *ეზეკ.3,9;* ხილვაჲ თავისა ჩემისაჲ შემაძრწუნებდა მე, տեսիլ գլխոյ իմոյ տագնապեաց զիս *დან.4,2;* ჰამბავნი და სწრაფანი შეაძრწუნებდენ მას მზის აღმოსავალით, համբաւք եւ տագնապք ճեպեսցեն զնա յերեւելից *დან.11,44;* შეძრწუნდა უმეტესად, սոսկացան յոյժ *იერ.2,12;* შემიძრწუნდა სული ჩემი გუამსა ჩემსა, սոսկացաւ մարմին իմ յանձին իմում *დან.7,15;* აღდგეს შეძრწუნებად ქუეყანისა, յարիցէ վանել զերկիր *ეს.2,21;* ოდეს გესმოდიან ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრწუნდებით, յորժամ լսիցէք պատերազմունս եւ խռովութիւնս մի՛ զարհուրիցիք *ლ.21,9;* შეძრწუნდეს დიდად C, მათ შეეშინა DE, զարհուրեցան *ი.6,19;* ვინ შეგუაძრწუნნეს ჩუენ? ո՞ զարհուրեցուսցէ զմեզ *იერ.21,13;* შეძრწუნდეს და შეშინდეს զահի հարեալ երկնչէին *ლ.24,37;* მოსე შეძრწუნდა და ვერ იკადრებდა განცდად, զահի հարեալ Մովսէս. ոչ իշխէր հայել *საქ.მოც.7,32;* შეძრწუნდა გული ერისა მის S, დაიჴსნა გული ერისაჲ G, պակեաւ սիրտ ժողովրդեանն *ისუ ნ.7,5;* შევძრწუნდი, խռովեալ եղէ *ფს.29,8;* სიტყუაჲ ხოლო ჰრქუა და შეძრწუნდა, խօսեցաւ միայն եւ նա դրդուեցաւ *მრთ.D.ი.ოქრ.-პეტრე და ელია 368,18-259,25;* ერთი მეძავი მოუჴდა და პეტრეს სარწმუნოებაჲ შეაძრწუნა, մի բոզ մատուցեալ զՊետրոսի զհաւատն ամբոխեաց *მრთ.D.ი.ოქრ.-პეტრე და ელია 368,16-259,23;* შეძრწუნდა ყოველი სიმრავლჱ ერისაჲ, ահաբեկեալ զամենայն ամբոխն *რიფს.170,21-96,13;* ნუ შეგუაძრწუნებ ჩუენ, უფალო, մի՛ տար զմեզ ի սասանութիւն *ფლკტ.154,34-467,20;* ნუ შეძრწუნდებით DE, ნუ ალტყდებით, մի՛ խռովեսջիք *მთ.24,6;* შემიძრწუნდა გული ჩემი S, დამიდნა გული ჩემი O, խռովեցաւ սիրտ իմ *ესთ.15,16.*

შეძრწუნება-ჲ դողումն. խռով. խռովութիւն. ահ. սոսկումն. զարհուրանք (ცახცახი, კრთომა): შევშინდი და შევძრწუნდი, երկիւղ եւ դողումն կալաւ զիս *მრკ.250v-198,1;* ვითარცა შეძრწუნებაჲ ეფრემისი, իբրեւ զխռով եղէց Եփրեմի *ოვსე 5,12;* შეძრწუნებით შეძრწუნდეს სკჳენჱ, խռովութեամբ խռովեսցի Սային *ეზეკ.30,16;* დამიცვენ ჩუენ... შეძრწუნებისაგან მძლავრისა, պահեա զմեզ... յահէ բռնաւորիս *მსკ.52,14;* გულისა შეძრწუნებაჲ, սոսկումն սրտի *ნაუმ.2,10;* არა გეშინოდის შენ შეძრწუნებისაგან, ոչ երկիցես ի զարհուրանաց *იგ.სოლ.3,25.*

შეძრწუნებულ-ი խռովեալ. սոսկալի. զահի հարեալ. ի դողման եղեալ. յերերի կալ („შეშინებული"): რაჲსა შეძრწუნებულ ხართ? DE, զի՞ խռովեալ էք *ლ.24,38;* შეძრწუნებული, սոսկալի *სიბრძ.სოლ.8,15;* შეძრწუნებულ იყვნეს DE, შეშინებულ იყვნეს C, զահի հարեալ էին *მრ.16,8;* შეძრწუნებული გამოვიდა იგი მიერ აბანოჲთ, ի դողման եղեալ ել ի բաղանեացն *ფოკა502,5-345v;* ვიხილენ მთანი და ესერა იყვნეს შეძრწუნებულ, տեսի զլերինս եւ կային յերերի *იერ.4,24.*

შეძურომა սորել(შეძვრომა): შეძურეს ქუაბებსა, սորեցին յայրս *იერ.4,29.*

შენამება վկայել. վկայութիւն դնել. ամբաստանել. արծանախօս լինել („სმენა", მხილება): რაოდენსა ესენი შეგნამებენ შენ C, որչափ դոքա հակառակ քո վկայեն *მთ.27,13;* რომელი შესნამებდეს მეგობარსა თჳსსა წამებასა ცილსა, որ վկայէ զբարեկամէ իւրմէ վկայութիւն ստութեան *იგ.სოლ.25,18;* ნაცილად შესნამებენ ეგენი მაგას, սուտ վկայեցին դոքա զնմանէ *დან.13,49;* უწყებით უწყოდეთ, რამეთუ შეგნამებ თქუენ დღეს, գիտելով գիտասջիք. քանզի վկայութիւն դնեմ ձեզ այսօր *იერ.42,19;* რასა ესენი შეგნამებენ (გასმენენ C) შენ, զինչ դոքա ամբաստանեն զքէն *მთ.26,62;* საქმენი ჩემნი შემნამებენ მე, գործք արծանախօս լինին զինէն *მრთ.P.ი.ოქრ.-უძღ.შვილ.515-688,34.*

შენამება ცილისა զրպարտել (ცილის დაწამება): კაცი ულმრთოებით შესნამებნ ცილსა გლახაკსა, հզօրն առ ամպարշտութեան իւրում զրպարտէ զտնանկս *იგ.სოლ.28,3.*

შენამება յանդիմանութիւն (შეჯერება): შემდგომად... წილისა მის შენამებისა, զկնի յանդիմանութեան վիճակին *მრთ.S.ი.ოქრ.-მარხ. და იონ.107,7-38,16.*

შენბოლა պատկառել („შერცხუენა"): შესნბა და შეჰრცხუენდა, պատկառեցաւ յոյժ *მცხ.161r-176.*

შენებულ-ი ալխ (შენებებული): შენებულთა მკერდისა მისისათა ვინ-მე შევიდეს? ընդ ալխս պատենից նորա ո՞ մտանիցէ *იობ.41,4.*

შეწევნა օգնել. օգնական լինել. յաջողել. պատսպարել. պաշտպանել. պաշտպան լինել. ընդունել. ընկերել. զօրել. օգտել. զօրավիգ լինել. բաւական լինել. ձեռնտու լինել. հասանել. հասու լինել. նպաստ լինել. վերակացու լինել („წევნა", „ჴელის-(ა) პყრობა", დახმარება): შემეწიე ჩუენ, უფალო, օգնեա՛ մեզ տէր *მრ.9,21;* შემეწიე (მეწიე C) ურწმუნოებასა ჩემსა, օգնեա՛ անհաւատութեանս իմում *მრ.9,23;* შეწევნად ჩემდა მომხედე Ⴀ, ჴელისაპყრობად ჩემდა მომხედენ Ⴂ, յօգնել ինձ նայեաց *ფს.21,20;* რომელსა შევეწიე კიდითგან ქუეყანისაჲთ J, რომელსა გიპყარ ჴელი კიდითგან ქუეყანისაჲთ O, որում օգնական եղէ ի ծագաց երկրի *ეს.41,9;* შემეწია მეცა წარმართთა მიმართ, յաջողեաց եւ ինձ ի հեթանոսս *გალ.2,8;* შეგეწიოს შენ, պատսպարեսցէ զքեզ *იგ.სოლ.4,6;* ღმერთი მათი შეეწევის მათ, Աստուածն նոցա պաշտպանէ նոցա *იუდ.6,2;* შეგეწიო შენ, ისრაჱლ, պաշտպան լինիցիմ քեզ, Իսրայէլ *ოვსე 11,8.* არა შეეწიე მას ბრძოლასა შინა, ոչ ընկալար զնա ի պատերազմի *ფს.88,44;* უფალო, შეწევნად ჩემდა ისწრაფე, տէր. յընկերել ինձ փութա *ფს.69,1;* უძლურ იქმნიან გრძნებანი და ვერ შეეწინიან წამლობანი, տկարացեալ լինին մոգութիւնք եւ ոչ զօրէ կախարդութիւն *მრთ.A.ანტ.დ.31-69,37;* შემეწია მე Ⴀ, օգտեցաւ *ფს.27,7;* შეეწიე სიბერესა მამისა შენისასა, զօրավիգն լեր ծերութեան հօր քում *ზირ.3,14;* უკუეთუ ჭირვეულთა შეეწია, եթէ նեղելոց բաւական լիեալ իցէ *I ტიმ.5,10;* შეეწეოდა სოლომონს ძელითა, ფიჭვთა და ნაძვთა, ձեռնտու էր Սողոմոնի եղեւնափայտիւք եւ փայտիւք մայրից *III მფ.9,11;* ვითარ უკუე შევეწიო მე მუნ? ո՞րպէս հասանել կարիցեմ *მრკ.247-190,1;* არასადა შეეწინენ მას კაცნი უგუნურნი, ոչ եղիցի նմա հասու իմաստք մարդկան *ზირ.15,7;* რომლითა შეეწეოდა მორწმუნეთა მათ, բազում ինչ նպաստ լինէր հաւատացելոցն *ს.გაბ.-მოც.საჴ.93,19;* მე შეგეწიო შენ, ես վերակացու եղէց քեզ *დან.15,1;* შეეწიე მოყუასსა შენსა, պաշտպան լեր մերձաւորին *ზირ.29,27.*

შეწევნა-ჲ օգնութիւն. օգնականութիւն. ազդեցութիւն. յաջողութիւն. գործակցութիւն. խնամակալութիւն. տուչութիւն. ազդումն (დახმარება, ზრუნვა): მომეც ჩუენ შეწევნაჲ ჭირსა, տուր մեզ օգնութիւն ի նեղութեան *ფს.59,13;* რომელი დამკჳდრებულ არს შეწევნასა მაღლისასა ᑕ (შეწევნითა მაღლისაჲთა ᒪ), որ բնակեալ է յօգնութեան Բարձրելոյն *ფს.90,1;* მრავალი შეწევნაჲ არს ჩემ თანა, բազում է իմ օգնականութիւն *იობ.31,21;* ადრე-ადრე ყოს შეწევნაჲ თქუენთჳს, վաղվաղակի արասցէ զօգնականութիւն ձեզ *თომა მოც.20,6-399,10;* რომლისა-იგი მოსლვაჲ არს შეწევნითა ეშმაკისაჲთა, որոյ գալուստն ըստ ազդեցութեան սատանայի է *II თეს.2,9;* მოცემულისა ჩემდა შეწევნისაებრ ძალისა მისისა, որ տուաւ ինձ ըստ յաջողութեան զօրութեան նորա *ეფეს.3,7;* უფლისა შეწევნითა, տեառն գործակցութեամբ *მრ.16,20;* შეწევნა სცეს ტყუეთა მათ, խնամակալութիւն արարին գերութեանն *II ნშტ.28,15;* ვედრებითა თქუენითა და შეწევნითა სულისა ქრისტჱსითა, աղօթիւք ձերով եւ տուչութեամբ Հոգւոյն Քրիստոսի *მრთ.A.კ.იერ.-სული ნმ.281,14-368,27;* მხიარულ არნ შეწევნითა ეშმაკისაჲთა, զուարճանայր յազդմանէ չարին *დღ.127,9.*

შეწევნულ-ი աջողեալ (დახმარება მიღებული): სარწმუნოება სიყუარულისაგან შეწევნული, հաւատք սիրով աջողեալք *გალ.5,6.*

